ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: **ახალი და უახლესი ისტორია**

გოგილავა ილიკო

ამერიკის შეერთებული შტატები
და 1953 წლის გადატრიალება ირანში

ნაშრომი შესრულებულია ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი ზაალი გოგენია

თბილისი

2019

ანოტაცია

ჩვენი საკვლევი თემა შეეხება 1953 წელს, ირაში მომხდარ სამხედრო გადატრიალებას, რომლის შედეგადაც დაემხო დემოკრატიულად არჩეული მოჰამად მოსადეყის მთავრობა და რომელიც განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა(CIA) და ბრიტანეთის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის მიერ(SIS). თემა ითვალისწინებს როგორც დასავლური აღმოსავლური სამეცნიერო ტექსტების ანალიზსს, ასევე, სპარსული ჟურნალ-გაზეთების დამოკიდებულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მათ შედარებით ანალიზსს, საბჭოთა და დასავლურ სამეცნიერო შეხედულებებს. ჩვენი უპირველესი მიზანია, მაქსიმალურად გამოვკვეთოთ, კონკრეტულ ისტორიულ-სამეცნიერო ფაქტებზე დაყრდნობით დებულება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სააგნეტომ, შეადგინა სპეციალური ოპერაცია სახელწოდებით „აიაქსი“, დოქტორ მოსადეყის მთავრობის დამხობაში, 1953 წელს, ირანში.

გარდა ამისა ჩვენ კვლევის ფარგლებში მიზნად ვისახავთ მაქსიმალურად ბევრი ახალი ისტორიული წყარო შემოვიტანოთ ქართულ ისტორიულ რეალობაში, ამასთანავე, გავაკეთოთ შედარებითი ანალიზი სპარსულ პერიოდიკაზე დაყრდნობით, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს, ირანელი ავტორების მოსაზრებათა წინ წამოწევას. თემის გარშემო ჩვენ ვეხებით შემდეგ საკითხებს: როგორ დაიწყო აშშ-ირანს შორის ისტორიულ-პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები, როგორ მიმდინარეობდა ზე-სახელმწიფოთა ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში, როგორ იწყებს გააქტიურებას აღნიშნულ რეგიონში აშშ, როგორ აღორძინდა ეროვნული ძალები ირანში და რამ განაპირობა ამ ძალების კონსოლიდაცია, რა პოლიტიკა გაატარა მოჰამად მოსადეყმა ირანში, რა ძალას წარმოადგენდა პროშაჰური მოძრაობა ირანში, რა დროიდან დაიწყეს ფიქრი ბრიტანელებმა და ამერიკელებმა, რომ მოსადეყი უკვე საფრთხისშემცველი იყო მათთვის, რა ბერკეტები გამოიყენეს აშშ-მა და ბრიტანეთმა, რათა ოპერაცია შეემუშავებინათ მოსადეყის წინაამღდეგ, როგორ განხორციელდა ოპერაცია "აიაქსი", რა

ურთიერთობები ჩამოყალიბდა ირან-აშშ-ს შორის გადატრიალების შემდეგ, გამიკვეთა თუ არა ამ გადატრიალებში თვითონ ირანელთა წამყვანი როლი.

ზემოთ აღნიშნული საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, შესაბიმისად ვფიქრობთ საინტერესოა ამ კვლევის შედეგები, გამომდინარე იქიდან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი ურთიერთობა ირანთან, სწორედ რომ ამ სახელმწიფო გადატრიალებიდან იღებს სათავეს. ნაშრომში მაქსიმალურად იქნება წარომდგენილი ის ისტორიული წყაროები, რომლებიც მაქსიმალურად ნათელს ხდიან აღნიშნულ სახელმწიფო გადატრიალებას.

Annotation

My research is about the coup, which took place in Iran in the year 1953. As a result of the riot, Mohammed Mossadegh, who was elected according to democratic principles, was finally overthrown by CIA (Central Intelligence Agency) and SIS (Secret Intelligence Service). The study consists of the analyses of Western-Eastern scientific texts, as well as the position of Persian newspapers toward the process. My specific aim is to identify the role, which U.S and namely CIA played in order to subvert Mohammed Mossadegh's democratically elected government.

Besides, we aimed to use a lot of different historical sources and compared innumerable Persian facts which each other, which highlights the Persian ideas and position. The study has also shown the beginning of historical- economical- political relation between the U.S and Iran, the ways of struggling between them in the near eastern. The study reveals the ways how the U.S began to implement its plans and how Mohammed Mossadegh fought against their plans. The study consists of the information about the operation of "AJAX" .The study has also revealed the relation between the above mentioned countries after the process.

There is a lack of the information in Georgian history. Therefore we contend that the consequences of the research is extremely informative. As nowadays tension between the U.S and Iran is flared up exactly from the period.

სარჩევი

შესავალი..... 6

თავი I

აშშ-ირანის ურთიერთობები XX საუკუნის 40-იან წლებში 10

§1.2. ირანის აზერბაიჯანის კრიზისი..... 19

თავი II

მოსადეყის მოსვლა ხელისუფლების სათავეში და აშშ-ირანის ურთიერთობები 1951-1953 წწ 25

2.1. მოჰამად მოსადეყის საშინაო და საგარეო პოლიტიკა 25

§ 2.1. ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის პოლიტიკა რეგიონში 31

თავი III

აშშ-ს როლი ირანის 1953 წლის გადატრიალებაში; ოპერაცია ,,აიაქსი“ 40

3.1. ოპერაციის დაგეგმვა 40

3.2. ოპერაცია „აიაქსი“ 77

დასკვნა..... 101

გამოყენებული ლიტერატურა: 108

შესავალი

1979 წლის 5 მარტს თეირანის მახლობლად მდებარე სოფელ აჰმადაბადში მილიონამდე ადამიანმა მოიყარა თავი, ირანალები მოსადეყის პიროვნებისადმი პატივისცემის გამოსახატავად მოვიდნენ, რომლის სახელის ხსენება ოცდახუთი წლის მანძილზე აკრძალული იყო. აღმოჩნდა, რომ უბრალო მოქალაქეების გულში მოჰამად მოსადეყმა ისეთი ღრმა კვალი დატოვა, რომლის წაშლა დიდი მცდელობის მიუხედავად ხელისუფლებამ ვერ შესძლო. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანები ღვაწლმოსილი პიროვნების საფლავთან იხსნებდნენ იმ მოვლენებს, რომელმაც მოსადეყი ესოდენ გამორჩეულ და ,,ემბლემატურ“ ფიგურად აქცია.

აუცილებლობა წარსულის კვლევისა და არსებული რეალობის მიზეზთა შესწავლა. სწორედ ამიტომ ჩვენი ნაშრომით შევეხებით დღეს ირან-ამერიკას შორის არსებულ ურთიერთობათა ისტორიულ საფუძვლებს. ზოგადად ირანის მიმართ ჩვენი ბუნებრივი ინტერესები მრავალსაუკუნოვან ქართულ-სპარსულ ურთიერთობებს უკავშირდება. გასული საუკუნიდან მოყოლებული ძალიან აქტიურ ფაზაში გადადის ირანის შიდაპოლიტიკური პროცესები. იმპერიათა ბრძოლა გავლენის მოსაპოვებლად, კონსტიტუციური რევოლუცია, სამეფო დინასტიის ცვლილება, შაჰის იძულებითი გადადგომა, ირანი ორი მსოფლიო ომი პერიოდში, ნაციონალიზმის მომძლვრება, დოქტორ მოჰამად მოსადეყის ხელისუფლებაში მოსვლა და მისი დამხობა ამერიკელებისა და ბრიტანელების მიერ, შაჰი ავტოკრატია, აშშ-ს დომინირება ირანში, 2500 წლიანი მონარქიის დასასრული და ისლამური რევოლუცია, რომლის მსგავსი მოვლენა ისტორიას არ ახსოვს. ასე რთულად მიმდინარეობდა ირანის შიდაპოლიტიკური ისტორია, რომელიც ცვლილებებს განიცდიდა უცხოური გავლენების წყალობით.

ისტორია ადამიანთა სიმტკიცის თუ გაჭირვების პირუთვნელი ჟამთააღმწერელია. წარსულის ცოდნა ჩვენ ყოველთვის ხელს გვიწყობს აწმყოს უკეთ აღქმაში და მომავლის განჭვრეტაში.

მოცემული ნაშრომი შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების როლის ნათლად გამოკვეთას, 1953 წელს ირანში მომხდარ სამხედრო გადატრიალებაში, რომლითაც

დამხობილ იქნა პრემიერ მოჰამად მოსადეყის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება. ზოგადად მიმოვიხილავთ ირან-ამერიკის ურთიერთობების ისტორიას საწყისი წლებიდან გასული საუკუნის 50-იან წლებამდე. წინამდებარე ნაშრომი ითვალისწინებს სამეცნიერო ლიტერატურის ფურცლებზე აღმოჩენილი ინფორმაციის კვლევას, ისტორიულ-შედარებით ანალიზს, ამასთანავე, დასავლური და აღმოსავლური ბეჭდური მედია საშუალებების გათვალისიწინებით საკითხის უკეთ წარმოჩენას. ჩვენი უპირველესი მიზანია, განვამტკიცოთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს წვლილი უდიდესი იყო, მოჰამად მოსადეყის მთავრობის დამხობაში.

აქლემი უფრო მარტივად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე ისტორიკოსი მოიპოვებს წვდომას ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა[1] და საიდუმლო დაზვერვის სამსახურის[2] საქმეებზე სახელმწიფო გადატრიალების შესახებ. მიუხედავად ამ სირთულისა, გადატრიალების გეგმის აღდგენა შესაძლებელია რამდენიმე წყაროდან: ფორინ ოფისის და სახელმწიფო დეპარტამენტის საბუთებიდან[3] - ზოგიერთი ამერიკული საიდუმლო დოკუმენტი ბრიტანულ არქივებშია წარმოდგენილი, რადგან 1952 წლის ოქტომბერში ბრიტანულ- ირანული ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ ვაშინგტონმა ლონდონს თეირანიდან გამოგზავნილი მნიშვნელოვანი მოხსენებები გააცნო; გადატრიალების გეგმის აღდგენა მეტნაკლებად შესაძლებელია თანამედროვე გაზეთების, განსაკუთრებით- თეირანში მყოფი ჟურნალისტების ყურადღებით გაცნობით; 1979 წლის რევოლუციის შემდგომი პერიოდის ინტერვიუებითა და მემუარებით, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ირანში, ასევე დასავლეთში; ასევე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და საიდუმლო დაზვერვის სამსახურის თანამშრომლების მეშვეობით, როგორებიც არიან: კერმიტ რუზველტი და დონალდ უილბერი. ამ უკანასკნელმა უდაოდ

[1] CIA - ცეტრალური სადაზვერვო სამსახური.

[2] SIS - დაზვერვის საიდუმლო სამსახური.

[3] www.nytimes.com/library/world/mideast/iran-cia-intro.pdf დოკუმენტი დათარიღებულია 1954 წლით და ხელმო-წერილია დონალდ ვ. ვილბერის მიერ. საინტერესოა, რომ გადატრიალებაში მონაწილე ირანელთა სახელები სხვა საიტზე იყო განთავსებული (http://cryptome.org/cia-iran.htm).

ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი დაგვიტოვა [4] - მისი ზედმიწევნითი ანალიზი უპირველეს ყოვლისა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსთვის გამოგზავნილი მასალები, სადაც იგი გადმოგვცემს მოქმედების გეგმას, აჯამებს გადატრიალებას და აანალიზებს მომხდარის მიზეზებს. რა თქმა უნდა, აუცილებელია თითოეული ამ წყაროსადმი კრიტიკული მიდგომა, გარკვეული დოზით დაეჭვება მათში და სიცარიელეების საღი აზრითა და ირიბი მტკიცებულებებით შევსება[5].

აღნიშნული საკითხის კვლევის პროცესში გავეცანით დასავლურ და აღმოსავლურ სამეცნიერო ლიტერატურას. აქ მოცემული გვაქვს, როგორც ისტორიული ხაისათის შრომები, ასევე ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებები. პოლიტოლოგების, ჟურნალისტების და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მკვლევართა პუბლიკაციები.

სამეცნიერო ნაშრომებზე დაკვირვებით, შევნიშნეთ, რომ ირანის 1953 წლის სამხედრო გადატრიალებასთან მიმართებით, აზრთა სხვადასხვაობაა დასავლურ სამეცნიერო წრეებში. შეგვიძლია საჯაროობისთვის რამდენიმე ნიმუში გაგაცნოთ; ამერიკელი ისტორიკოსი ერვანდ აბრაჰამიანი და ქრისტოფერ პეტერიკი გადატრიალების დეტალებთან დაკავშირებით და ასევე მის შეფასებებში ვერ თანხმდებიან. ერვანდ აბრაჰამიანი თავის წიგნში *„თანამედროვე ირანის ისტორია“,* მიუხედავად იმისა, რომ იგი სუბიექტურობით არ გამოირჩევა, სახელმწიფო გადატრილებაზე საუბრისას, თითქოს ცდილობს აშშ-ს როლი პოზიტიურად წაროაჩინოს და, რომ ეს გადატრიალება ისტორიული და გეოპოლიტიკური რეალობისთვის აუცილებელი იყო. ქრისტოფერ პეტერიკი, თავის წიგნ*ში „CIA ირანში და 1953 წლის გადატრიალება“* პირდაპირ და ცალსახად აღიარებს, რომ გადატრიალება აშშ-ბრიტანეთის მიერ დაიგეგმა და მოსადეყის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება მათი ძალის გამოყენებით იქნა დამხობილი. მოვლენების შეფასებაში ობიექტურობის ნიმუშს წარმოადგენს სტივენ მარშის წიგნი *„ბრიტანულ-ამერიკული ურთიერთობები და ცივი ომი. ნავთობის კრიზისი ირანში“*, ხოლო სტეფან კინზერი მაინც ვერ გაექცა

[4]Dr. Wilber, Donald. *OVERTHROW OF PREMIER MOSSADEQ OF IRAN November 1952-August 1953*. Washington. 1969

[5] Ervand, Abrahamian. A history of modern Iran. 2008. გვ. 78.

„ამერიკომანიას“ და თავის შრომებში [6] ცდილობს მაქსიმალურად დადებითად წარმოაჩინოს აშშ-ს როლი გადატრიალებაში, რომ აშშ-მ კომუნისზმისგან იხსნა ირანი. რაც შეეხება ნაშრომში გამოყენებულ სპარსულ სამეცნიერო ლიტერატურას, გამოყენებული გვაქვს როგორც პრესის ნიმუშები, ასევე, ირანელი ავტორები, რომლებიც უშუალოდ ესწრებოდნენ მოსადეყის სასამართლო პროცესს და დეტალურ სურათს გვიხატავენ ამ პროცესის. მაგალითისთვის შეგვიძლია ნასერ ნაჯმის წიგნი *„მოსადეყი - დიდი მებრძოლი“* მოვიყვანოთ, რომელიც მოსადეყის მიოგრაფიული ცნობების გაცნობის შემდეგ, თხრობას 1952 წლიდან აგრძელებს და ასრულებს მისი სასამართლო პროცესით.

სამი ძირითადი ფუნდამენტური კითხვა, რომელსაც თემის შესავალ ნაწილში დავსვათ და შევეცდებით ამ ნაშრომით პასუხები გავცეთ არის: რა მოტივებმა აიძულა შეერთებული შტატები, გადაეყენებინა პრემიერ-მინისტრი მოსადეყი? რამდენად მნიშვნელოვანი იყო აშშ-ს როლი მოსადეყის დამხობაში? რა წვლილი შეიტანა მოსადეყის დამხობაში დიდმა ბრიტანეთმა თვითონ ირანელების დახმარებით?

ამრიგად, შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკითხი მეტად აქტუალურია და ძალიან ბევრ საინტერესო დეტალს შეიცავს, რომელზეც ვეცდებით მაქსიმალურად გავამახვილოთ ყურადღება მოცემულ კვლევაში.

[6] Stephen Kinzer. Overthrow - America's Century of Regime Change from Hawaii to Iraq. Times Books (2007), გვ.122.

თავი I

აშშ-ირანის ურთიერთობები XX საუკუნის 40-იან წლებში

ირანის და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიული ურთიერთობები XIX საუკუნის შუა ხანებიდან იწყება. ირანს ამერიკის შეერთებული შტატები მიაჩნდა ერთადერთ, სანდო პარტნიორად და ძალად, ბრიტანული და რუსული აგრესიის დასაძლევად. ცნობილია, რომ ამერიკელი ფინანსისტები - არტურ მილსპო და მორგან შუსტერი, ხაზინადარ-გენერლებადაც კი დაინიშნენ იმდროინდელი შაჰის გადაწყვეტილებით.

ამერიკა-ირანის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი იყო 1856 წელს გაფორმებული პირველი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა თანამშრომლობას სავაჭრო და სანავიგაციო სფეროში. ეს ხელშეკრულება 1928 წლამდე დარჩა ძალაში. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები ამ პერიოდში ნაკლებ ყურადღებას იჩენდა ირანის მიმართ, თუმცა ეს უკანასკნელი აშშ-ს დახმარებასაც კი სთხოვდა ქვეყნის ფინანსების ადმინისტრირებაში. იმავე 1856 წელს სპარსეთის ყაჯარმა შაჰმა ნასერ ედ-დინმა თავისი ოფიციალური წარმომადგენელი მირზა აბოლჰასან შირაზი გააგზავნა ვაშინგტონში, რაც შეეხება დიპლომატიურ ურთიერთობებს, 1883 წელს ირანში ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ოფიციალურ წარმომადგენლად დაინიშნა სემუელ ბენჟამინი.

1925 წლის დეკემბერში ირანის შაჰი გახდა რეზა ფეჰლევი - ახალი დინასტიის დამაარსებელი. როდესაც რუსეთში ბოლშევიზმის გამარჯვებამ თავისი ასახვა ჰპოვა სპარსეთის მემარცხენე დაჯგუფებებში, რომლებმაც 1920 წელს კასპიის ზღვის პირას გილანის რესპუბლიკა გამოაცხადეს, ინგლისმა თეირანში ქმედითი მთავრობის ჩამოყალიბება გადაწყვიტა და მისი უშუალო მონაწილეობით სპარსეთის არმიის, ელიტური, კაზაკთა ბრიგადის მეთაურმა რეზა ფეჰლევიმ 1921 წლის თებერვალში განახორციელა სამხედრო გადატრიალება, აქედან დაიწყო ფეჰლევების დინასტიის მმართველობა ირანში. 1796 წლიდან 1925 წლამდე, ძველმა ყაჯართა დინასტიამ ვერ შეძლო რეფორმების გატარება ქვეყანაში, ძლიერი ფლოტისა და არმიის ჩამოყალიბება, ადმინისტრაციული აპარატის გაჯანსაღება, ეკონომიკის აღდგენა და ფეხზე დაყენება.

XIX საუკუნის ბოლოს ირანი უკვე იყო ნახევარ-კოლონია. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს აკონტროლებდა მეფის რუსეთი, ხოლო სამხრეთს დიდი ბრიტანეთი. ასე რომ, ყაჯართა მმართველობა რიგითი ირანელების ცნობიერებაში აღიქმება, როგორც ქვეყნის უძლურების და ეროვნული დამცირების ხანა.

ყაჯარების დინასტიისგან განსხვავებით, რეზა შაჰმა არაერთი რეფორმა გაატარა, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საგარეო პოლიტიკაში. შაჰმა ახლო ურთიერთობები დაამყარა ნაცისტურ გერმანიასთან, საფრანგეთთან და აშშ-სთან, რითაც ცდილობდა ერთგვარი ბალანსი მოეხდინა რეგიონში, პირველ რიგში დიდი ბრიტანეთის და საბჭოთა კავშირის გავლენების შესასუსტებლად. ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობა გახდა ბრიტანეთსა და ირანს შორის დაძაბულობის ახალი, მძლავრი წყარო.

მეორე მსოფლიო ომამდე აშშ ითვალისწინებდა თავისი უშუალო მოკავშირეების - დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას ირანის მიმართ, რადგან მათ საკუთარი ინტერესები გააჩნდათ ირანში. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ აშშ-ირანს შორის ურთიერთობების განვითარებას ეს ფაქტორი ძალიან ზღუდავდა.

რაც შეეხება აშშ-ირანის ურთიერთობებს მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში. ის 30-იან წლებში ვითარდებოდა ძალიან რთულად. სკეპტიკური დამოკიდებულება თავისი ქვეყნის მიმართ, შაჰის მუდმივი ეჭვიანობა და სურვილი განემტკიცებინა თავისი ხელისუფლება, ხშირად განსაზღვრავდა ირანული დიპლომატიის მოტივაციას. ეს გამოიხატა იმაშიც, რომ 1935 წლის 27 ნოემბერს, მოხდა ე.წ. „ელქტონის ინციდენტი“, როცა სიჩქარის გადაჭარბების გამო ქ. ელქტონში მერილენდის შტატში, დაპატიმრებულ იქნა ირანის დესპანი აშშ-ში ჯაფარ ჯელალი. 29 მარტს ირანმა დახურა წარმომადგენლობა აშშ-ში. ამით აშშ-ს დიდი დანაკარგი არ უგრძვნია, მაგრამ ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისით გამოდიოდნენ სხვადასვა ჯგუფები, რომლებიც ურთიერთობათა აღდგენას ითხოვენ, ორ ქვეყანას შორის. პირველი ნაბიჯი იყო 1937 წლის მარტში აშშ-ს საქმეთა რწმუნებლის დანიშვნა ირანში - კ. ენგერტის[7]. შემდეგ ამას მოჰყვა აშშ-ს პრეზიდენტის მისალოცი წერილი 1938 წლის მარტში, შაჰის დაბადების

[7] კ. ენგერტი - მსახურობდა ამერიკულ წარმომადგენლობაში, თეირანში 1920-იანი წლებიდან. ის პირადად იცნობდა შაჰს.

დღესთან დაკავშირებით, რამაც მოამზადა სახელმწიფო დეპარტამენტის, ახლო აღმოსავლეთის განყოფილების უფროსის უ. მიურეის მისია ირანში, 1938 წლის ოქტომბერში, რა დროსაც მიურეიმ შაჰს მეორე წერილი გადასცა პრეზიდენტისგან. აშშ-ს მხრიდან გადადგმულმა ნაბიჯებმა საგანგაშო მდგომარეობა შექმნა ევროპაში, რასაც დაემატა 1939 წლის იანვარში ირანის ოფიციალური წარმომადგენლობის გახსნა ვაშინგტონში. ამრიგად, დიპლომატიური ურთიერთობები აღდგა ორ ქვეყანას შორის, მაგრამ შედარებით დაბალ დონეზე.

აშშ-ს პოლიტიკაში ირანთან მიმართებით პირველი ცვლილებები, მოხდა II მსოფლიო ომის პირველ პერიოდში. საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადებამ 1939 წლის აგვისტოში, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამერიკა-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობაზე. ამერიკაც და ირანიც, ომის დასაწყისში აღმოჩნდნენ ერთ ფლანგზე, ნეიტრალურზე, ხოლო ამ ნეიტრალურ სახელმწიფოთა რიგში უპირველესი აშშ იყო, რომელიც დემონსტრაციულად გამოდიოდა მცირე ერების ჩაგვრის წინაამღდეგ და უპირისპირდებოდა მათ ჩართვას ომში. მოლოტოვის ვიზიტმა ბერლინში 1940 წლის ნოემბერში, კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა ამერიკა-ირანს დაახლოებისთვის. თუ განვიხილავთ საკითხს, ირანის ადგილის შესახებ აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში II მსოფლიო ომის დასაწყისისთვის, უნდა გვახსოვდეს, რომ ირანი არ იყო გამონაკლისი ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, 1937-1943 წლებში, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ს. უელსი აღნიშნავდა 1947 წელს, რომ „არ გააჩნდა აშშ-ს პოლიტიკური ინტერესები მსოფლიოს ამ მნიშვნელოვან ნაწილში“.

მიუნხენის შეთანხმება და გერმანია-იტალიის ეგრესიული პოლიტიკის ზრდა იყო ერთგვარი სიგნალი ორი ქვეყნის პოზიციების დაახლოებისთვის. 1939 წლის 14 აპრილს, დღეს როდესაც იტალიამ გამოაცხადა ალბანეთის მიერთება, აშშ-ს პრეზიდენტმა მიმართა ცნობილი წერილით ჰიტლერს, რომლითაც მოითხოვა გარანტიები, მომდევნო 10 წლის განმავლობაში არ დასხმოდა „დამოუკიდებელ ერებს“, სადაც ჩამოთვლილი ჰქონდა 31 ქვეყანა, მათ შორის ირანიც. მიმართვის ტექსტი ამერიკელი დიპლომატების მიერ გადაეცა მოცემულ ქვეყნების მთავრობებს, მათ შორის თეირანშიც. 24 აპრილს აშშ-ს

საქმეთა რწმუნებული ირანში, ენგერტი იტყობინება „ძალიან კარგი შთაბეჭდილების შესახებ“, რომელიც მოახდინა ამ ტექსტმა ირანის ხემძღვანელობაზე.

თუ გავაგრძელებთ საუბარს თემაზე „რუზველტი და ირანი“, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუზველტს საერთოდ არ ჰქონია კონტაქტების გამოცდილება ირანის შაჰთან, რაც შეეხება წერილობით მიმართვებს, მოცემულ პერიოდში, ორი წერილის გაგზავნის შემდეგ 1938 წელს, მხოლოდ 1941 წლის 24 სექტემბერს აშშ-ს პრეზიდენტმა ოფიციალურად მიმართა შაჰს, ამ უკანასკნელის დახმარების შესახებ თხოვნის პასუხად. ეს მოხდა უკვე , მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა და ინგლისმა ჯარები შეიყვანეს ირანში, და ორი კვირით ადრე შაჰის გადადგომამდე. მანამდე, 1940 წლის თებერვალში კი რწმუნებათა სიგელის გადაცემისას ახალი დესპანისადმი მ. შუსტერისადმი, რუზველტმა გამოთქვა რწმენა, რომ ირანი შესძლებდა თავის დაცვას შესაძლო აგრესორებისგან. დესპანმა ასევე დაამატა, რომ პრეზიდენტის მთავრობა გაუწევს ნებისმიერ შესაძლო დახმარებას ირანს, თავდაცვის მიმართულებით[8].

ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ომის პერიოდში სწორედ ირანი იყო იმ სამი ლოკაციიდან ერთ-ერთი სადაც დიდი სამეულის შეხვედრები გაიმართა. ეს სტალინის იდეა იყო. რუზველტი თავიდან არ ეთანხმებოდა ამას, მაგრამ როდესაც სტალინმა აღნიშნა, რომ თუ სხვაგან გაიმართებოდა შეხვედრა, მაშინ ის ვერ დატოვებდა საბჭოთა კავშირს დიდი ხნით, რუზველტიც დათანხმდა. თეირანში ორი მნიშვნელოვანი საკითხი იყო გადასაწყვეტი: პირველი ეს იყო მოკავშირეების მიერ მეორე ფრონტის გახსნის ადგილისა და ზუსტი დროის განსაზღვრა და მეორე - ლენდ-ლიზის პროგრამით საბჭოთა კავშირის შემდგომი უზრუნველყოფის დეტალები რომლის მიწოდების მთავარი კორიდორი სწორედ ირანი უნდა გამხდარიყო[9].

1941-1943 წლები ეს იყო ირანთან მიმართებაში აშშ-ს პოლიტიკის კონცეპტუალური საფუძვლების ფორმირების პერიოდი, კოალიციური დიპლომატიის ჩარჩოებში. ირანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ამერიკის ჩართულობის მკვეთრმა ზრდამ 1941-

---

[8] Douglas Little. Mission impossible: The CIA and the Cult of Covert action in the Middle East. Diplomatic History. 2004. Vol 23, No 5. გვ 667-701.

[9] პაპასქირი თ. დიდი სამეულის კონფერენციები (თეირანი, იალტა, პოდსტამი). 2010, გვ. 21

1943 წლებში, გამოიწვია ის, რომ აშშ-ს სხვადასხვა სამთავრობო უწყებები ფართოდ დაკავდნენ შუა აღმოსავლეთით და ირანით. ამ რეგიონში ამერიკის პოლიტიკას წარმართავდა თავდაცვის სამინისტრო და სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლებიც პასუხს აგებდნენ აშშ-ს ძირითად პოლიტიკურ მიმართულებებზე: პირველი „სპარსული კორიდორის" ორგანიზება და უსაფრთხოება, რათა მომხდარიყო სსრკ-ს შეუფერხებელი მომარაგება სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით და მეორე მხარი დაეჭირათ ირანის მისწრაფებებისთვის დაეცვა საკუთარი დამოუკიდებლობა. თანდათან აშშ-ს ირანულმა პოლიტიკამ შემდგომი კორექცია განიცადა, როგორც სტრუქტურულად, ისე ფუნქციურადაც. თანდათან გააქტიურდა კონგრესი. ოფიციალურ განცხადებებში ჭარბობდა თეზისი- ირანის დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების შესახებ. რადგან აშშ-ს ჩართულობა ირანის საქმეებში გაიზარდა, აუცილებელი გახდა ირანში დასწრების კონკრეტული გეგმის ფორმულირების აუცილებლობა. ამ სამუშაოებს სახელმწიფო დეპარტამენტში 1943 წლის იანვარში საფუძველი დაუდო დიპლომატ ჯონ ჯერნეგანის მემორანდუმმა[10]". მიუხედავად იმის, რომ ექსპერტების უმრავლესობა (ჯერნეგანი, მიურეი, ჰარლი, მილსპო, ჰენდერსონი და სხვა.) გარკვეულ საკითხებზე ვერ თანხმდებოდნენ, ისინი ერთხმად აღიარებდნენ, რომ არსებობდა ირანის დაყოფის საშიშროება სსრკ-სა და ბრიტანეთს შორის, ამიტომ გამოსავალს ისინი ირანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებაში ხედავდნენ, რაშიც მთავარი როლი აშშ-ს უნდა შეესრულებინა. თეირანის კონფერენციაზე ირანის შესახებ დეკლარაციის ხელმოწერით, ამერიკის შეერთებული შტატები პასუხისმგებლობით უთანაბრდებოდა სხვა სახელმწიფოებს, რომლებსაც დიდი ინტერესები გააჩნდათ ირანში. საინტერესოა ერთი გარემოება, რომ დიდი სამეულის ოფიციალურ შეხვედრებზე თეირანში, შაჰი არცერთხელ არ ყოფილა მიწვეული, რამაც მისი განაწყენება გამოიწვია კიდეც. როგორც ცნობილია, შაჰს საბჭოთა და ბრიტანელი წარმომადგენები ადანაშაულებდნენ იმაში, რომ მეორე მსოფლიო ომში, ნაცისტური გერმანიის მხარე დაიჭირა და სწორედ გერმანიაში ხედავდა შაჰი მესამე ძალას. 1941 წელს ერაყში

[10] Memorandum of Conversation, by Mr. John D. Jernegan of the Division of Near Eastern Affairs ob. https://history.state.gov/historicaldocuments/frus1943v04/d387

პროგერმანული გადატრიალების შემდეგ ინგლისისთვის ირანის ლოიალურობის საკითხი დიდად მნიშვნელოვანი გახდა, რადგან რუსეთთან დამაკავშირებელი პირდაპირი გზა ევროპაში ვერმახტის ჯარებმა ჩაკეტეს, ხოლო შეიარაღებისა და ეკონომიკური დახმარების მიწოდების ყველაზე ოპტიმალურ სატრანსპორტო მარშრუტად სწორედ ირანული დერეფანი რჩებოდა. სწორედ ამიტომ 1941 წლის 23 აგვისტოს მოსკოვმა და ლონდონმა ირანის წინააღმდეგ ერთობლივი მასირებული სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო შეტევა დაიწყეს[11]. ხუთ დღეში შაჰმა კაპიტულაცია გამოაცხადა. ამ თავდასხმით კრემლმა ირანთან მეგობრობის შესახებ 1921 წლის ხელშეკრულების მე-6 მუხლი დაარღვია, ხოლო ბრიტანეთმა ევროპაში განცდილი მარცხის ფონზე, ირანული კამპანია წარმატებით დაასრულა. ეს იყო გაგრძელება იმ პოლიტიკისა, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობდა რეგიონში. გავლენათა სისტემა უნდა შენარჩუნებულიყო და ამისთვის ზესახელმწიფოები როგორც გამოჩნდა ყველაფერს გააკეთებდნენ და შესაბამისად სამხედრო ინტერვენციასაც არ მოერიდებოდნენ.

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები XX საუკუნის შუა წლებიდან თანდათან ჩაენაცვლა დიდ ბრიტანეთს.

ვერც დასავლეთის ქვეყნები და ვერც საბჭოთა კავშირი ვერ წარმოიდგენდა, რომ II მსოფლიო ომის დასასრულისთვის ირანი აღმოჩნდებოდა აშშ-ს ეროვნული ინტერესების სფეროში და სწორედ იქ მოხდებოდა ცივი ომის პირველი კონფლიქტი და გადაეკვეთებოდა საბჭოთა და ამერიკული ინტერესები. ეს არამხოლოდ ზემოთაღნიშნული ქვეყნებისთვის იქნებოდა წარმოუდგენელი, არამედ, ამას თვით ამერიკელებიც ვერ დაიჯერებდნენ[12].

სახელმწიფო მდივანი კ. ჰალი თავის მემუარებში ამბობს: „ომამდე ჩვენს ურთიერთობებს ირანთან არასდროს ჰქონია დიდი მნიშნელობა. ირანის საგარეო პოლიტიკური კურსი დამოკიდებული იყო რუსეთზე და ბრიტანეთზე.

ა. მილსპო, ირანში ორი ამერიკული ფინანსური მისიის მეთაური, რომელიც ყველაზე კარგად იცნობდა ირანს, ეთანხმებოდა ამ შეფასებებს: „ომისა და მზის ქვეყანა, II

---

[11] გელაძე გიორგი, ირანის უკანასკნელი შაჰი, თბილისი, 2009, გვ. 17.

[12] აღნიშნული ტექნიკა ძალიან დაეხმარა ისრაელს ე.წ. „ექვსდღიანი ომში“ რომ გამარჯვება მოეპოვებინა.

მსოფლიო ომამდე აშშ-ს პოლიტიკური ჰორიზონტის მიღმა იყო. აშშ-ს ადრინდელი ინტერესები შუა აღმოსავლეთში, მათი საგანმანათლებლო და მისიონერული დაწესებულებები ომის დასაწყისში, ატარებდა არაპოლიტიკურ ხასიათს". მსგავსი ციტატების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება და დასკვნა ცალსახაა, ამერიკა-ირანის ურთიერთობები ომის წინა, აშშ-ის პოლიტიკური ინტერესების მიღმა იყო.

შესაძლებელი რამდენიმე მიზეზის ხაზგასმა, რომელიც გარკვეულწილად ხსნის იმ ურთიერთობათა გამას, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ირან-აშშ-ს შორის: ჯერ ერთი, ტრადიციული ირანი იმყოფებოდა რუსეთისა და ბრიტანეთის გავლენის სფეროში. მეორე - საერთო პოლიტიკური ინტერესების არქონა, აგრეთვე, განსხვავებული დიპლომატიური „წონითი კატეგორიები", ირან-აშშ-ის საერთაშორისო ურთიერთობებში. მესამე - ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური საფუძელი იყო ერთ-ერთი წინაღობა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში დიდი ხნის განმავლობაში იზოლაციონიზმის პოლიტიკა, რომლის სამართლებრივი ბაზა 1935 წლიდან იღებდა სათავეს - კანონმდებლობა ნეიტრალიტეტის შესახებ.

ირანის თავის პოლიტიკაში ცდილობდა დაბალანსებას სსრკ-სა და ბრიტანეთის ინტერესების, და დაყრდნობოდა „მესამე ძალას[13] ". ქვეყანას, რომელიც საპირწონე იქნებოდა ინგლისს-სსრკ-ის გავლენისა და დაეხმარებოდა ირანს დამოუკიდებლობის მიღწევაში და თუ აშშ ირანს მიაკუთვნებდა ბრიტანეთის გავლენის სფეროს, ირანის სამთავრობო ადმინისტრაციის დიდი ნაწილი შაჰით სათავეში „მესამე ძალად" განიხილავდა ნაცისტურ გერმანიას. მეოთხე - ავტორიტარული მმართველობის სტილი და შაჰის პიროვნება. როგორც აღნიშნავდა კ. ჰალი[14] : „ირანის მთავრობა დიქტატორ რეზა ფეჰლევის ხემძღვანელობით, 1925 წლიდან 1941 წლამდე იყო წინაღობა ამერიკა-ირანის ურთიერთობებში. რეზა ფეჰლევი ამ დროს ცდილობდა დაეხურა კარი ნებისმიერი უცხოური გავლენისთვის, პერიოდულად აგზავნიდა რა საპროტესტო განცხადებებს

[13] მესამე ძალად ირანში მოიაზრებდნენ ამერიკის შეერთებული შტატებს, ან ნაცისტურ გერმანიას.
[14] კორდელ ჰალი - აშშ-ს სახელმწიფო მდივანი 1933-44 წლებში, 1945 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი.

სხვადასხვა მთავრობების მიმართ, იმ პუბლიკაციების გამო, რომელიც უცხოურ პრესაში იბეჭდებოდა, და რომელსაც ის განიხილავდა მავნებლობად, ირანისთვის.

ინტერესების არქონდა ირანისადმი და რეგიონისადმი, განსაზღვრავდა შესაბამის ორგანიზაციულ სტრუქტურას სახელმწიფო დეპარტამენტში. 1942 წლიდან ირანის განყოფილებაში მუშაობდა სულ 7 ადამიანი, რომლებიც დაკავებული იყვნენ ჩრდ. აფრიკით, ინდოეთით და ახლო აღმოსავლეთითი. თეირანში იყო ამერიკის წარმომადგენლობა, რომელიც შედგებოდა 4 ადამიანისგან და ორი საკუნსულო. თეირანში 2 ადამიანი და თავრიზში 1 ადამიანი. სახასიათოა ამ საკითხთან დაკავშირებით მ. ლიტლის შენიშვნა: „რამდენიმე ადამიანის გარდა, როგორიც იყო მიურეი, სახელმწიფო დეპარტამენტში ვერ მოიძებნებოდა ერთი ადამიანიც კი, რომელმაც იცოდა სად მდებარეობდა ირანი, რომ არაფერი ვთქვათ იმათზე, ვინც შეიმუშავებდა გონივრულ პოლიტიკას“.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კ. ჰალი იყო თავისი საქმიანობით აქტიური მონაწილე აშშ-ირანის ურთიერთობებისა, მაგრამ მთავარი არქიტექტორი „ირან-ამერიკის ალიანსის“ მ. ლიტლის აზრით იყო ახლო აღმოსავლეთის საქმეთა განყოფილების მეთაური უ. მიურეი. თუმცა ის ეთანხმებოდა კ. ჰალის შეფასებას „რეზა შაჰის ავტორიტარული ნაციონალისტური რეჟიმის შესახებ, და მაინც „ის გამოდიოდა ადვოკატის როლში ირანთან პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების მიმართულებით, აშშ-ს მთავრობაში. ის თვლიდა, რომ აშშ უნდა დახმარებოდა შაჰს ქვეყნის მოდერნიზაციის მცდელობის საქმეში. ის იზიარებდა ირანელთა ეჭვებს საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მიმართ. ის ხედავდა აშშ-ს „მესამე ძალად“, ირანისთვის. თვლიდა, რომ ორმხრივი ურთიერთობა სარგებელს მოუტანდა ორივე ქვეყანას. მიურეი კარგად იცნობდა ირანს. 1920-იან წლებში, ისევე როგორც კ. ენგერტი, ისიც მუშაობდა ირანში ა. მილსპოსთან ერთად. ის იყო გამოცდილი დიპლომატი. 1945 წელს ის დაინიშნა ელჩად ირანში, ძალიან საპასუხისმგებლო პერიოდში. უშუალოდ ირანში მთავარ სამუშაოს დიპლომატიური ურთიერთობების მიმართულებით აწარმოებდა აშშ-ს საქმეთა რწმუნებული ირანში - კ. ენგერტი(1937-1940წწ.) და დესპანი ლ. დრეიფუსი, რომელმაც შეცვალა ენგერტი 1940 წელს.

ინფორმაციის შეკრება დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის შესახებ ახლო აღმოსავლეთში მათ შორის ირანში, ინფორმაციის ანალიზი და პროგნოზების შედგენა „ინფორმატორების“ დახმარებით, ძალიან ფართოდ მიმდინარეობდა, სახელმწიფო დეპარტამენტში. ამ პერიოდში აშშ-ს ადმინისტრაციას აინტერესებდა ოთხი დიდი სახლემწიფოს ურთიერთობა: გერმანია, სსრკ, ბრიტანეთი და თურქეთი. მათი პოლიტიკის განსაზღვრა ირანში. გარკვეული ყურადღება ეთმობოდა საავარაუდო კონფლიქტებს ერთი მხრივ ინგლისისა და საფრანგეთის საბჭოთა კავშირთან, შავი და კასპიის ზღვებთან მიმართებაში და ასევე ჰიტლერის და სტალინის განზრახვები ირანთან დაკავშირებით.

ყურადღება გამახვილდა ირანის რეგინალური როლის შესახებ ახლო აღმოსავლეთში. აშშ-ს აინტერესებდა“ *საადაბადის პაქტის*[15] “ თვდაცვით კავშირად გადაქცევის შესაძლებლობა და ა.შ.

მეორე ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში ეხებოდა საგარეო პოლიტიკას. თავდაუსხმელობის შესახებ პაქტის დადებით[16], რასაც მოჰყვა გერმანიის პოლიტიკის გულგრილობა ირანისადმი, გამოიწვია ამ უკანასკნელის ჩამოშორება პროგერმანული ჰორიზონტიდან. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, რომელიც იმპერიული რუსეთის სამართალმემკვიდრე გახლდათ, მასთან საუკუნეების განმავლობაში გააჩნდა გეოპოლიტიკური დაპირისპირება ირანს. შემდეგ განმტკიცდა იმ პოლიტიკოსთა პოზიცია, რომელიც გამოსავალს ამერიკასთან დაახლოებაში ხედავდა, რადგან ის მიაჩნდა „მესამე ძალად“, რომელიც მცირე ერებს დაეხმარებოდა ამ ურთულეს მომენტში.

ამრიგად თუ ომის წინ ირანი იყო აშშ-ს პოლიტიკური ინტერესების მიღმა, ომის პირველივე პერიოდში მოხდა სერიოზული ცვლილებები, ამასთან, ყველაზე დაინტერესებული ორმხრივი ურთიერთობებით ირანი იყო. მოვლენები აღმოსავლეთ ევროპაში და ნდობის დაწევა გერმანიის მიმართ, აიძულა ირანი საგარეო პოლიტიკური ვექტორის კორექტირება მოეხდინა ახალი მესამე ძალის - აშშ-ს სასარგებლოდ, რომლის

---

[15] The Great Soviet Encyclopedia. 1979. https://encyclopedia2.thefreedictionary.com/Saadabad+Pact+of+1937

[16] იგულისხმება მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, რომელიც გაფორმდა საბჭოთა კავშირსა და ნაცისტურ გერმანიას შორის, 1939 წელს.

ავტორიტეტიც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მსოფლიოს საერთაშორისო ასპარეზზე.

აქვე გვინდა ამერიკა-ირანის ეკონომიკური ურთიერთობების რამდენიმე საინტერესო ასპექტი აღვნიშნოთ; მას შემდეგ, რაც 1942 წლის მარტში აშშ აღიარებულ იქნა სტრატეგიული თავდაცვისთვის შესაბამის სახელმწიფოდ, ის ნელნელა ჩაერთო ირანის შიდა ეკონომიკურ საქმეებში. მათ შორის ეხმარებოდა ირანს სასურსათო, სატრანსპორტო და სავაჭრო სირთულეების გადაჭრაში, რაც აფერხებდა ირანის ეფექტურ ურთიერთობას მოკავშირეებთან. 1942 წლის დეკემბერში აშშ გახდა მონაწილე ინგლის-ამერიკა-ირანის სასურსათო ხელშეკრულების, ხოლო 1943 წლის აპრილში დაიდო ორმხრივი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც აშშ-ს დომინირებით შედგა და რომელიც ატლანტიკურ ქარტიას ეფუძნებოდა, რაც დიდ პოლიტიკურ დივიდენდებს და იმიჯს მოუტანდა რუზველტის ადმინისტრაციას. ამის შემდეგ აშშ-ს პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციები ახლო და შუა აღმოსავლეთში ძალიან გაძლიერდა. ომის პოლო დეკადაში, აშშ-ს მეორე პოზიცია ეკავა ირანთან ვაჭრობის მიმართულებით. ამ პერიოდში ამერიკა ცდილობს გააძლიეროს ირანი, რათა შემდეგ მან თვითონ შესძლოს თავისი ეროვნული უსაფრთხოების დაცვა. ეკონომიკური დახმარება მთავარ იმპერატივად იქცა ამერიკისთვის, რათა ირანის დამოუკიდებლობა უზრუნველეყო, თუმცა შემდეგომ განვითარებულმა მოვლენება ძალიან ბევრი პრობლემა და თავსატეხი გაუჩინა ირანის ცენტრალურ ხელისუფლებას. ირანის აზერბაიჯანში განვითარებული მოვლენები ომისშემდგომ განვითარებული პროცესებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსადეყის ხელისუფლებაში მოსვლამდე.

§1.2. ირანის აზერბაიჯანის კრიზისი

მას შემდეგ რაც გამოიკვეთა II მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების აშკარა ნიშნები, საბჭოთა კავშირის ხემძღვანელობამ დაიწყო ახალი შესაძლო გეგმების შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავდა ტერიტორიული მოთხოვნების წაყენებას ირანისთვის და თურქეთისთვის. ამ პერიოდში დადგა საკითხი ირანის აზერბაიჯანის

შესახებ. რეზა შაჰის ძალიან ბევრი მცდელობის მიუხედავად, რუზველტს არ აუღია პასუხისმგებლობა, რომლითაც აშშ გახდებოდა ირანის ტეროტორიული მთლიანობის გარანტი. როგორც ცნობილია, აშშ განსხვავებით საბჭოთა რუსეთისგან და ბრიტანეთისგან, არ ასოცირდებოდა იმპერიულ ძალად და ნათელი ხდებოდა, რომ აშშ მომავალ წლებშიც უფრო აქტიური პოლიტიკის წარმოებას აპირებდა ირანში. სხვა თუ არაფერი, ომის პერიოდში, ლენდ- ლიზის პროგრამით სამხედრო აღჭურვილობა მიეწოდებოდა საბჭოთა კავშირს, ამერიკის შეერთბული შტატებისგან.

როდესაც საბჭოთა კავშირმა ნახა, რომ შესაძლებელი იყო სანავთობო კონცესიის ამერიკისთვის მინიჭება, ფართო მასშტაბით დაიწყო ზეწოლა ირანზე. მთავარ მოქმედ ძალად, თითქოსდა, უნდა გამოეყენებინათ კომუნისტური პარტია „თუდე“, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ შეძლო საბჭოთა რუსეთმა პარტიის თავისი მიზნებისთვის გამოყენება.[17]

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტია, რომელიც წარმოდგენილი იყო ქვეყანაში, როგორც აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტია. პარტიას ხემძღვანელობდა ცნობილი კომუნისტი ჯაფარ ფიშავარი. დემოკრატიული პარტია მოითხოვდა რეგიონისთვის ფართო ავტონომიას, ხოლო ცენტრალურ ხელისუფლებას გულგრილობაში სდებდნენ ბრალს. თუდეს პარტიამ, რომლის შვილობილ პარტიად შეიძლება წარმოვადგინოთ აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტია, მისი ერთ-ერთი აქტიური წევრის ხალილ მალექის მცდელობით, კავშირი გაწყვიტა დემოკრატიულ პარტიასთან. პარტიამ ესეც არ იკმარა და რეზოლუციაც კი მიიღო ფიშავარის წინაამღდეგ, რომლითც თუდე საერთოდ უარს ამბობდა დემოკრატიული პარტიის ცნობაზე, ამ რეზოლუციის მიღებაში ჩaერია საბჭოთა საელჩო, რომელმაც აუკრძალა თუდეს რეზოლუციის მიღება.

1945 წელს დემოკრატიულმა პარტიამ ჩატარა კონგრესი თავრიზში, სადაც გამოცხადდა აზერბაიჯანის ავტონომიის შექმნა, ცენტრალური ხელისუფლების აღიარების პარალელურად. ავტონომია აგრძელებდა გადასახადების გადახდა და ირანის მეჯლისს აღიარებდა, როგორც ქვეყნის უმაღლეს საკანომდებლო ორგანოს. ამ პერიოდში,

[17] Maziar Behrooz. Cambridge University Press. International Journal of Middle East Studies, Vol. 33, No. 3 (Aug., 2001).

როგორც ცნობილია ქვეყანაში იდგა საბჭოთა და ბრიტანული არმიები. მიუხედავად შეთნხმებისა, საბჭოთა მხარე ირანიდან გასვალს არ აპირებდა[18] .

სწორედ ირანის აზერბაიჯანის საკითხის პარალელურად ვითარდებოდა ქურთისტანის ავტონომიის შექმნის საქმე. საბჭოთა მხარე ყველა ხერხს იყენებდა, რომ ეს რეგიონიც საკუთარ ორბიტაზე გადმოეყვანა, მაგრამ ეს მცდელობა წარმატებით არ დასრულდა.

ფართო პოლიტიკური პროპაგანდა მიმდინარეობდა სამხრეთ აზერბაიჯანში. საბჭოთა მხარდაჭერით 1944 წლის 6 მარტს ბაქოში დაარსდა კავკასიის მუსლიმთა სამმართველო, რომლითაც საბჭოთა რუსეთი იმედოვნებდა აზერბაიჯანის მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას.

მიმდინარე პროვესებს ძალიან დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს დიდი ბრიტანეთი და აშშ. ისინი ვერ დაუშებდნენ საბჭოთა გავლენის ზრდას ირანში. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ საბჭთა კავშირმა წარმომადგენელი გააგზავნა ირანში(სერგო ქავთარაძის მეთაურობით), რათა მომხდარიყო მოლაპარაკებები კონცესიის საკიტხთან დაკავშირებით. ერთვიანი უშედეგო მოლაპარაკებები შემდეგ საბჭოთა დელეგაცია დაბრუნდა მოსკოვში, ეს იყო საწყისი ეტაპი, საიდანაც იწყება საბჭოთა ფართომასშტაბიანი პროპაგანდა ირანის აზერბაიჯანში.[19]

1945 წლის 6 ივლისს მიღებული რეზოლუციით, რომლითან ხდებობდა სეპარატისტული ჯგუფების მხარდაჭერა სამხრეთ და ჩრდილოეთ აზერბაიჯანში, მოხდა წახალისება ფიშვარის მთავრობისთვის, რომ გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა. რთულია იმსჯელო იმაზე, თუ რა სურდა სტალის ირანის აზრბაიჯანში, გარდა ეკონომიკური ინტერესებისა, თუმცა ერთი კი არის აშკარა, რომ გეოპოლიტიკური ფაქტორი ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო და მას სურდა გასასვლელი მოეპოვებინა სპარსეთის ყურეში და ინდოეთისკენ. 11 ივლისს გაცემული ბრძანებით, უნდა მომხდარიყო სეპარატისტული ჯგუფების სრული მხარდაჭერა აზერბაიჯანში, ასევე

[18] გიორგი სანიკიძე. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობა სამხრეთ კავკასიასთან. 2011 წ. გვ. 268.

[19] ირანისა და თურქეთის კრიზისების შესახებ საქართველოში დაცული საყურადღებო საარქივო მასალები მოიძია და შეისწავლა გ. მამულიამ (Mamoulia, 2004).

წაექეზებინათ ავტონომისტური მოძრაობები ჩრდილოეთ ირანში. ამის დაგვირგვინება იყო, 10 დეკემბერს ფიშავარის მიერ თავრიზში გამოცხადებული ავტონომია, მომავალი წლის იანვარში შეიქმნა ქურთების ავტონომიური მთავრობაც.

აქ შეგვიძლია რამდენიმე სიტყვით შევეხოთ საქართველოს საბჭოთა მთავრობის მცდელობას, გამოეყენებინათ ფერეიდნელი ქართველები შესაძლო კომფრომტაციის შემთხვევაში, ირანის წინაამღდეგ. საბჭოთა მთავრობამ დაიწყო „ზრუნვა“ იქ მცხოვრებ ქართველებზე, დაიწყეს სპეციალური პუბლიკაციების გამოქვეყნება, რომ თითქოს ხდებოდა ხაზგასმა საერთო ისტორიაზე, მათ ქართულ ძირებზე. ასევე გამოცხადდა პრინციპი, რომლითაც ნებისმიერ მსურველს ფერეიდანში, შეეძლო დაბრუნებულიყო საქართველოში. თავის მხრივ ქართული მხარე იმეტდოვნებდა, რომ თუ მოხდებოდა ირანის გაყოფა, ესშესაძლებლობას მისცემდა საქართველოს საბჭოთა მთვრობას, რომ ტერიტორიული პრეტენზიები წაეყენებინა თურქეთისთვის და აზერბაიჯანისთვის.

სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ ირანის ხელისუფლებამ შეტევაა მიიტანა თავრიზში მყოფ სეპარატისტებზე და გააუნებელყო ისინი, ამან კი ყველანაირი იმედი ჩაუკლა ქართულ მხარეს, რომ მოხდებოდა ფერეიდნელი ქართველების გარკვეული დოზით მაინც რეაბილიტაცია.

1945 წლის ნოემბერში ირანის აზერბაიჯანი მოიცვა სრულა ტერორმა. ამ პოლიტიკას ადგილობრივი ხელისუფლება აზარმოებდა, რომელიც სარგებლობდა საბჭოთა კავშირის სრული მხარდაჭერით. თუმცა მიმდინარე მოვლენები მოკლე ვადაში იმდენად საშიში პროცესებში გადაიზარდა, რომ გამოიწვია საბჭოთა ხემძღვანელობის დაფიქრება, ხო არ მოუწევდა მას დასავლეთის კითხვებზე პასუხის გაცემა. ფიშავარმა ნელნელა დაიწყო უკან დახევა.

ამ ხანებში ირანის პრემიერ-მინისტრი გახდა ყველასთვის კარგად ცნობილი პოლიტიკური ვირტუოზი აჰმად ყავამი, რომელსაც ბრიტანელები მოიხსენიებდნენ, როგორც „ბებერი ჩიტი“. ამერიკელები კი მას იხსენიებენ, როგორც ნიჭიერ პოლიტიკოსს. სწორედ მისი პოლიტიკური გამჭრიახობის შედეგი იყო ის, რომ დასავლეთისთვის კარგად გახდა ცნობილი, თუ როგორ პოლიტიკას აწარმოებდა საბჭთა მხარე ირანში. მან აშშ-ს აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის დივიზიის დირექტორს მარის შატყობინა, რომ

საბჭოთა მხარე ჯარების გაყვანას კი არ აპირებდა, საერთოდ ზრდიდა კიდეც კონტიგენტ ქვეყანაში.რაც შეეხება ხსენებულ საკითხს, ყავამის მოლაპარაკებების პარალელურად მოსკოვში, საბჭოთა ძალებმა დაიწყეს კონცენტრირება თურქეთ-ირანის საზღვარზე და მალევე აიღეს გეზი თეირანისკენ, რაზეც აშშ-მ, დაუყოვნებლივი განმარტება მოითხოვა საბჭოთა კავშირისგან, თუმცა პასუხი არ მიუღია. მიუხედავად საერთაშორისო ზეწოლის გაძლიერებისა, საბჭოთა კავშირი სასტიკად უარყოფდა ირანში დამატებითი ძლების შეყვანას. საქმე უშიშროების საბჭოშიც იქნა განხილული, სადაც საბჭოთა მხარემ ასევე უარყო ზემოთხსენებული ბრალდება.

უშიშროების საბჭოს მომდევნო შეხვედრამდე ერთი დღით ადრე, საბჭოთა კავშირმა გამოთქვა სურვილი გაეყვანა ჯარები ირანიდან ექვსი კვირის ვადაში, რაზეც ამერიკის პასუხი გაცილებით მკაცრი აღმოჩნდა. ბირნსმა შტატების სახელით, მოსთხოვა საბჭოთა რუსეთს გაეყვანა ჯარების დაუყოვნებლივ, ირანიდან.

როგორც ჩანს ასეთმა მხარდაჭერამ აშშ-ს მხრიდან წაახალისა აჰმად ყავამი, რომელმაც ირანის ოფიციალურ წარმომადგენელს გაეროში, დაავალა, რომ განეცხადებინა ირანის ცენტრალური მთვრობის სურვილი, შეეყვანა ჯარები აზრბაიჯანის ტერიტორიაზე. ბუნებრივია ირანის ამ განცხადებამ ძალიან დიდი გაღიზიანება გამოიწვია რუსეთის მხარისთვის. როგორც ცნობილია, ამ დროს რუსეთის ელჩი გაეროში, მივიდა ირანის ელჩთან და უთხრა, რომ საბჭოთა კავშირი გადახედავდა ურთიერთობებს ირანის მიმართ. ყავამი დარწმუნდა, რომ უკვე აღარ ემუქრებოდა ქვეყანას საბჭოთა საფრთხე. საბოლოოდ ირანისა და საბჭოთა რუსეთს შორის ურთიერთობა დასტაბილურდა შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც რუსეთი ჯარებს გაიყვანდა ირანიდან არაუგვიანეს მაისისა, ასევე შეიქმნებოდა საერთო სანავთობო კომპანია. დოკუმენტში მოხდა ხაზგასმა, რომ აზერბაიჯანის საკითხი საკუთრივ ირანის საშინაო პოლიტიკის საკითხი იყო.

საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ აჰმად ყავამი შედარებით ზომიერი პოლიტიკით გამოირჩეოდა საბჭოელების მიმართ. მან ფართო ავტონომიური უფლებები მიანიჭა ფიშავარის მთვრობას. ესეც არ იკმარა და თუდეს წევრებს მთავრობაშიც მიუჩინა ადგილი. ამის პარალელურად იმდენად გაძლიერდა ამერიკის მხარდაჭერა პემიერ-მინისტრის მიმართ, რომ მან 1946 წლის დეკემბერში ჯარები შეიყვანა აზერბაიჯანში და 14 დეკემბერს

დაამხეს ფიშავარი მთვრობა. ირანის ჯარების შესვალს რეგიონში, მოჰყვა დიდი სიხარული ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ნათელი იყო, რომ ხალხს ცნტრალური ხელისუფლების მიმართ გაცილებით დიდი სიმაპათიები ამოძრავებდა, ვიდრე აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის ხემძღვანელობასთან.

აჰმად ყავამმა თავისი პოლიტიკის ქვაკუთხედად აქცია საბჭოთა ძალების წინაამღდეგ ბრძოლა. მან ძალიან ჭკვიანური და გათვლილი ნაბიჯებით მოახერხა აღმოეფხვრა საბჭოთა საფრთხე ირანში. ჯერ პრემიერმა მთავრობაში მყოფი თუდეს წევრები მოხსნა თანამდებობებიდან, ხოლო შემდეგ 100-ზე მეტი თუდეს წევრი დააპატიმრა თეირანში. ყავამი რომ შეერთებული შტატებისგან იყო წახალისებული, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, ხოლო აშშ-ს მთავარი მიზანი ირანში, იყო ის, რომ აერიდებინა წითელი საფრთხე ირანისთვის, რასაც მიაღწია კიდეც. იმხანად გამართულ საპარლამენტო არჩევნებში მიღებული მონაცემებით, ნათელი იყო, რომ თუდე უკვე აღარ წარმოადგენდა საშიშროებას.

ივნისის თვეში, მეჯლისმა იმსჯელა შესაძლო კონცესიების შესახებ და ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა მხარეს არ გადაეცემოდა არავითარი სანავთობო რესურსი.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ-ს ირანისადმი მხარდაჭერის პირველი პოლიტიკური ნიშნები სწორედ აჰმად ყავამის პრემიერ-მინისტრობის დროს გამოჩნდა. როდესაც აშშ ფართოდ უჭერდა ყველა ინიციატივას მხარს, რომელიც გაცხადებული იქნებოდა ირანის მხრიდან. შეგვიძლია თავისუფლად განვაცხადოთ, რომ ამ მხარდაჭერის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, აშშ-მ პირველი დიდი გამარჯვებები მოიპოვა ცივ ომში. შედეგი კი იყო ის, რომ 1946 წლის ბოლოს აზერბაიჯანში ირანის ცენტრალურმა ხელისუფლებამ აღადგინა კონტროლი.

თავი II

მოსადეყის მოსვლა ხელისუფლების სათავეში და აშშ-ირანის ურთიერთობები 1951-1953 წწ

2.1. მოჰამად მოსადეყის საშინაო და საგარეო პოლიტიკა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაციონალიზმის ტალღამ გადაუარა აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებს. ამ იდეებით მოვიდა ირანის ხელისუფლების სათავეში მოჰამად მოსადეყი. მას მტკიცედ ჰონდა გადაწყვეტილი, გაეუქმებინა ბრიტანულ-ირანული სანავთობო კომპანია, მოეხდინა ნავთობის სრული ნაციონალიზაცია და მისგან მიღებული კაპიტალი მაქსიმალურად გამოეყენებინა ირანელთა კეთილდღეობისთვის.

მოჰამად მოსადეყი დაიბადა თეირანში, გამოჩენილი ადამიანების ოჯახში. მამამისი სახელმწიფო ხაზინის უფროსი იყო, ხოლო დედამისს ნათესაური კავშირი ჰქონდა იმ პერიოდში მმართველ ყაჯარების დინასტიასთან. მოსადეყი სულ რაღაც 10 წლის იყო, როდესაც გარდაცვლილი მამის ნაცვლად ადმინისტრაციულ პოზიციაზე დაინიშნა, როგორც იმ პერიოდში ხშირად ხდებოდა ხოლმე. 1906-1907 წლებში, როგორც ,,სტრუქტურული რევოლუციის" აქტიური მხარდამჭერი, მოსადეყი პირველი მოწევის პარლამენტის დეპუტატად აირჩიეს, მაგრამ ვინაიდან მისი ასაკი სავალდებულო ასაკზე ნაკლები იყო, ამიტომ აღნიშნული პოზიცია ვერ დაიკავა.

1909 წელს ის პარიზში გაემგზავრა განათლების მისაღებად, მაგრამ ავადმყოფობამ ხელი შეუშალა და იძულებული გახდა ირანში დაბრუნებულიყო. მან განაახლა სწავლა-განათლება 1911 წელს, შვეიცარიაში, სადაც მიანიჭეს სამართლის დოქტორის ხარისხი. ის ირანში 1914 წელს დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო სკოლაში, სადაც ასწავლიდა პოლიტიკურ მეცნიერებებს.

მოსადეყი ეწინააღმდეგებოდა 1919 წელს ბრიტანეთსა და ირანს შორის ბრიტანულ-ირანული ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა ბრიტანეთის ჰეგემონიის დამყარება. მოსადეყმა არაერთი სამინისტრო პორტფელი

ჩაიბარა, სანამ მე-5 და მე-6 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი გახდებოდა (1924-1928 წწ.).

პარლამენტში ყოფნის პერიოდში ის ხელს უწყობდა დემოკრატიული პრინციპებისა და ეროვნული სუვერენიტეტის გაძლიერებას. 1925 წლის ოქტომბერში ის იყო ერთ-ერთი დეპუტატი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა რეზა ხანის სამეფო ტიტულის მოპოვების მიზნით 1921 წლის თებერვალში განხორციელებულ გადატრიალებას. მოსადეყი იბრძოდა და აგრძელებდა ბრძოლას ახალი რეჟიმის წინააღმდეგ, რის გამოც ის ჩამოშორდა პოლიტიკის. 1940 წლის ივნისში კი შაჰის გადაწყვეტილებით დააპატიმრეს და სამხრეთ ხორასანის ერთ-ერთ მიტოვებულ ციხეში გამოამწყვდიეს, სადაც მან ორჯერ თვითმკვლელობა სცადა. ექვსი თვის შემდეგ კი ის პრინც მოჰამედ რეზას გადაწყვეტილებით ისევ დააბრუნეს მშობლიურ მხარეში.

მოსადეყი პოლიტიკურ ცხოვრებას დაუბრუნდა და მე-14 მოწვევის პარლამენტის პირველ დეპუტატად აირჩიეს. ის მხარს უჭერდა ნეიტრალიტეტს და მოითხოვდა კანონპროექტის შეტანას, რომელშიც აიკრძალებოდა ამერიკისთვის, ბრიტანეთისთვის და საბჭოთა კავშირისთვის ნავთობის უფასოდ მიწოდება.

მოჰამად მოსადეყის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან აქტიური გახდა ქვეყნის უპირველესი რესურსის - ნავთობის ირანელებისთვის დაბრუნების საკითხი, რომლის მონოპოლიური უფლება ბრიტანულ-ირანულ კომპანიას გააჩნდა. ირანის ნავთობის მარაგების აღმოჩენასთან ერთად ეს ინგლისური კომპანია შეიქმნა 1908 წელს (Anglo-Persian Oil Company) . ამასთან მისი წილის 51%-ის მფლობელი ბრიტანეთის მთავრობა იყო. ირანის ბიუჯეტში კი მთელი სანავთობო შემოსავლის მხოლოდ 16% შედიოდა, რაც თანდათან უკმაყოფილებას ზრდიდა. ირანელებს ეს ციფრი მიზერულად მიაჩნდათ და ერთ-ერთ არგუმენტად საუდის არაბეთი მოჰყავდათ, რომელსაც მსგავსი სახის ხეშეკრულების საფუძველზე არაბულ-ამერიკული კომპანია „არამკოს“-სგან 50% ერგებოდა. ბრიტანელები მოქმედი ხელშეკრულების გადახედვაზე უარს ამბობდნენ. ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები კი ხელისუფლებისგან აქტიურ მოქმედებებს მოითხოვდნენ.

მოსადეყმა თავი ჯერ კიდევ ყაჯართა მმართველობის პერიოდში გაითქვა. მას სხვადასხვა დროს ეკავა: ფინანსთა მინისტრის პოსტი, საგარეო საქმეთა მინისტრის, აზერბაიჯანის პროვინციის გუბერნატორის და რამდენიმე მოწვევის პარლამენტის წევრი. მეჯლისის ტრიბუნიდან მან შაჰს უზურპატორი უწოდა, რისთვისაც ფეჰლევიმ ის მცირე ხნით დააპატიმრა კიდეც და იძულებით გააჩუმა. 1944 წელს მოსადეყმა ღიად დაგმო საბჭოეთთან კაბალური სანავთობო შეთანხმების პროექტი და ამავდროულად კამპანია ბრიტანელების წინააღმდეგ გააჩაღა.

ზუსტად ამ პერიოდის ირანში, მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის იდგნენ სხვადასხვა ლიბერალური, ანტიმონარქისტული და ნაციონალისტური ჯგუფები, რომლებიც გაერთიანდნენ 1949 წელს სწორედ ცნობილი ნაციონალისტის დოქტორ მოსადეყის მიერ შექმნილ „ეროვნულ ფრონტში“. მოსადეყმა ეროვნულ-ნაციონალური პარტია დაარსა თავის თანამებრძოლებთან ჰოსეინ ფათემთან და ქერიმ სანჯაბთან ერთად და დაიწყო ბრძოლა ,,დიადი საქმისთვის“. სწორედ ეს ჯგუფი გამოდიოდა სანავთობო კონცესიების სრული ნაციონალიზაციის იდეით, რასაც ხელისუფლება იმ არგუმენტით უარყოფდა, რომ ირანი ვერ შეძლებდა მრეწველობის ადმინისტრირებას და, ამდენად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მოსადეყი ეკონომიკურ ეფექტზე მეტად ნაციონალიზაციის მორალურ ასპექტზე ამახვილებდა ყურადღებას. ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარეშე ეკონომიკური თავისუფლების მიღწევა შეუძლებელი იყო. მის სიტყვებში ჭარბობდა მონობისა და მორჩილების ჯაჭვის დამსხვრევის რიტორიკა. ნანატრი დღე 1 მაისს დადგა, როცა პრემიერმა ხელი მოაწერა ისტორიული მნიშვნელობის დეკრეტს, რაც ბრიტანელებთან შეთანხმების გაწყვეტას და მათი ქონების ჩამორთმევას ითვალისწინებდა.

ლონდონის რეაქციამ დიდხანს არ დააყოვნა. ყოველგვარი საქონლის ექსპორტის აკრძალვასთან ერთად მან სრული სანავთობო ემბარგო შემოიღო, რომელშიც იტალიის და იაპონიის გარდა ყველა მოკავშირე ქვეყნის მხარდაჭერა მიიღო. მუშაობა შეჩერდა აბადანის ქარხანაში, სადაც ევროპისთვის განკუთვნილი ნავთობის 43%-ის გადამუშავება ხდებოდა. ქვეყანამ თავისი საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი წყარო დაკარგა.

მომდევნო ორი წლის მანძილზე ვითარება არ შეცვლილა: სანქციებმა ეკონომიკური სიდუხჭირე გამოიწვია, მაგრამ შედეგი მაინც ვერ გამოიღო. ამიტომ ბრიტანეთმა ძალისმიერი ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო. იმის მიუხედავად, რომ თავად ლონდონი დიდხანს უარყოფდა 1953 წლის აგვისტოს მოვლენებში მონაწილეობას, ახლახან აშშ-ში გასაიდუმლოებული ზოგიერთი დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ ფარდა აეხადა „აიაქსის“ კოდური სახელწოდების მქონე კარგად ორგანიზებულ შეთმულებას, რომელიც აშშ-სა და ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურებმა დაგეგმეს და განახორციელეს და რასაც ჩვენ მომდევნო თავში განვიხილავთ დეტალურად.

იმ პერიოდში, როცა მოსადეყმა თავსი ქარიზმისა და პოპულარულობის წყალობით შაჰის რეალური ძალაუფლება შეზღუდა, ლონდონი და ვაშინგტონი გლობალური კონფრონტაციის წინაშე აღმოჩნდნენ. დასავლეთის ქვეყნებში დიდი შეშფოთება გამოიწვია კრემლის ექსპანსიამ, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპა და შორეული აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა. ნავთობით მდიდარი სპარსეთის ყურის სახელმწიფოების შესაძლო გაწითლებამ კი გეოსტრატეგიული კატასტროფის შეგრძნება გაამძაფრა. ისედაც, თვით ვაშინგტონის სახელისუფლო სტრუქტურების შიგნით კომუნისტური გავლენის წინააღმდეგ გამალებული ნადირობა მიმდინარეობდა.

1951 წლის არჩევნების შედეგად ინგლისში ძალაუფლებას ისევ ჩერჩილის კონსერვატიული პარტია დაუბრუნდა, მომდევნო წელს კი თეთრ სახლს რესპუბლიკელთა წარმომადგენელი დუაიტ ეიზენჰაუერი დაეპატრონა, იმ პრინციპის საფუძველზე, რომ ყველა ანტიდასავლური ძალა პოტენციურად მოსკოვის მოკავშირე უნდა ყოფილიყო, ოკეანის ორივე მხარეს მოსადეყის ნეიტრალიზების აუცილებლობის დასკვნამდე მივიდნენ.

მანამდე კი მოჰამად მოსადეყმა ბრძოლების მთელი სერია გადაიტანა. 1950-1952 წლებში ის მე-16 მოწვევის პარლამენტის პირველი დეპუტატად აირჩიეს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ყველანაირად ცდილობდა მის ჩამოშორებას. ეროვნული ფრონტი მხარს უჭერდა თავისუფალ და და სამართლიან არჩევნებს, პრესის თავისუფლებას, ქალთა უფლებების დისკრიმინაციის წინაამღდეგ გამოდიოდნენ.

ცოტა ხნით ადრე, 1947 წლის ოქტომბერში პარლამენტმა არ დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ირანული ნავთობის სსრკ-თვის მიწოდებას და ხელისუფლებას სთხოვდა განემტკიცებინა ნავთობზე კონტროლი. აღნიშნულმა საკითხმა ურთიერთობა გაუფუჭა ირანს ბრიტანეთთან. აღნიშნულ პერიოდში ნაციონალიზმისკენ სულ უფრო მეტად იხრებოდნენ მოსადეყის მომხრეები, რამაც საბოლოო ჯამში საფუძველი ჩაუყარა მოსადეყის პრემიერ-მინისტრად დანიშვნას.

მოსადეყმა და მისმა მომხრეებმა 1949 წელს არჩევნების წინ, აქტიური პოლიტიური აგიტაცია წამოიწყეს (*„ეროვნული ფრონტის“* დაარსების შემდეგ). 3 მარტს მოსადეყის მეთაურობით 20 საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი დაჯდა ბესთში[20] შაჰის სასახლის ეზოში და მოითხოვა, რომ მთავრობას შეეწყვიტა ჩარევა წინასაარჩევნო კამპანიაში. მას შემდეგ რაც მიიღეს აღნიშნული პირობა მოთხოვნების შესრულების შესახებ, დატოვეს შაჰის სასახლის ეზო და გადაინაცვლეს მოსადეყის სახლში, შემდგომი გეგმების შესამუშავებლად.

ოპოზიციის დიდი მცდელობის მიუხედავად პარლამენტში უმრავლესობას მაინც მონარქისტები წარმოადგენდნენ, მაგრამ მოსადეყმა და მისმა ძალიან აქტიურმა ჯგუფმა შეძლო და შაჰის მომხრეები მეჯლისში თავდაცვით პოზიციებზე გადაიყვანა. მთავარი შეტევის მიზეზი, ბუნებრივია, ნავთობის ნაციონალიზაცია წარმოადგენდა. გადაწვეტილება დიდი ბრიტანეთისთვის მინიჭებული სანავთობო ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ, ირანის პარლამენტმა ჯერ კიდევ 1947 წელს მიიღო, რომლის მიხედვით მომდევნო წლებში უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების პირობების ირანის სასარგებლოდ შეცვლა. ამდენად, გარკვეული ნიადაგი ამ თვალსაზრისით მოსადეყის ხელისუფლებაში მოსვლამდე უკვე არსებობდა. სწორედ 1947 წელს წარუდგინა ირანის მთავრობამ კომპანიას 25 პუნქტიანი მემორანდუმი, რომლითაც ითხოვდა ნავთობის კონცესიის პირობების გადახედვას და მის შეცვლას ირანის სასარგებლოდ, რომ მას შესაბამისი წილი უნდა მიეღო საკუთარი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციისგან.

[20] ბესთი - ეს არის პროტესტის გამოხატვის ფორმა, მჯდომარე მდგომარეობით. რომელსაც ხშირად მიმართავდნენ ირანის პოლიტიკური ელიტა.

შექმნილ ვითარებაში შაჰს არ შეეძლო ინიციატივის ნაციონალისტებისთვის გადაცემა და მისი პასუხი იყო გენერალ ალი რაზმარას პრემიერად დანიშვნა, რომელიც თავისი სიხისტით გამოირჩოდა. რაზმარა მისაღები კანდიდატურა იყო ბრიტანეთისთის. 1951 წლის 19 თებერვალს მეჯლისის სპეციალურმა კომიტეტმა, რომელსაც მოსადეყის ხელმძღვანელობდა, მოითხოვა ნავთობის სრული ნაციონალიზაცია. რაზმარამ უარყო ეს მოთხოვნა. სულ მალე კი, 7 მარტს, რაზმარა რელიგიურ რადიკალურმა პარტია „ფედიანე ესლამის“ ერთ-ერთმა წევრმა მოკლა თეირანის საკრებულო მეჩეთში.

კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ დადგენილება მეჯლისმა 15 მარტს დაამტკიცა, რასაც რამდენიმე დღეში სენატმაც დაუჭირა მხარი.

რაზმარას შემცვლელ ჰოსეინ ალას არ შესწევდა ძალა და უნარი შეეცვალა არსებული რთული ვითარება, ამიტომ იგი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. ბრიტანელები და შაჰი პრემიერად სეიედ ზია თაბათაბაის დანიშვნას აპირებდნენ, რა დროსაც მეჯლისის ერთ-ერთმა ულტრა კონსერვატორმა ჯამალ ემამიმ ნახევრად ხუმრობით წამოაყენა მოსადეყის კანდიდატურა, რასაც მეჯლისი დაეთანხმა. შაჰმა მოსადეყის პემიერად დანიშვნას ხელი მოაწერა 29 აპრილს, ხოლო სანავთობო კომპანიის ნაციონალიზაციას 2 მაისს. ამ დროისთვის მოსადეყი უკვე 70 წლის იყო.

მოსადეყის პრემიერობა გამოწვევა იყო არამხოლოდ ბრიტანეთისთვის, შაჰის ხელისუფლებისთვისაც, რადგან მისი რწმენით ,,მონარქი უნდა მეფობდეს და არა მართავდეს“. ბრიტანეთი მოჩვენებითად ცდილობდა ირანთან კავშირების გამყარებას, თუმცა ის რეალურად არ ცდილობდა მხარი დაეჭირათ ირანული ნაციონალიზმისთვის. მან თავიდან ემბარგო დააწესა ირანულ ნავთობზე, რაც ხელისუფლების დესტაბილიზაციას ისახავდა მიზნად.

ბრიტანეთის მთავრობას, რომელსაც მოსადეყის განეიტრალება სურდა, ზურგს უმაგრებდა შაჰის ხელისუფლებაც, რომელთა კოალიციის ძალიხმევაც საბოლოო ჯამში მოსადეყის გადადგომით დასრულდა 1952 წლის ივლისში. საპროტესტო ტალღის აგორების შემდეგ, ის ისევ აღადგინეს რამდენიმე დღეში პრემიერის პოსტზე, გაზრდილი უფლებამოსილებებით, თუმცა ნავთობის საკითხის მოგვარება უახლესი მომავლის პერსპექტივა არ იყო.

ამასობაში, სულ უფრო მეტად იზრდებოდა ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები, რასთანაც უხდებოდა მთავრობას გამკლავება. ამასობაში კომუნისტურმა პარტია „თუდემ“ გაილაშქრა ხელისუფლების წინააღმდეგ. ისინი უპირისპირდებოდნენ პრემიერ-მინისტრის მმართველობას, რის გამოც მოსადეყის რამდენიმე მომხრე მოწინაამღდეგეთა პარტიას შეუერთდა. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა მას დამატებითი უფლებებიც მიანიჭა, მისი პოზიცია თანდათან არასტაბილური ხდებოდა. მოსადეყმა მოითხოვა პარლამენტის დაშლა და ახალი არჩევნების დანიშვნა, მაგრამ ეს კარგ პირობებს შეუქმნიდა ბრიტანეთს და აშშ-ს, ირანში სამოქმედოთ. ისინი მიზნად ისახავდნენ არეულობით და გადატრიალებით, მოსადეყის დამხობას.

მოსადეყის იდეებმა წაახალისა ირანალები, მაგრამ გაანაწყენა ბრიტანელი პოლიტიკოსები. ბრიტანეთი არ წავიდა დათმობაზე 50/50-ზე მომხდარიყო წილის განაწილება. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ირანულ ნავთობს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ბრიტანეთის ეკონომიკისთვის. საგარეო კომიტეტის მდივანმა, ჰერბერტ მორისონმა აღნიშნა, რომ ყველანაირ ბერკეტს გამოიყენებდნენ, არსებული ვითარების შესანარჩუნებლად.

მოსადეყი მიხვდა, თუ რისთვის ამზადებდა ნიადაგს ინგლისი, ამიტომ 1952 წლის 16 ოქტომბერს დახურა ბრიტანეთის საელჩო, ხოლო საელჩოს თანამშრომლები გააძევა ქვეყნიდან. მათ შორის აგენტები, რომლებსაც უნდა შეემეშავებინათ გადატრიალების გეგმა. ამ მხრივ მოსადეყმა დიდი დარტყმა მიაყენა ინგლისის ჩანაფიქრებს.

§ 2.1. ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის პოლიტიკა რეგიონში

სანამ უშუალოდ გადატრიალების კონკრეტულ დეტალებზე ვისაუბრებთ, უნდა შევეხოთ აშშ-ს პოლიტიკას ზოგადად ახლო აღმოსავლეთში და კონკრეტულად ირანში პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (1953). არასტაბილურმა ახლო აღმოსავლეთმა პრეზიდენტ ეიზენჰაუერს უფრო რთული ამოცანები დააკისრა, ვიდრე დანარჩენმა აზიამ 50-იან წლებში. 1953 წელს, როცა გენერალმა პრეზიდენტის პოსტი დაიკავა, ამ სტრატეგიულ რეგიონში, სადაც ევროპა, აზია და აფრიკა ერთიანდება

ცივი ომი ჯერ კიდევ არ იყო შესული რთულ სტადიაში, თუმცა რიგი ფაქტორების გამო პროგნოზი არასახარბიელო ჩანდა. ინგლისი და საფრანგეთი რომლებიც წარსულში შუა აღმოსავლეთის რეგიონში დომინირებდნენ, უკვე ვეღარ სარგებლობდნენ თავიანთი უწინდელი გავლენით. საფრანგეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელი აიღო სირიაზე, ლიბანზე და სრულად ჩაეფლო ალჟირის პრობლემებში. ბრიტანელები ეგვიპტეში ახალი მთავრობის წინაშე აღმოჩდნენ, რომელიც მოითხოვდა სუეცის არხის ნაციონალიზაციას, დამოუკიდებელი ისრაელის გამოჩენამ და შემდგომ მისმა გამარჯვებამ არაბ მეზობლებზე რეგიონში არსებული ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. ამერიკის შეერთებული შტატებში მხარს უჭერდნენ ევროპელ მოკავშირეებს, მაგრამ ამასთანავე ცდილობდნენ შეეჩერებინათ გამალებული შეიარაღება შუა აღმოსავლეთში. 1950 წელს აშშ ინგლისმა და საფრანგეთმა გამოსცეს სამმხრივი დეკლარაცია, რომელიც კრძალავდა "ძალის გამოყენებას" როგორც ებრაელების, ასევე არაბების მხრიდან და აპირებდა კონკრეტული "ზომების მიღებას" თუ რომელიმე ერი შეეცდებოდა არსებული საზღვრების, ან საზავო საზღვრების დარღვევას.

ყველაზე სერიოზული საკითხი ნავთობი იყო. 40-იან წლებში შუა აღმოსავლეთში ამერიკული ნავთობკომპანიები გააქტიურდნენ, რაც ერთ დროს ბრიტანული, ფრანგული და ჰოლანდიური კორპორაციების თითქმის ექსკლუზიური პრეროგატივა იყო. ამერიკული EXONMOBILE[21]”-ის კორპორაცია წილს ერაყში ფლობდა, „GULF“ ქუვეითის ახლად განვითარებად საბადოებს, ხოლო სამი ამერიკული კომპანია- „Standart of Ccalifornia“, „Texaco“, „Exxon“ 1948 წელს „*Aramco*“ (ამერიკულ-არაბული ნავთობკომპანიის) პარტნიორები გახდნენ საუდის არაბეთში არსებული თითქმის ხელუხლებელი მარაგების დასამუშავებლად. ამერიკული ფირმები უზარმაზარ მოგებას იღებდნენ შუა აღმოსავლეთის იაფფასიანი ნავთობიდან, რომლის დიდი ნაწილიც გადამუშავების შემდეგ დასავლეთ ევროპაში იყიდებოდა. შიდა წარმოება ჯერ კიდევ აკმაყოფილებდა ამერიკული ბაზრის მოთხოვნილებებს, მაგრამ 50-იანი წლების დასაწყისისთვის ნატოს მოკავშირეები როგორც თავიანთ შეიარაღებული ძალებისთვის,

[21] „ექსონმობილი“, „გალფი“, „კალიფორნიის სტანდარტი“, „ტექსასო“, „ექსონი“ ამერიკული სანავთობო კომპანიები.

აგრეთვე თავიანთი შიდა ენერგეტიკული მოთხოვნილებებისთვის მეტწილად შუა აღმოსავლეთის მომარაგებაზე იყვნენ დამოკიდებული. საბჭოთა კავშირის მხრიდან შუა აღმოსავლეთის მიმართ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი საფრთხეში ჩააგდებდა არა მხოლოდ სუეცის გზას აზიისკენ, არამედ დასავლეთ ევროპას, როგორც ამერიკული უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ზონის, ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას.

ტრუმენის ადმინისტრაციამ პასუხისმგებლობა 1950 წელს მოიხსნა, როცა სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო მეფე იბნ საუდისთვის ლიცენზირებული გადასახადის გადახდის ფორმის შეცვლის გადაწყვეტილება. ნავთობის თითოეულ ბარელზე ფიქსირებული გადასახადის გადახდის ნაცვლად *"ARAMCO"* თავისი ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას საუდის არაბეთთან 50/50-ზე პრინციპით გაინაწილებდა, რომელიც მითითებული იყო, როგორც უცხო ქვეყნის მთავრობისთვის გადასახდელი ბეგარა. შემდეგ ტრუმენის ადმინისტრაციამ *„ARAMKO"*-ს კუთვნილ სამ კომპანიას მისცა უფლება საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას გამოექვითათ ეს უცხოური გადასახადი, როგორც ბიზნეს ხარჯი. ამ გენიალური "ოქროს ფანდით" მეფე იბნ საუდმა პირველ წელს თითქმის 50 მილიონი დოლარის ოდენობის სარგებელი მიიღო, მაშინ როცა ამერიკულმა ხაზინამ ამავე ოდენობის თანხა იზარალა. თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ფარული სუბსიდია მიეცა საუდის არაბეთისთვის, ხოლო შემდგომ სხვა არაბული სახელმწიფოებისთვისაც, მაშინ როცა შეერთებული შტატები მთელი მსოფლიოსთვის ოფიციალურად ჯერ კიდევ წარმოადგენდა ისრაელის მთავარ მოკავშირეს. სახელმწიფო დეპარტამენტმა, ნავთობკომპანიებს მისცა უფლება, გამხდარიყვნენ არაბული სახელმწიფოების მთავარი გადამხდელები და ამგვარად თავიდან აიცილეს შეჯახება ორ მის საწინააღმდეგო საგარეო პოლიტიკურ კურსს შორის.

ნავთობთან დაკავშირებული პრობლემა სერიოზული საფრთხედ 1951 წელს გადაიქცა, როცა მგზნებარე ირანელი ნაციონალისტი, პროფესორი მოჰამედ მოსადეყი პრემიერ-მინისტრი გახდა და ნავთობის საბადოებისა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ნაციონალიზაცია მოახდინა, რომლებიც წინათ "ბრიტანულ-ირანულ

ნავთობკომპანიას" ეკუთვნოდა. ამერიკელი კონგრესმენი რობერტ დევიდი მოსადეყს *მატყუარა ლიდერს* უწოდებს. ბევრისთვის იგი კომიკური, დაცინვის ობიექტი გახლდათ, რომელიც საზოგადოებაში ღამის პერანგით გამოდიოდა და დაუფარავად ტიროდა თავისი ქვეყნის განსაცდელებზე. ზოგიერთი მას კომუნისტების მიერ გასულელებულად თვლიდა (მიუხედავად იმისა, რომ ,,თუდეს“ კომუნისტური პარტიისა და ირანის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ გამოდიოდა); სხვები, როგორიც იყო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ენტონი იდენი, მას "ბობოქარი ნაციონალიზმის" სიმბოლოდ მიიჩნევდნენ, ხოლო ჩერჩილი მას ,,იხვს“ (Duck) ეძახდა.

ინგლისის მთავრობამ განიხილა და შემდეგ უარი თქვა ძალის გამოყენებაზე (ნაწილობრივ ამერიკული პოზიციის ზეგავლენის გამო), ხოლო შემდეგ დათანხმდა ბოიკოტზე და 1951 წლის ოქტომბერში ყველა თავისი ტექნიკოსი, სპეციალისტი და ექსპერტი გამოიყვანა ნავთობის საბადოებიდან, ისევე როგორც აბადანის უზარმაზარი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან. მომდევნო ორი წლის განმავლობაში ნავთობის ამხანაგობამ, რომლის სათავეშიც შვიდი უმსხვილესი საერთაშორისო კორპორაცია იდგა, რომლებიც ნავთობის განაწილების პროცესში დომინირებდნენ, ირანული ნავთობი მსოფლიო ბაზრისთვის მიუწვდომელი გახადეს, რის გამოც ირანში სერიოზული ეკონომიკური კრიზისი წარმოიშვა. ამერიკული ფირმები სიამოვნებით თანამშრომლობდნენ ბრიტანულ-ირანულ ნავთობკომპანიასთან; ირანში არსებული დეფიციტის ასანაზღაურებლად წარმოების განსაკუთრებულმა ზრდამ ქუვეითსა და საუდის არაბეთში უზარმაზარი მოგება მოუტანა *Exxon-ს, Gulf-ს, Mobile-ს, Texaco-ს და Standart of California*[22]*-ს.*

პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, რომელიც არსებულ ვითარებას პოტენციურად საფრთხისშემცველად თვლიდა და ბრიტანელებივით მოსადეყს ზურგი არ აქცია, ისიც აშფოთებდა, რომ კრიზისის გაგრძელება რუსეთს ირანში გადასვლის საშუალებას მისცემდა. 1953 წლის მარტში იდენის ვაშინგტონში ვიზიტის დროს ახალმა პრეზიდენტმა გააფრთხილა იგი, რომ "ირანზე რუსული კონტროლის გავრცელების შედეგებმა,

[22] Robert A. Divine. Eisenhower and the Cold War. 1982. გვ. 78

რომლებსაც იგი სავსებით მოსალოდნელ შესაძლებლობად განიხილავდა, შესაძლოა გამოეწვია შუააღმოსავლური ნავთობის მარაგების დაკარგვა, ან კიდევ ერთი მსოფლიო ომის წამოწყების რისკები გაეზარდა[23]" იდენის თქმით, ეიზენჰაუერი "თითქოს შეპყრობილი ჩანდა კომუნისტური ირანის შიშით" და საგარეო საქმეთა მინისტრმა როგორც იქნა მოიპოვა ამერიკელთა თანხმობა იმაზე, რომ დაეწყოთ "მოსადეყის ალტერნატივების" მოძიება[24].

ამასობაში ირანის ლიდერმა პრეზიდენტ ეიზენჰაუერს მიმართა. 1953 წლის 28 მაისს გაგზავნილ შეტყობინებაში მოსადეყმა აღწერა ფინანსური სირთულეები, რომლებიც საერთაშორისო სანავთობო ბოიკოტის გამო წარმოიშვა, ხოლო შემდეგ ამერიკელებს დახმარება სთხოვა ნავთობის შესყიდვის, ან უშუალო ეკონომიკური დახმარების ფორმით. ეიზენჰაუერის მისამართით დაწერილი სიტყვის დასასრულს, გადაკვრით ნათქვამი სიტყვა, რომ "იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ვითარება კვლავ გაგრძელდებოდა, შესაძლოა ამას სერიოზული შედეგები მოჰყოლოდა, მათ შორის საერთაშორისო თვალსაზრისით[25]". ეიზენჰაუერმა ამ წერილზე პასუხის გაცემას თვეზე მეტი მოანდომა და საბოლოოდ უარყო მოსადეყის წინადადება. მისი თქმით, ამერიკელ ხალხს აღაშფოთებდა ირანისთვის დახმარების გაზრდა მაშინ, როცა პრომლების დასარეგულირებლად ინგლისელებთან "გონივრული შეთანხმებაც" საკმარისი იყო. შემდეგ ეიზანჰაუერმა ,,გააფრთხილა“ მოსადეყი, რომელიც წინასწარმეტყველური აღმოჩდა: "ვაფასებ მზრუნველობას, რომელსაც თქვენს წერილში გამოხატავთ ირანში არსებული სახიფათო მდგომარეობის შესახებ და გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ვიდრე ძალიან გვიანი არ იქნება, ირანის მთავრობა გადადგამს შესაძლო ნაბიჯებს მდგომარეობის შემდგომი გაუარესების თავიდან ასაცილებლად[26]“.

---

[23] Ervand abrahamian. A history of modern Iran. 2008. გვ 167.

[24] Ervand abrahamian. A history of modern Iran. გვ 168.

[25] Stephen Kinzer. Overthrow Americans Century of Regime from Havai to Iraq. 2007. გვ. 117. (მოსადეყმა იგულისხმა, რომ შეიძლება იძულებული გამხდარიყო დახმარებისთვის სსრკ-თვის მიემართა).

[26] Stephen Kinzer. Overthrow Americans Century of Regime from Havai to Iraq. გვ. 121

მოსადეყმა ყურადღება არ მიაქცია ეიზენჰაუერის სიტყვებს. ივლისში დაითხოვა ირანის პარლამენტი, მიიღო საბჭოთა კავშირის დახმარება და დაიწყო მხარდაჭერის მიღება თუდეს კომუნისტური პარტიისგან.

მოგვიანებით, გადატრიალების შემდეგ, როგორც გახდა ცნობილი ეიზენჰაუერი ძალიან კმაყოფილი იყო ირანში მიღწეული შედეგით. 8 ოქტომბერს მან თავის დღიურში აღიარა, რომ ამერიკის დახმარებით დიდ ბრიტანეთისა და ირანის ახალ მთავრობას შორის წარმოებული მოლაპარაკებები მალევე გადაწყვეტდა ნავთობის პრობლემას, რაც "სერიოზულ დარტყმას მიაყენებდა რუსეთის განზრახვებსა და გეგმებს ამ რეგიონში[27]." მას აშფოთებდა ნავთობის ხანგრძლივი ბოიკოტის შედეგები, რაც ირანულ ეკონომიკაზე აისახებოდა, როგორც სირთულე, რომლის წინაშეც შაჰი და გენერალი ზაჰედი აღმოჩნდებოდნენ[28]. პრეზიდენტი მისთვის ჩვეული ოპტიმიზმით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ "ეს არის პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც ჩვენ უნდა შევძლოთ[29] ."

პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ყოველთვის დადებითად განიხილავდა თავის როლს ირანულ სანავთობო კრიზისში და საკუთარ მონაწილეობას ერთ-ერთ ყველაზე პოზიტიურ ასპექტად მიიჩნევდა. პრეზიდენტისთვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო არა დამატებითი მოგება ამერიკული კორპორაციებისთვის, არამედ საბჭოთა კავშირის შეკავება და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნავთობის ბაზარი დასავლეთ ევროპაში. მას გულწრფელად სწამდა, რომ სსრკ 1953 წელს მზად იყო ირანში შესასვლელად და რომ მხოლოდ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ (CIA) შეუშალა ხელი კომუნისტების გამარჯვებას. რაც შეეხება ნავთობს, პრეზიდენტს ამერიკისთვის რაიმე სახის ეკონომიკურ სარგებელზე უფრო მეტად აინტერესებდა მისი სტრატეგიული მნიშვნელობა ნატოს ევროპელი მოკავშირეებისთვის. რამდენიმე წლის შემდეგ იგი დაეთანხმა მრჩეველ დილონ ანდერსონს, რომ "ნავთობის საკმარისი რაოდენობა დასავლეთ ევროპაში პრიორიტეტულად თითქმის ისეთივე მნიშვნელობის მატარებელი იყო, როგორიც

[27] Kermit Roosevelt. Countercoup – The struggle for the control of Iran. 1979. გვ.40
[28] Norman A. Graebner, The New Isolationism: A Study in Politics and Foreign Policy since 1950. გვ 50
[29] Robert A. Divine. Eisenhower and the Cold War. 1982. გვ. 80

ნავთობის საკმარისი რაოდენობა ჩვენთვის." ...ეიზენჰაუერმა დაასკვნა, რომ "დასავლეთს თვითგადარჩენის მიზნით უნდა შეენარჩუნებინა წვდომა შუა აღმოსავლურ ნავთობზე[30]".

მთავრობის დამხობისა და შაჰის ხელისუფლებაში მოყვანისთვის ეიზენჰაუერმა ირანის შემდგომი უბედურებებისთვის მოამზადა ნიადაგი. ამ შემთხვევაში ხანმოკლე ტრიუმფმა შეერთებული შტატების ხანგრძლივი მარცხი გამოიწვია.

ბრიტანელები კი მოუთმენლად ელოდნენ გეგმის სისრულეში მოყვანას. მათ გაგზავნეს თავიანთი აგენტები ვაშინგტონში, რათა წარედგინათ გეგმა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებისათვის. ბრიტანულ ჯგუფს ხელძღვანელობდა აგენტი კრისტოფერ ვუდჰაუსი. ვუდჰაუსი და სხვები კარგად აანალიზებდნენ, რომ დროულად უნდა მომხდარიყო მოსადეყის მთავრობის დამხობა, რადგან მას სურდა ნავთობის ეროვნული პოლიტიკის გატარება. მათი აზრით მოსადეყს ქვეყანა პირდაპირ კომუნიზმისკენ მიჰყავდა. კომუნისტური პარტია თუდე უჭერდა მხარს ნავთობის ნაციონალიზაციას. მოსადეყი, როგორც ჭეშმარიტი დემოკრატი სრულ თავისუფლებას აძლევდა თუდეს, მაგრამ არასდროს არ უჭერდა მხარს მათ იდეებს[31] .

ვუდჰაუსმა ფოსტერ დალესს წარუდგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც მოსადეყის დამხობა ნიშნავდა კომუნიზმის დამხობას, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ სახელმწიფო დეპარტამენტს არ გააჩნდა ანალოგიურ საქმეებში ადეკვატური გამოცდილება, ამიტომ ფოსტერ დალესმა დახმარებისთვის CIA-ს მიმართა. ეს იქნებოდა ანტიკომუნისტური ხასიათის პროექტი. ფოსტერ დალესს ორი მოტივი გააჩნდა, რის გამოც სურდა CIA-ს ჩართვა სურდა ოპერაციაში: 1. ალტერნატივების ნაკლებობა. 2. საბჭოთა კავშირის გევლენის ზრდა ირანში. CIA იქნებოდა იარაღი, მსოფლიო ბალანსის შესაქმნელად ისე, რომ სამხედო ძალას აშშ არ გამოიყენებდა.

სანამ დაზვერვის სამსახური გეგმაზე უშუალო მუშაობას დაიწყებდა, მანამდე მათ სჭირდებოდათ პრზიდენტ ეიზენჰაუერის თანხმობა, რაც არც ისე მარტივი მოსაპოვებელი იყო. 1953 წლის 4 მარტს გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ფოსტერ დალესი

[30] Steve Marsh. Anglo-American Relations and Cold War. Oil Crisis in Iran. 2003. გვ. 97

[31] Richard A. Melson. David Mayers. Reevaluating Eizenhower – American Foreign Policy in the fifties. გვ. 40

მაქსიმალურად ცდილობდა დაერწმუნებინა პრეზიდენტი, რომ თუ არ დაამარცხებდნენ მოსადეყს, მაშინ ირანის ხელისუფლების სათავეში მოვიდოდნენ კომუნისტები. აქედან გამომდინარე თავისუფალ მსოფლიოს დაეკარგებოდა უზარმაზარი რესურსი ირანიდან. მარაგების 60% საბჭოთა კავშირის ხელში აღმოჩნდებოდა[32].

ალენ დალესმა კი ბრიტანელ კოლეგებთან კონსულტაციის შემდეგ, გენერალი ზაჰედი აირჩია გადატრიალების ლიდერად. მან გაუგზავნა 1 მილიონი დოლარი CIA-ს სპეციალურ დანაყოფს, თეირანში. სახელმწიფო მდივანმა ფოსტერ დალესმა მიმართა ამერიკის ელჩს ირანში, ჰენდერსონს, რომ დაკავშირებოდა იმ ირანელებს, რომლებიც მიიღებდნენ მონაწილეობას ამ ამბოხებაში[33] .

CIA- ს აგენტებმა, დონალდ უილბერმა და ნორმან დარბიშმა კვიპროსში რამდენიმე კვირა დაჰყვეს, ოპერაციის მოსამზადებლად. ეს არ გავდა არცერთ გეგმას, რომელიც აქამდე იყო ჩაფიქრებული. ამ გეგმის მიხედვით 150 ათას დოლარს გადაუხდიდნენ ჟურნალისტებს, ვაჭრებს, სასულიერო პირებს მოსადეყის წინაამღდეგ კამპანიის წარმოებისთვის. გენერალი ზაჰედი მიიღებდა 135 ათას დოლარს, კონკრეტულ პირებზე ზეწოლის განხორციელების მიზნით. პარლამენტის წევრებს კი კვირაში 11 ათასი ამერიკული დოლარი გადაეცემოდათ[34].

დალესმა როცა ნახა უკვე გადამუშავებული გეგმა, სიხარული ვერ დამალა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეგმა ყველას არ მოსწონებია, მაგალითად იყო როჯერ გოირანი[35], რომელიც გეგმით კმაყოფილებას ვერ გამოხატავდა, ის გახლდათ თეირანში CIA-ს ლიდერი, რომელმაც საქმე საერთოდ დატოვა.

არცერთი ექსპერტი ირანის საკითხებში არ იყო გეგმაში ჩახედული. არც ირანიდან მოდიოდა ამერიკელებისთვის სახარბიელო ინფორმაცია. აშშ-ს ადმინისტრაცია იღებდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მოსახეობი 98% უჭერდა მოსადეყს მხარს. ამას

---

[32] Norman A. Graebner, The New Isolationism: A Study in Politics and Foreign Policy since 1950. გვ. 45

[33] Fariborz Mokhtari. Middle East Institute. Middle East Journal, Vol. 62, No. 3 (Summer, 2008). გვ.480

[34] Mark Gasiorowski. The 1953 Coup D'etat in Iran. Internacational jouranal of Middle East studies. 1987. Vol 19, No 3, გვ 261-286.

[35] ცსს-ს თეირანის ოფისის ხემძღვანელი.

დამატებული ის გარემოებაც, რომ არანაირი მიზეზი არ არსებობდა, რომ მოსადეყი კომუნისტად მიეჩნიათ.

ბოლოში ჩვენ ერთგვარი რეზიუმე გავაკეთეთ იმ ფაქტებისა და მოვლენების, რომელზეც მომდევნო თავში უკვე დეტალურად ვისაუბრებთ.

თავი III

აშშ-ს როლი ირანის 1953 წლის გადატრიალებაში; ოპერაცია „აიაქსი“

3.1. ოპერაციის დაგეგმვა

შეერთებული შტატები, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთი მოსადეყის დასამხობად დიდი ხნის განმავლობაში ,,ლეგალურ“ საშუალებებს მიმართავდა, განსაკუთრებით შაჰისა და მეჯლისის გამოყენებით. ივლისის აჯანყების შემდეგ ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მისი მოშორება მხოლოდ გადატრიალების გზით იყო შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ გადატრიალების საბოლოო გეგმა 1953 წლის დასაწყისამდე არ არსებულა, მათ დაუყოვნებლივ დაიწყეს ფიქრი ამაზე, განსაკუთრებით 1952 წლის შუა პერიოდში მოსადეყის ხელისუფლების სათავეში დაბრუნების შემდეგ.

ბრიტანელებს სამი ძირითადი უპირატესობა ჰქონდათ. პირველ რიგში, მათ ჰყავდათ სპეციალისტები, რომლებსაც ქვეყანაში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, კარგად იცოდნენ ენა და მჭიდრო პირადი კავშირები გააჩნდათ ძველი ელიტის წარმომადგენლებთან. ამ სპეციალისტთა რიცხვში შედიოდნენ ლანსელოტ პიმანი, რომელიც 1930- იანი წლებიდან პასუხისმგებელი იყო თორინ ოფისის ირანის განყოფილებაზე. ნორმან დერბაიშირი, საიდუმლო დაზვერვის სამსახურის ოფიცერი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში უმეტესწილად ირანში იმყოფებოდა; პოლკოვნიკი ჯეფრი უილერი- საიდუმლო დაზვერვის სამსახურის კიდევ ერთი თანამშრომელი, რომელიც ქვეყნიდან ქვეყანაში გადადიოდა 1920- იანი წლებიდან; რობინ ზეინერი - პრეს-ატაშე, მისტიციზმის ექსპერტი, შემდგომში ოქსფორდის დასავლური რელიგიებისა და ეთიკის პროფესორი ; სემ ფალე - ზეინერის ასისტენტი, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა პოლიტიკოსებით იყო დაკავებული და პროფესორი ენ ლემბტონი, ყოფილი პრეს-ატაშე, რომელიც 1951 წლის აპრილიდან უცვლელად ურჩევდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოსადეყთან დათმობაზე წასვლის ნაცვლად მის მოშორებაზე ემუშავა. საიდუმლო დაზვერვის

სამსახურის მთავარი ტექნიკოსი თეირანში, კრისტოფერ მონტეგი ვუდჰაუსი(„მონტი“) თავად არ იყო ირანის ექსპერტი, მაგრამ დიდი ჯაშუშური გამოცდილება მიიღო იმ პერიოდში მომხდარ საბერძნეთის სამოქალაქო ომში.

მეორე უპირატესობა - ბრიტანელებს ჰქონდათ არაფორმალური კავშირები ირანის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ჯგუფებთან. ძირითადად კონსერვატიულ ოფიცრებთან, რომლებიც ძირითადად არისტოკრატული ოჯახებიდან იყვნენ; გენერალი ჰასან არფა, ყოფილი შტაბის უფროსი, რომელიც თავისმა მეტოქემ - რაზმარამ იძულებით გადააყენა, თეირანის საზღვარს გაცდა და თავის მამულებში, ვერამინში იმყოფებოდა; პოლკოვნიკი თემურ ბახთიარი- დედოფალ სორაიას ბიძაშვილი; პოლკოვნიკი ჰედაიათ გილანშაჰი- დიდ ბრიტანეთში ნასწავლი პილოტი და შაჰის დამხმარე; პოლკოვნიკი ჰუსეინ-გიული აშარაფი, ბრიგადის მეთაური თეირანის გარნიზონში; და ყველაზე მნიშვნელოვანი, პოლკოვნიკი ჰასან ახავი, რომელიც წლების გჰანმავლობაში მეთაურობდა G2[36]-ის სამსახურს. ჰოსეინ ფარდუსტი, შაჰის უახლოესი წრის წევრი, რომელმაც ახავის წარმომადგენლებს შემდგომში „ნამდვილი ტვინები“ უწოდა, რომლებიც გადატრიალების ირანული მხარის მიღმა იდგნენ. პოლკოვნიკ ახავის ძმა, ალი აქბარი ეკონომიკის მინისტრი იყო და ბოლომდე მოსადეყის ერთგული დარჩა.

ამ პრობრიტანულმა სამხედრო კავშირმა, რომელსაც მეთაურებად ახავი და არფა ჰყავდა, წინ წამოწია საკუთარი გუნდის წევრები, სხვები კი უკანა პლანზე აღმოჩნდნენ. სამხედრო კავშირმა ყველა ღონე იხმარა, რათა მემარცხენეებისთვის არ მიეცა თეირანის მნიშვნელოვან გარნიზონში შესვლის საშუალება. ბრიტანელმა სამხედრო ატაშემ ერთხელ არფას „ჩვენთან გულწრფელად მოთანამშრომლე“, მაგრამ „ჯაშუშობის მანიით შეპყრობილი“ უწოდა[37] ამ კავშირის წყალობით საიდუმლო დაზვერვის სამსახურს შთამბეჭდავი არმია ჰყავდა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოზე. დონალდ უილბერის მიხედვით, ლონდონში გადატრიალებისთვის მზადება პირადი საქმეების შესწავლით დაიწყო. მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რომელიც ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ ირანული გამოცდილებიდან მიიღო, იყო

[36] ირანის არმიის სადაზვერვო სამსახური.

[37] Ervand Abrahamian. A history of modern Iran. 2008. გვ. 160-173.

ანალოგიური საქმეების შედგენა სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც. უილბერის თქმით, სააგენტოსთვის აუცილებელი იყო, ზუსტად სცოდნოდათ პერსონალური ინფორმაცია: „ვინ არის ესა თუ ის ოფიცერი, რა აძლევს მას გარკვეულ უფლებას, ვინ არიან მისი მეგობრები და ა.შ. არსებითად მნიშვნელოვანია გვქონდეს რაც შეიძლება დეტალური ბიოგრაფიული ცნობები ყველა სამხედრო მოსამსახურის შესახებ, რომელთა დასწრებამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს გადატრიალების პროცესზე".

მესამე უპირატესობა - ბრიტანეთის საიდუმლო დაზვერვის სამსახურს დიდი ხნის განმავლობაში გააჩნდა აქტიურად მოქმედი ადგილობრივი სამოქალაქო ქსელი, რომელსაც სათავეში სამი ძმა ედგა: ასადულა, საიფულა და ქადრათულა გვარად რაშიდიანები. მათი მამა რეზა შაჰმა დააპატიმრა ბრიტანელებთან ახლო კავშირის გამო. მათ საიმპორტო ბიზნესი ჰქონდათ თითქოსდა ბრიტანული ფილმების შემოტანის მიზნით, სინამდვილეში კი ისინი მას იყენებდნენ, როგორც არხს საიდუმლო დაზვერვის სამსახურის ფულის ადგილობრივი მხარდამჭერებისთვის გადასაცემად, მათ შორის საიდ ზიასა და მისი ,,ეროვნული ნების პარტიისთვის". მოსადეყის ლიბერალურმა ხედვამ მათ ლონდონში ხშირი გამგზავრებისა და თეირანში კლიენტების შეგროვების საშუალება მისცა. ვუდჰაუსის შეფასებების მიხედვით ,,რაშიდიანებმა ყოველთვიურად 10 000 გირვანქა სტერლინგზე მეტი გადაურიცხეს ჩვენთვის უცნობ ღვთისმსახურებს, ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით მეჯლისის დეპუტატებს". სემ ფალე[38] სხვათა შორის აღნიშნავს, რომ იგი საუზმობისას სისტემატურად ხვდებოდა რომელიმე რაშიდიანს. გადატრიალების შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტომ ევფემისტურად შეაფასა ძმები, როგორც „ნამდვილი და ერთგული მეგობრები", რომლებმაც „დახმარების ხელი გამოგვიწოდეს ბოლოდროინდელ გადატრიალებაში". მან ისინი აღწერა, როგორც მაღალი წრის „მეგობრები"- განსაკუთრებით პრინცესა აშრაფი; პოლკოვნიკი ბახტიარი; და სულეიმან ბედუდი, სასამართლო აქტის მეთაური[39]. მათ სავარაუდოდ გადაიბირეს ეჰსამ ლანკარანიც, თუდეს ერთ-ერთი ორგანიზატორი საშუალო ფენიდან, რომელიც მისი სამალავის აფეთქებისთანავე მოკლეს.

---

[38] ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

[39] Ervand Abrahamian. The Coup 1953. The CIA and The Roots of Modern U.S-Iranian Relations. 2013. გვ.90

რაშიდიანთა ძალა ძირითადად თეირანის ბაზარში იყო თავმოყრილი: ყასაბთა, მცხობელთა და კონდიტერთა გილდიებში; საბითუმო ბოსტნეულით მოვაჭრეებს; ადგილობრივ ,,ზურხანებში" (ფალავანთა სახლები) მებრძოლ მოჭიდავეებს შორის; მქადაგებლებში მოსახლეობის შედარებით დაბალი ფენიდან, რომლებიც გაგებით ეკიდებიან *„ფედაიანე ესლამს"* [40] , როგორიცაა ჰოჯათ-ოლ-ისლამ მუჰამედ თაქი ფალსაფი. ფედაიების ხანგრძლივ ანალიზში, რომელიც მალევე დაიწერა ფათემის [41] მკვლელობის მცდელობის შემდეგ. რობინ ზეინერმა ფარულად დაწერა, რომ არ არსებობდა მიზეზი იმისა, რომ დიდი ბრიტანეთს და *ფედაიებს* ვერ „გაეგრძელებინა" ერთობლივი მუშაობა ეროვნული ფრონტის წინააღმდეგ. მანვე დასძინა, რომ ფედაიებს სამუშაო ურთიერთობები ჰქონდა საიდ ზიიასთან მიუხედავად ამ უკანასკნელის ბრიტანეთთან ღია კავშირისა. ზეინერის განმარტებით ზია იყო *„სეიედი",* იყო მორწმუნე, რომელმაც *შარიათის* შესრულების პირობა დადო. მან აგრეთვე განმარტა, რომ რამდენადაც ფედაიების ძირითადი საზრუნავია მკაცრი კანონების დაწესება ალკოჰოლზე, პროსტიტუციასა და ჩადრზე, და რამდენადაც საკუთრივ არც ერთი მათგანი არ ეხება ბრიტანეთს, არ არსებობდა მიზეზი, რომლის გამოც ისინი ვერ შეძლებდნენ ერთობლივ მუშაობას. მან აღნიშნა, რომ შეიძლება ეს „დაუჯერებლად" მოჩვენებოდათ, მაგრამ შესაძლებელი იყო. აშშ-ს საელჩომ განაცხადა, რომ ფათემის მკვლელობის მცდელობისთანავე „ოპოზიციური" გაზეთების ,,*ეთელაათის", „ქეიჰანის", „დადის", „ათეშისა" და „თოლუს"* ხელმძღვანელობით მას იყენებდნენ „მთავრობის საწინააღმდეგო იარაღად" და „თანაგრძნობით აშუქებდნენ". ერთხელ გენერალმა გლაბმა, იორდანიის არაბული ლეგიონის ბრიტანელმა მეთაურმა ეგვიპტის მუსლიმ საძმოს გადასცა შეტყობინება, რომლის მიხედვითაც ისინი თავიანთი გავლენის გამოყენებას სთავაზობდნენ ბრიტანელების დასახმარებლად ირანში. პოლიტიკა აშკარად უცნაურ მოკავშირეებს ქმნის.

---

[40] ფედაიანე ესლამი - რელიგიური ფანატიკოსთა ჯგუფი, რომელიც დაარსდა სამი ახალგაზრდა სასულიერო პირის მიერ ქ. ყუმში, 1945 წელს. ფედაიების იდეოლოგი ნავაბ საფავი 1956 წელს სიკვდილით დასაჯეს.

[41] ჰოსეინ ფათემი - მოსადეყის თანამებრძოლი. ივლისის აჯანყების შემდეგ, სურდა, რომ მოსადეყს რესპუბლიკა გამოეცხადებინა.

რაშიდიანებს კავშირი ჰქონდათ ზურხანებთან, აქედან ისინი კავშირს კრავდნენ ორ ცნობილ *ლათთან*[42] : შაბან ბერმორხი (უტვინო შაბანი) და ტაიბ ჰაჯ რეზაი. ბევრისთვის ტერმინი *ლათი ჩაქუქში*-ის (დანის მფლობელი), მკვლელისა და გამომძალველის სინონიმი იყო. უტვინო შაბანი ბოსტნეულის საბითუმო ბაზარს „იცავდა“ შაჰფურის მოედანზე; ტაიბი ხილის საბითუმო ბაზრობას იცავდა მეზობლად, შაჰის მეჩეთის მოედანზე. თითოეული მათგანი პატივს სცემდა ერთმანეთის ტერიტორიას. მათ გააჩნდათ საკუთარი მოჭიდავეთა გუნდები და რელიგიური კრებები, პირველ რიგში რუზეხანები (სალოცავი შეკრებები) და დასთჰები[43] . მათ, ისევე როგორც ლათების დიდ ნაწილს, ხან ციხეში უკრავდნენ თავს, ხანაც ათავისუფლებდნენ. სიბერეში, ბევერლი ჰილსში გადასახლებული უტვინო შაბანი ამტკიცებდა, რომ „თავის ცხოვრებაში არ უტარებია დანა“. მიუხედავად იმისა, რომ ორივე *ლათთი* მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მოახლოვებულ გადატრიალებაში, მოგვიანებით მათი გზები ორად გაიყო. ტაიბი 1963 წლის საპროტესტო დემონსტრაციებს ჩაუდგა სათავეში და მალევე დასაჯეს სიკვდილით. უტვინო შაბანი 1979 წლის რევოლუციამდე აგრძელებდა კარგად დაფინანსებული სპორტული კლუბის მართვას თავის ტერიტორიაზე. 1953 წელს მის მიერ შესრულებული როლის გამო მას ,,*გავლენიანი შაბაანი*“ უწოდეს.

მეოთხე უპირატესობა - ბრიტანეთის საელჩოს სისტემატიურად ჰქონდა თათბირები მთელ რიგ გავლენიან პოლიტიკოსებთან. მათ შორის იყვნენ: ერნესტ პერონი, შაჰის ბავშვობის მეგობარი შვეიცარიიდან[44] . შაპურ რეპორტერი, ზარათუშტრას მიმდევარი დელიდან, რომელიც ლონდონის „*Times*“ -*ის* სპეციალურ კორესპონდენტად მუშაობდა თეირანში; შეიხი ჰადი თაჰერი და აშემ მალეკ-მადანი - მეჯლისის ვეტერანი დეპუტატები; და რაღა თქმა უნდა საიდ ზია, რომელიც თავისი ყოველდღიური შეხვედრების შესახებ შაჰს აბარებდა ანგარიშს. იგი აგრეთვე უყვებოდა მას თავისი იშვიათი ვიზიტების შესახებ აიათოლა ქაშანისთან[45], რომელსაც მოუწოდებდა, მოსადეყის წინააღმდეგ წასულიყო.

---

[42] ლათები - სამხრეთ თეირანში მცხოვრებ ღარიბ-ღატაკთა ფენის აღსანიშნად გამოიყენება ეს ტერმინი.

[43] დასთჰები - მუჰარამის თვითგვემის პროცესიებისთვის განკუთვნილი სპეციალური ადგილები.

[44] მიუხედავად დედოფალ სორაიას წინააღმდეგობისა, პერონი მუდმივად სასახლეში ცხოვრობდა.

[45] რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ქაშანის მოსადეყის პირველ მთვრობაში თვდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა.

პირველი მათგანი იდეალურ არხს წარმოადგენდა ფულის გასანაწილებლად მოსადეყის წინააღმდეგ. მოგვიანებით ბრიტანეთის საელჩომ იგი „გადატრიალებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულებისთვის“ დააჯილდოვა და აღნიშნა, რომ იგი „გაწეული სამსახურისთვის პირადად შაჰისგან იღებდა სისტემატურ დაფინანსებას“. ამ უკანასკნელმა საკუთარ თავს „მამაცი პოლიტიკოსი“ უწოდა და განაცხადა, რომ მოსადეყი ეპილეფსიით იყო დაავადებული და ტვინის სიფილისური დაზიანებაით“ იტანჯებოდა[46]

აღნიშნული სისტემატური თათბირები 1952 წლის ოქტომბერში მოსადეყმა ბრიტანეთის საელჩოს დახურვით დაასრულა, რადგან საელჩო ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევასა და სამხედრო გადატრიალების მომზადებაში დაადანაშაულა. სემ ფალემ, დიპლომატმა, რომელმაც ერთ-ერთმა უკანასკნელმა დატოვა ქვეყანა, წლების გასვლის შემდეგ დაწერა, რომ კრიზისის ყველაზე საშინელ დღეებშიც კი მისი კოლეგები არასდროს ყოფილან პიროვნული დევნის, ან მუქარის ობიექტი[47] .

ბრიტანელებმა ჯერ კიდევ 1951 წლის ოქტომბერში დაამყარეს პირველი კონტაქტი გენერალ ფაზულა ზაჰედისთან. ზაჰედიმ, მისი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადაყენების შემდგომ, საკუთარი თავი გადატრიალებისთვის იდეალურ ლიდერად წარმოადგინა. მას ბევრი თანამოაზრეც ჰყავდა შეიარაღებულ ძალებში. მისი თანამოაზრეები მეტწილად ასაკოვანი ოფიცრები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად- გენერალი ნადირ ბათყამალიჩი და გენერალი ბაყაი ახალწვეულებად იყვნენ მასთან და აიათოლა ქაშანისთან ერთად მეორე მსოფლიო ომში. ასევე ზაჰედის გარკვეული მხარდაჭერა ჰქონდა ,,გადამდგარ ჩინოსანთა კავშირისგან“, რომლებიც რაზმარასა და მოსადეყის წმენდაში მოყვნენ.

თუმცა, ზაჰედის მთავარ ძალას *„ეროვნული ფრონტის“* რელიგიური ფრთის წევრები წარმოადგენდნენ - ქაშანი, ქონთაბადი, (*„მოჯაჰედე ესლამის“*ის ლიდერი), ასევე მეჯლისის სამი დეპუტატი: ბაყაიში, მაქქი და ჰერიზადე. ამერიკელი ისტორიკოსი აბრაჰამიანი ხაზს უსვამს შემდეგ გარემოებას: „ბრიტანელმა სამხედრო ატაშემ განაცხადა, რომ ზაჰედი თავისი ჩრდილოვანი კაბინეტის შედგენისას, მომავალ მთავრობაში ქაშანის

[46] Ervand abrahamian. The Coup 1953. The CIA and The Roots of Modern U.S-Iranian Relations. 2013.გვ.95
[47] Steve Marsh. Anglo-AMERICAN relations and Cold War. Oil Crisis in Iran. 2003. 97.

„ხმის უფლებას“ შეჰპირდა[48] “. აბრაჰამიანი იქვე ამატებს “ სასამართლო შუამავალთან ერთ-ერთი ჩვეულებრივი შეხვედრის შემდეგ, რობინ ზეინერმა განაცხადა, რომ პერონმა მგზნებარედ დაიცვა შაჰის ‘გამჭრიახი’ პოლიტიკა. იგი ამტკიცებდა, რომ შაჰმა მოახერხა ქაშანის, მაქქისა და ბაყაის ჩამოშორება მოსადეყისგან და რომლითაც ეროვნულმა ფრონტმა ფაქტობრივად შაჰის წყალობით შეწყვიტა არსებობა. აბრაჰამიანს მოჰყავს რობინ ზეინერის მოსაზრება: „ქაშანისა და მაქქის განცალკევება სულ სხვა ფაქტორებმა გამოიწვია და ისინი შეიქმნა და იმართებოდა რაშიდიანი ძმების მიერ[49]“. რობინ ზეინერმა ცალკეულ ანგარიშში დასძინა, რომ „ქაშანის ორმა არამზადა შვილმა“- მუსტაფამ და აბდულ მაალიმ ოფისი გახსნეს თითქოსდა კომერციული ტრანზაქციების ხელშესაწყობად, მაგრამ მათი ნამდვილი მიზანი კონტრაბანდის რეალიზება იყო. მისი შეფასებით, მათ არალეგალური ტრანზაქციებით რამდენიმე კვირაში ორ მილიონ რიალზე მეტი მიითვისეს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ქაშანი მალულად ეძებდა დამატებით სახსრებს[50].

თავის მხრივ ამერიკელებმა თავიანთი უპირატესობები წარმოადგინეს, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანი თვითონ საელჩოს მფლობელობაში არსებული ტერიტორიები იყო. საელჩოს მნიშვნელობა 1951 წლის დეკემბრის შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა, როცა ბრიტანული საელჩოები დაიხურა შირაზში, ისპაჰანში, მაშჰედში, აჰვაზში, ხორამშაჰრსა და ქერმანშაჰში. მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა 1952 წლის შემდეგ, როცა დიპლომატიური ურთიერთობები დიდ ბრიტანეთთან გაწყვეტილი იყო, ხოლო თეირანში ბრიტანეთის საელჩო დაიხურა. საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოთვლებით, აშშ-ს საელჩოში ორმოცდათვრამეტი თანამშრომელი იყო და თითოეულ მათგანს სრულფასოვანი დიპლომატიური სტატუსი ჰქონდა. საბჭოთა კავშირის საელჩოში მხოლოდ ოცდაერთ წარმომადგენელს ჰქონდა ანალოგიური სტატუსი; საფრანგეთისას ცხრა; ხოლო ბრიტანეთის საელჩოს დახურვამდე მხოლოდ ოცდაერთი.

---

[48] Abrahamian, Ervand. *The Coup 1953. The CIA and The Roots of Modern U.S-Iranian Relations*. New-York. 2013. გვ.35

[49] Abrahamian, Ervand. *The Coup 1953. The CIA and The Roots of Modern U.S-Iranian Relations*. New-York. გვ 42.

[50] Stephen Kinzer. OverthtowAmericans. Century of Regime Change from Havaii to Iraq. 2007. გვ, 115

ამერიკული დიპლომატიურმა ვიზიტებმა შუა აღმოსავლეთში იმატა. მთლიანობაში სოფლის მეურნეობის პროგრამაში 138 ამერიკელით მეტი მუშაობდა, ვიდრე მთელ არაბულ სამყაროში ერთად აღებული. უცხოელი ჟურნალისტები აცხადებდნენ, რომ 1953 წელს აშშ-ს დახმარება ირანისადმი უეცრად გაიზარდა და 44 მილიონ $-ზე მეტი გახდა. არდაშერ ზაჰედი, გენერლის ვაჟი, მამას ფარულად გადასცემდა შეტყობინებებს ამერიკელებისგან და პირუკუ.

სამ სამხედრო მისიაში- არმიისთვის, ჟადარმერიისთვის და საჰაერო ძალებისთვის 123 ამერიკელი მრჩეველი იყო მივლენილი. ეს მისიები, რომლებიც 1942 წელს დაიწყო, 1952-53 წლებში გენერალმა რობერტ მაკლურმა, კორეიდან შემოჭრილმა „ფსიქოლოგიური ომის“ ექსპერტმა ჩაატარა. მრჩეველებს ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდათ უფროს ოფიცრებთან, განსაკუთრებით ტანკების მეთაურებთან. 1946 წლიდან პენტაგონი ირანში მსუბუქი M3 (ლი) და M4(შერმანი) ტანკების მცირე რაოდენობის, მაგრამ სტაბილურ ნაკადს აგზავნიდა ირანში. მხოლოდ 1952 წელს მან ორმოცდაორი შერმანი გაგზავნა და არც მეტი, არც ნაკლები - სამასი ოფიცერი წაიყვანა ამერიკაში საწვრთნელად. ამერიკის საელჩომ 1952 წელს სიხარულით განაცხადა, რომ მოსადეყის მიერ ხელდასმული ოფიცრებიც კი „მეგობრულ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ ამერიკელი მრჩევლების მიმართ[51].“ მაკლურმა და მისმა კოლეგებმა გადატრიალების წინა დღეს „ვაჟკაცობა“ გამოავლინეს - გენერალი მუჰამედ რიაჰიც კი დაკითხეს, მოსადეყის აპარატის სანდო და ერთგული ხელმძღვანელი“. 1953 წლის დასაწყისში ინდოელმა სტუმარმა განაცხადა, რომ „პირველი, რაც თეირანში თვალში მოგხვდება, არის ის, რომ შუა აღმოსავლეთის ამ ქვეყანაში ბევრი ამერიკელია . მათი ზუსტი რიცხვი უცნობია, მაგრამ ირანში უფრო მეტი ამერიკელია, ვიდრე შუა აღმოსავლეთის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. მხოლოდ თეირანში სულ მცირე ათასი მაინც იქნება[52].“

ცენტრალური დაზვერვის სააგენტოში ორი ძირითადი ექსპერტი მეცნიერი ჰყავდათ ირანის მიმართულებით: დონალდ უილბერი და რიჩარდ კოტემი. უილბერი, რომელსაც ხშირად „ჯენტლმენ- ჯაშუშს“ უწოდებენ, პროფესიონალი მზვერავი იყო. იგი 1930-იან

[51] Fakhreddin ,Azimi, *Iran: The Crisis of Democracy, 1941-53.* (1989), გვ. 67

[52] Ervand abrahamian. The Coup 1953. The CIA and The Roots of Modern U.S-Iranian Relations. 2013.გვ. 101

წლებში შუა აღმოსავლეთსა და მის ფარგლებს გარეთ მოგზაურობდა, როგორც არქეოლოგი და ისტორიკოსი. მისი უწინდელი საგმირო საქმე იყო ცნობილი პოეტის, ლაჰუტის ლიკვიდაცია , რომელიც საბჭოთა კავშირში გააძევეს. უილბერმა გააყალბა ლაჰუტის „მემუარები“, გამოაქვეყნა ისინი და ამტკიცებდა, რომ ისინი კონტრაბანდული გზით გაიტანეს საბჭოთა კავშირიდან. პოეტი გადაურჩა სტალინურ პარანოიას. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დატოვების შემდეგ უილბერმა გამოაქვეყნა ყალბი ხელნაწერები ანტიკვარიატით მოვაჭრეებისთვის და წერდა ირანულ ხელოვნებაზე, არქიტექტურასა და თანამედროვე ისტორიაზე. ისლამური რევოლუციის შემდეგ, რუზველტის მიერ გადატრიალების შესახებ ანგარიშის გამოქვეყნებისთანავე უილბერი, საკუთარი ვერსიის გამოქვეყნებას შეეცადა, მაგრამ ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ დაამუშავა იგი და მისი შრომა ჯამში ოთხი მოკლე გვერდი გამოვიდა. მან 1954 წელს სააგენტოსთვის დაწერილი ოფიციალური ანგარიშის ქსეროასლი დატოვა, რათა მისი სიკვდილის შემდეგ მეგობრებს ხელსაყრელ დროს გამოექვეყნებინათ.

კოტემი, კიდევ ერთი, ფულბრაიტის მეცნიერი, თეირანის უნივერსიტეტში. მოგვიანებით იგი პოლიტიკური მეცნიერებების პროფესორი გახდა პიტსბურგის უნივერსიტეტში. თეირანში მან არა მხოლოდ *„თუდეს“* შესახებ მოუყარა ინფორმაციას თავი, რომელსაც იგი გულუხვად უზიარებდა ბრიტანელებს, არამედ ბაყაის მშრომელთა პარტიის შესახებაც, ისევე როგორც არიული პარტიისა და SUMKA [53] -ს შესახებ. მოგვიანებით ეს ორი უკანასკნელი პოლიტიკური ჯგუფი, ერთმანეთს ეცილებოდნენ გერმანელი ნაცისტებისადმი მიბაძვაში და განიკითხავდნენ როგორც ებრაელებს, ასევე კომუნისტებს. „არია“ ჩამოყალიბდა 1946 წელს ჰადი სეპერის - რასისტი თეორეტიკოსის მიერ, რომელიც II მსოფლიო ომის პერიოდში ახალწვეული იყო. *„არიას“* გარკვეულწილად ეხმარებოდა გენერალი არფა და მისი გარემოცვის არმიის ოფიცრები. „SUMKA“ - 1951 წელს ჩამოყალიბა პროფესორმა დაუდ მუნშიზადემ, უძველესი სპარსული ლიტერატურის ფილოლოგმა, რომელმაც განათლება გერმანიაში მიიღო. მან ფეხი დაკარგა საჰაერო თავდასხმის დროს, როცა რადიოს პროპაგანდისტად მუშაობდა

[53] SUMKA- ნაციონალისტ-მშრომელთა პარტია.

მესამე რაიხისთვის. მას სეპერი თითქმის უწიგნურ დოყლაპიად მიაჩნდა. მუნშიზადეს ოცნება იყო, ხელახლა აეგო მესამე რაიხი ირანის წმინდა არიულ მიწაზე. SUMKA- ს, რომელიც ორი მოსაზღვრე გუნდიდან ყველაზე ფართო მასშტაბის იყო, თავისი განვითარების პიკშიც არ ჰყავდა სამასზე მეტი წევრი. ბრიტანელები ეჭვობდნენ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, ისევე როგორც SUMKA- აფინანსებდა შაჰს და ასევე მშრომელთა და არიული პარტიებს. ბრიტანეთის საელჩომ განაცხადა, რომ სასახლის მრჩეველი სისტემატურად ხვდებოდა სეპერს და ბაყაის, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა როგორც „*არიასთან*“, აგრეთვე SUMKA-სთან. ბრიტანეთის საელჩომ აგრეთვე განაცხადა, რომ კოტემმა გაუზიარა მათ ინფორმაცია თავისი კოლეგების პოლიტიკური პოზიციების შესახებ, რომლებიც თეირანის უნივერსიტეტში მუშაობდნენ.

ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს სამი ადგილობრივი „მუშახელი“ ჰყავდა: პოლკოვნიკი აბას ფარზანდეგანი და ორი გამოცდილი აგენტი “სილი” და “ნერინი”, რომლებსაც რუზველტმა მეტსახელად პოპულარული რძიანი შოკოლადის სასმელის მიხედვით „ძმები ბოსკოები“ უწოდა[54]. ფარზანდეგანმა, შტაბის თანამშრომელმა, წლების განმავლობაში თეირანის გარნიზონში მრავალი საველე მეთაური გაიცნო. 1952 წელს ფარზანდეგანი დაუყოვნებლივ გაგზავნეს შეერთებულ შტატებში, რათა სპეციალური მომზადება გაევლო საიდუმლო კომუნიკაციებში. მომდევნო წლებში იგი ITT[55] -ის საბჭოს წევრად დანიშნეს.

ძმები ბოსკოები, რომელთა ნამდვილი სახელებიც საიდუმლო სადაზვერვო სამსახურის მხრიდანაც კი გასაიდუმლოებული იყო, ფაროკ კეივანი და ალი ჯალალი იყვნენ. რეალურად მათ ნათესაური კავშირი არ ჰქონდათ. პირველი მათგანი იყო ადვოკატი, რომელსაც ბიზნეს- კავშირები ჰქონდა ჰამბურგში, ხოლო მეორე - ჟურნალისტი იყო, რომელიც დროდადრო „*Associated Press*“, „Daily *Telegraph“, “ Ettela'at-e Haftegi“, “ Mehan Parestan“ და „Tehran Mosavar“*-თვის მუშაობდა. რუზველტი წერდა, რომ ისინი 1950 წელს აიყვანეს, წაიყვანეს შეერთებულ შტატებში შესამოწმებლად და აღმოჩნდა, რომ ადრეული წლებიდანვე „საიდუმლო“ ჯაშუშური“ გამოცდილება

[54] Abrahamian, Ervand. *A history of modern Iran*. New-York. 2008. გვ. 38

[55] ITT - (სატელეფონო და ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო)

ჰქონდათ[56] . ეს უწინდელი გამოცდილება სავარაუდოდ ნაცისტური გერმანიიდან იყო. ისინი ფულს ქალაქის ცენტრში, ზურხანეხებში დებდნენ. ისინი აგრეთვე ისეთ გაზეთებს აფინანსებდნენ, როგორიცაა *მელლათე ირან (ირანელი ერი), მელლათე (ჩვენი ერი), ათეში (ცეცხლი), დად(სამართალი), სეთარეჰე ესლამ (ისლამის ვარსკვლავი), ასიაიე ჯავანან (ახალგაზრდობის აზია), სედაიე სეფეჰრ (სეპერის ხმა), არამი (ზოროასტრიზმის ღმერთის სახელის მიხედვით).* რუზველტი სხვათშორის აღნიშნავს, რომ ძმებმა ბოსკოებმა დაგეგმეს თავდასხმა ჰარიმანის ვიზიტის დღეს. იგი არაფერს ამბობს იმაზე, რომ თავდასხმას შედეგად დიდი მსხვერპლი მოჰყვა და *SUMKA*-ს, *არიული* და *მშრომელთა პარტიების* მიერ იყო ის პროვოცირებული. უილბერი აგრეთვე ხშირად მალავს ისეთ დეტალებს, რომლებიც შესაძლოა შემაცბუნებელი იყოს ამერიკული საზოგადოებისთვის ან ა.შ.შ-ს სენატისთვის.

საბოლოოდ, ამერიკელებმა გააძლიერეს თავიანთი მცდელობები, მოეპოვებინათ აიათოლა ქაშანის კეთილგანწყობა - განსაკუთრებით ივლისის აჯანყების შემდეგ. ამ უკანასკნელს ინტერვიუ ჩამოართვეს აშშ-ს სხვადასხვა ვიზიტორებმა - ჰერალდ ტრაიბანმა და *„The New York Times"*-ის კორესპონდენტებმა; შეერთებული შტატების კონგრესის დელეგატებმა და მეცნიერებმა, რომლებსაც სავარაუდოდ რელიგია და მუსლიმურ-ქრისტიანული ურთიერთობები აინტერესებდათ. როგორც აბრაჰამიანი ამბობს: „ისინი ეპირფერებოდნენ მას, როგორც სრულიად მუსულმანური სამყაროს ჭეშმარიტ წარმომადგენელს". იგი აგრეთვე სამ სხვადასხვა დახურულ სხდომაზე შეხვდა ლოი ჰენდერსონს. ერთი სესია საათნახევარი გრძელდებოდა. მისი ჩანაწერები კვლავ გასაიდუმლოებულად რჩება. ბრიტანელებმა განაცხადეს, რომ ქაშანიმ პირისპირ გაანდო ამერიკელებს, რომ იგი ზაჰედის ანიჭებდა უპირატესობას, როგორც მოსადეყის შემცვლელს. აშშ-ს ელჩმა მკაფიო შეტყობინება მიიღო, რომ ქაშანის განცხადებით „ირანის გადარჩენა მხოლოდ გადატრიალებას შეეძლო[57] ". 1953 წლის დასაწყისში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო პრეზიდენტს ატყობინებდა, რომ ქაშანი იყო

[56] Kermit Roosevelt. Countercoup – The struggle for the control of Iran. 1979. გვ. 42
[57] Abrahamian, Ervand. *A history of modern Iran*. New-York. 2008. გვ. 89

„მთავარი გმირი, რომელიც პრო-შაჰისტური ქუჩის დემონსტრაციებისკენ მოუწოდებდა თეირანს.“

მაშინ, როცა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო და საიდუმლო დაზვერვის სამსახური, სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ, მათი მთავრობები ერთობლივად მუშაობდნენ კულუარებში ეკონომიკური ზეწოლის გასაძლიერებლად. მათ საერთაშორისო ბანკის მეშვეობით დიდი იმედის მომცემი „კომპრომისზე წასული“ შეთავაზება წარადგინეს. ამ მოლაპარაკებების მსვლელობისას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო ბანკის თითოეულ დადგენილებას ამოწმებდნენ. „კომპრომისის“ მიხედვით, შეერთებული შტატები შესთავაზებდა ირანს სესხს 10 მილიონი დოლარის ოდენობით, ხოლო გაერთიანებული სამეფო „დათანხმდებოდა“ ნაციონალიზაციას და მოხსნიდა ეკონომიკურ სანქციებს. თავის მხრივ ირანი დათანხმდებოდა საერთაშორისო კომისიის მიერ „სამართლიანი კომპენსაციის“ განსაზღვრას, რომელიც AIOC-ისთვის უნდა გადაეხადა. მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა მაშინ, როცა მოსადეყმა დაჟინებით მოითხოვა, რომ შეთანხმებაში უნდა ყოფილიყო მინიშნებული, რომ „სამართლიანი კომპენსაცია“ დაფუძნდებოდა ნავთობის დანადგარების მიმდინარე ღირებულებაზე. მას ჰქონდა ეჭვი, რომ კომპენსაცია იმდენად მაღალ დონეზე გადაწყდებოდა, რომ ირანს “შემდეგი ოცდახუთი წლის განმავლობაში მონობაში მოუწევდა ყოფნა“- და ამ შემთხვევაში ნაციონალიზაციის მიზანიც არ შესრულდებოდა.

მისი ეჭვები სავსებით საფუძვლიანი იყო. AIOC-ის გაგება „სამართლიანი კომპენსაციის შესახებ დაფუძნებული იყო არა მიმდინარე ღირებულებაზე, არამედ გათვლილ მოგებაზეც. კომპანია მომავალი 42.5 წლის განმავლობაში 100 მილიონი ფუნტი სტერლინგის გამოთვლებსა და ყოველწლიურ 46.5 მილიონ ფუნტ სტერლინგიან შემოსავალზე ფიქრობდა. მოსადეყი ეჭვობდა, რომ ბრიტანელები „ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიდნენ, რათა ძირი გამოეთხარათ მისთვის[58].“

[58] Abrahamian, Ervand. *A history of modern Iran*. New-York. 2008. გვ. 90

საგარეო საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო დეპარტამენტი კონფიდენციალურ გაერთიანებულ თათბირებზე შეთანხმდნენ, რომ საერთაშორისო ბანკს არ უნდა შეერყია „პრინციპი 50/50“-ზე, რამდენადაც ეს „არსებით ზიანს მიაყენებდა სხვა ყველაფერს“. ჯორჯ მიდლტონმა, დროებითმა ბრიტანელმა რწმუნებულმა, რომელიც საერთაშორისო ბანკთან მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, რამდენიმე წლის შემდეგ აღიარა ბრიტანულ-ამერიკული კონსენსუსის არსებობა, რომელთან მიმართებაშიც ნაციონალიზაცია არავითარი გარემოებების შემთხვევაში არ იქნებოდა წარმატებული: „არსებობდა სერიოზული საფრთხეები იმისა, რომ ცუდ მაგალითს შესაძლოა შედეგები მოჰყოლოდა სხვა ადგილზეც“ ჩვენ უკვე გვქონდა მეხიკოს გამოცდილება. არ გვსურდა ამის კიდევ ათჯერ განმეორება[59] “.

ნავთობის ერთმა ექსპერტმა გადატრიალების შემდეგ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები საერთაშორისო ბანკთან იმის გამო ჩაიშალა, რომ ბრიტანელები დაჟინებით მოითხოვდნენ კომპენსაციას, მომავალი წინასწარგამოთვლილი გრძელვადიანი სარგებლისთვის. იგი წერდა: „იმ შემთხვევაში, თუ ჩანაფიქრი გამოვიდოდა“, ნავთობის კონცესიები კომპენსაციის გარეშე ჩაიშლებოდა, შუა აღმოსავლეთის მონარქები და პოლიტიკოსები დროს არ დაკარგვდნენ იმის მტკიცებაში, რომ ისინიც სუვერენული მონარქები იყვნენ.“ თავად ამერიკის პრეზიდენტმა სახელმწიფო უშიშროების საბჭოს განუცხადა, რომ მათ არანაირი გარიგების დადება არ შეეძლოთ, რომელსაც შესაძლოა „ძალიან სერიოზული შედეგები მოჰყოლოდა აშშ-ს ნავთობის კონცესიებზე მსოფლიოს სხვა ნაწილებში.“ მოგვიანებით ცენტრლური სადაზვერვო სააგენტოს მთავარმა წარმომადგენელმა თეირანში აღნიშნა, რომ ეს მოლაპარაკებები არასერიოზული იყო, ვინაიდან ბრიტანეთის მთავრობას აბსოლუტურად არ ჰქონდა მოსადეყთან შეთანხმების მიღწევის ინტერესი. ამერიკის უარი „სამართლიანი კომპენსაციის“ მოსადეყისეულ განსაზღვრებაზე გახდა დესტაბილიზაციის მიზეზი. 11 ივნისს, იმავე დღეს, როცა ეიზენჰაუერმა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სახელმწიფო გადატრიალების გეგმას მოაწერა ხელი. სახელმწიფო დეპარტამენტისგან

[59] Ervand Abrahamian. A history of modern Iran. 2008. გვ. 181.

„ფსიქოლოგიური დარტყმა“ იყო საჯარო განცხადება, რომ „კომპენსაციის კალკულაცია არ უნდა მომხდარიყო მხოლოდ დანადგარების მიმდინარე ღირებულების მიხედვით.“ სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეერთებულმა შტატებმა აღიარა/მოიწონა სამართლიანი კომპენსაციის ბრიტანული განსაზღვრებას.

ეს „უკანასკნელი შეთავაზება მიმართული იყო იმისკენ, რომ საზოგადოება შეეყვანა შეცდომაში, თითქოს არა ლონდონი, არამედ თეირანი იყო ძირითადი წინაღობა. ეს დასკვნა პოლიტიკოსებმა მოსადეყის განადგურების მიზნად აღიარეს. იგი ზოგიერთი მოსადეყის მომხრემაც კი ცნო. ერთი ცნობილი მოსადეყის მკვლევარი აცხადებს: „მისი გადაწყვეტილება, უარი ეთქვა ბანკის შუამავლობაზე, იყო უდიდესი შეცდომა მისი პრემიერობის პერიოდში, ისევე როგორც მთელი მისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე[60].“

ასეთი მიუღებელი შეთავაზებით გაერთიანებული სამეფო და შეერთებული შტატები ამწვავებდნენ ეკონომიკურ ზეწოლას. გარდა ამისა, ამერიკელებმა შეამცირეს ეკონომიკური დახმარება და სამი სამხედრო მისიით შემოიფარგლნენ. ამ უკანასკნელის განახლებით მოსადეყმა ამერიკელ პოლკოვნიკს ენამახვილურად უთხრა, რომ იმედია ისეთ დონეზე არ გაამაგრებდნენ სამხედრო ძალებს, რომ მისი ჩამოგდება შეძლებოდათ. პრეზიდენტმა პირადი წერილით მიახვედრა მოსადეყი, რომ არ განაგრძობდა დახმარებას, ვიდრე ნავთობის საკითხი არ გადაწყდებოდა. ლოი ჰენდერსონმა გააფრთხილა მოსადეყი, რომ ნავთობით მდიდარ ქვეყანას არ უნდა ჰქონოდა გადასახადების გადამხდელი ამერიკელების დახმარების იმედი. სახელმწიფო მდივანმა ექსპორტ-იმპორტის ბანკს აუკრძალა კიდეც ირანულ დელეგაციასთან შეხვედრა ექსტრემალური სესხის თაობაზე. მეტიც, სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოსცა სპეციალური გაფრთხილება, რომ ნებისმიერი ამერიკული კომპანია, რომელიც ნავთობს ირანისგან შეიძენდა, „სასამართლოს სარჩელის სერიოზულ რისკს დაექვემდებარებოდა AIOC-ის მხრიდან[61].“

---

[60] Kinzer, Stephen. *Despotism and Godless Terrorism*. Times Books. 2008. გვ. 46

[61] Abrahamian, Ervand. *The Coup 1953. The CIA and The Roots of Modern U.S-Iranian Relations*. New-York. 2013. გვ. 97

თავის მხრივ ბრიტანელებმა გაამკაცრეს ემბარგო. მათ დახურეს თავისი საიმპერატორო ბანკი; გაზარდეს შეზღუდვები ექსპორტში და ვალუტის გადამცვლელ პუნქტებზე. აქტიურად და წარმატებით ლობირებდნენ, რათა არ მიეცათ უფლება დამოუკიდებელი კომპანიებისთვის, რომ ირანული ნავთობი შეეძინათ და იმუქრებოდნენ ყველა იმ ტანკერის კონფისკაციით, რომელიც ირანს ნავთობით დატოვებდა. მათ ასევე სხვებიც გააფრთხილეს შესაძლებელი ხანგრძლივი ეფექტების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ირანი წარმატებით გაართმევდა თავს ემბარგოს რეჟიმის დარღვევას.

1952 წლის ივნისში სამეფო ფლოტის (Royal Navy)-ს მიერ ერთ-ერთი ტანკერის კონფისკაცია განხორციელდა, ხმელთაშუა ზღვაში. ზოგიერთების თქმით, ეს იყო მეკობრული პანამის ტანკერი, რომელსაც იტალიურმა მცირე ნავთობკომპანიამ შეუკვეთა და ნავთობი აბადანიდან გადაჰქონდა. 1952 წლის იანვრიდან 18 თვის განმავლობაში, ირანს მხოლოდ 118 000 ტონა ნავთობი გაჰქონდა ექსპორტზე, რაც მხოლოდ ერთი დღის წარმოების ექვივალენტურია. უცხოელი ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ *„ბლოკადამ", ძლიერი დარტყმა მიაყენა ირანს, მაგრამ სრულადარ დააზიანა იგი."* ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოც იგივეს ასკვნიდა:

„ნავთობიდან არსებითი შემოსავლისა და საგარეო ეკონომიკური დახმარების არარსებობის პირობებშიც კი, ირანს შეუძლია საკმარისი რაოდენობის {არა ნავთობპროდუქტის] ექსპორტზე გატანა იმისათვის, რომ აუცილებელი იმპორტის გადახდა შეძლოს 1953 წლამდე იმ შემთხვევაში, თუ საქმე არ ექნება სერიოზულ მოუსავლიანობასთან, ან არახელსაყრელ საექსპორტო ბაზართან. სავარაუდოდ, მთავრობა შეძლებს სახსრების მოზიდვას თავისი საქმიანობისთვის. მოხდება გარკვეული ინფლაცია. კაპიტალური მშენებლობა შემცირდება, ხოლო ქალაქებში სიცოცხლის სტანდარტები დაეცემა. თუმცა ჩვენ არ ვთვლით, რომ ეკონომიკური ფაქტორები თავის მხრივ ეროვნული ფრონტის დამხობას გამოიწვევს1953 წელს... თუმცა დიდი ბრიტანეთი თვლის, რომ ნავთობის მოპოვებიდან არსებული შემოსავლების ნაკლებობა გამოიწვევს

ვითარების პროგრესირებად ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაუარესებას ირანში, როგორც ჩანს, კომუნისტური კონტროლი ირანში გარდაუვალი არ არის[62] *“.*

ემბარგოსთან გასამკლავებლად მოსადეყმა „ეკონომიკა ნავთობის გარეშე“ პროგრამა შეადგინა. მან შეამცირა სახელმწიფო ანაზღაურება, თავიდან მოიშორა მძღოლების მიერ მართული ავტომობილები მაღალი თანამდებობის პირებისთვის, გადადო სამშენებლო პროექტები, შეზღუდა ფუფუნების ნივთების იმპორტი, დაიწყო სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვება, დახარჯა მთელი ოქროს მარაგები, ბანკნოტები და სავალუტო რეზერვი საზღვარგარეთ ვაჭრობისთვის, თანდათანობით მოახდინა ვალუტის დევალვაცია- შავ ბაზარზე დოლარის ფასმა 37-დან 97 რიალამდე მოიმატა, ხოლო ფუნტის ღირებულება 89-დან 256 რიალამდე გაიზარდა. მან აგრეთვე გენერალ რაზმარას მიერ დაწყებული მოლაპარაკებები განაახლა ომიანობის კომპენსაციის სახით ოქროს საბჭოთა კავშირიდან მიღების თაობაზე. ჯერ კიდევ 1951 წელს ბრიტანეთის კომერციულმა ატაშემ გააფრთხილა ბრიტანეთის მთავრობა, რომ სავაჭრო სანქციებს მცირე გავლენა ექნებოდა ისეთ ქვეყანაზე, რომელიც უმეტესწილად ჯერ კიდევ აგრარულია.

თუმცა, ეკონომიკურმა სირთულეებმა ბაყაის, მაქქისა და ჰერიზადეს, ისევე როგორც ქაშანისა და ქონათაბადის, რომ არაფერი ვთქვათ როიალიზმის მიმდევრებსა და პრო-ბრიტანულ დეპუტატებზე, მიეცათ მოსადეყზე თავდასხმების გაძლიერების საშუალება. მაქქის თქმით, ირანი მალე საბჭოთა კავშირის მსგავსი გახდება, სადაც მთავრობა არის ყველაფრის მფლობელი, ხოლო მოქალაქეებს არაფერი გააჩნიათ[63] .“ ჰერიზადემ განაცხადა: „ახლა ჩვენ ვართ ეროვნული ფრონტის დიქტატურის ქვეშ“.

გარდა ამისა, ოპოზიციას მიზანში ჰყავს ამოღებული განათლების, იუსტიციის, ჯანდაცვის მინისტრები და ადამაშაულებენ მათ მემარცხენეების აყვანასა და თუდესთან თანამშრომლობაში. ქაშანიმ საკუთარ თავზე აიღო პრემიერ- მინისტრისთვის მიმართვა

Kylie MacLellan, Michael Georgy. Britain calls for European naval mission to counter Iran's 'piracy'.2019. იხ. https://www.reuters.com/article/us-mideast-iran/iran-says-it-has-arrested-cia-spies-uk-to-unveil-response-to-ship-crisis-idUSKCN1UH16E

[63] Abrahamian, Ervand. *The Coup 1953. The CIA and The Roots of Modern U.S-Iranian Relations*. New-York. 2013. გვ 101.

საკუთარი არარსებული არისტოკრატიული ტიტულით - ალ სალტანე. მათ დაადანაშაულეს კიდეც მოსადეყი შარიათის დარღვევაში - ალკოჰოლის გაყიდვის ნებართვისთვის, ერთობლივი სწავლებისკენ მოწოდებისა და უცხოური სკოლების დაცვისთვის, განსაკუთრებით - ჟანა-დარკის სახელობის ცნობილი ფრანგული ლიცეუმის. სახსრების რელიგიური ფონდებიდან სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებების ბიუჯეტში გადანაცვლებისა და ქალებისთვის არჩევნებში ხმის მიცემის უფლების საკითხის წამოჭრისთვის. ქაშანიმ ქალის ნამდვილი ადგილის აღწერით, რომ იგი სახლში უნდა იყოს, ქაშანიმ წამოიძახა, რომ „იგი ვერ ხვდებოდა, რა შეცდომა დაუშვეს კაცებმა, რით დაიმსახურეს, რომ მათ ქალებს ჰქონოდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება“ მეტიც, მათ აღმოაჩინეს, რომ მოსადეყის სადოქტორო თეზისი, რომელიც ოცდახუთი წლით ადრე შვეიცარიაში დაწერა, საეკლესიო სამართალს უჭერდა მხარს. მოგვიანებით მოსადეყმა გაიხსენა, რომ მისი მოწინააღმდეგეები განზრახ არასწორად განმარტავდნენ მის სადოქტორო თემას, რათა უფრო „მკრეხელურად“ წარმოეჩინათ იგი. სახელმწიფო დეპარტამენტმა საიდუმლოდ გააკეთა კომენტარი, რომ ეს დეპუტატები „პრემიერის პოზიციისთვის ამზადებდნენ საკუთარ თავებს“.

მაქქი მოსადეყს ჰიტლერს ადარებდა. ბაყაი მას ასე ახასიათებდა: „ჰიტლერზე უარესი“. გასაკვირი როდია, რომ მეჯლისის სესიები ხშირად ჩხუბის გამო წყდებოდა. ბაყაის ღია ბრალდებები საბოლოო ჯამში ნაკუწებად აქცევდა მშრომელთა პარტიას. ბაყაისთან ახლო კავშირში მყოფი პირები, ძირითადად პროფკავშირების ხელმძღვანელები, მისი მშობლიური ქალაქიდან - ქერმანიდან, მის ერთგულებად რჩებოდნენ, მაგრამ ახალგაზრდობა და ინტელექტუალური ნაწილი, რომელსაც ხალელ მალექი ხელმძღვანელობდა, განუდგნენ და ჩამოაყალიბეს ახალი პარტია სახელწოდებით „*Niru-ye Sevom*“ (მესამე ძალა). ბაყაი შოკირებული იყო იმით, რომ მისი ყოფილი ინტელექტუალი კოლეგები მარქსისტები აღმოჩნდნენ. ხალელ მალექიც გაოცდა, როცა აღმოაჩინა, რომ ბაყაი არაერთგზის „კორუმპირებული“ გამოდგა. მშრომელთა პარტია ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ჯგუფი აღმოჩნდა მოსადეყის მხარდაჭერის საქმეში . მესამე ძალა არიულ პარტიასთან ერთად მოსადეყის ერთ-ერთ უერთგულეს მხარდამჭერად რჩებოდა მიუხედავად იმისა, რომ იგი დაუფარავად

გამოდიოდა და ეწინააღმდეგებოდა მის ტოლერანტულობას *თუდეს* მიმართ. ხალელ მალექი არწმუნებდა მოსადეყს: „ჩვენ ჯოჯოხეთის კარიბჭემდეც გამოგყვებით.“ ცენტრალური დაზვერვის სააგენტომ ფული როგორც ბაყაის, ასევე ხალელ მალექის პარტიაშიც ჩადო. ჯალალი (ძმები ბოსკოებიდან ერთ-ერთი) აგრძელებდა მესამე ძალის შეხვედრებზე დასწრებას. ამ ფულადი ინვესტიციების ანგარიშსწორება გადატრიალების დღეს მოხდა. ამ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსების მიმართ ატეხილი აჟიოტაჟის მიზეზი გარკვეულწილად ის იყო, რომ მათ ტრიბუნის სახით მეჯლისი ჰქონდათ, ამასთანავე მათ ჰქონდათ წვდომა ქვეყნის სამ ძირითად პუბლიკაციაზე: *ეთელაათზე, ქეიჰანზე, და ხანდანიჰაზე;* გამოხმაურება ასევე გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მათ ხელში იყო გაზეთების შთამბეჭდავი რიცხვი: ბაყაის *„შაჰედი“,* ქონთაბადის *„მელლათე მა“.* დასავლური პრესა ხშირად იმეორებდა ბრალდებას, რომ მოსადეყი “დიქტატორი” იყო, და თუ ეს მართლაც ასე იყო, ის გახლდათ პირველი დიქტატორი, რომელსაც შემწყნარებლური დამოკიდებულება ჰქონდა ოპოზიციური დეპუტატებისა და გაზეთების ფართო სპექტრის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა უმეტესი ნაწილი ბაზართან იყო დაახლოებული, რიგითი ბაზრების უმეტესობა მოსადეყის მიმართ კვლავ ერთგულებას ინარჩუნებდა. ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ, ერთ-ერთი “უმთავრესი გაკვეთილი”, რომელიც მოსადეყის პერიოდიდან ისწავლა, ის იყო, რომ მაშინ, მოსადეყსა და ქაშანის შორის არსებული გარდაუვალი განხეთქილების ჟამს “ბაზარმა უყოყმანოდ აირჩია მოსადეყი”, რადგან მასში ქვეყნის ნაციონალიზმის სიმბოლოს ხედავდა. მეტიც, მთელი რიგი დამოუკიდებელი სასულიერო პირებისა, როგორიც იყო ჰოჯათ ალ-ესლამ აბულ-ფაზლ ზანჯანი და მაჰმუდ თალექანი კვლავ მოსადეყს უჭერდნენ მხარს. მისი ქარიზმა და ნაციონალისტური ბუნება ფარავდა სხვა არსებულ პრობლემებს.

მოსადეყისა და ქაშანის შორის არსებული განსხვავებული შეხედულებები ივლისის ამბოხებიდან მხოლოდ ათი დღის გასვლის შემდეგ გამოაშკარავდა. როცა მოსადეყმა მოითხოვა ერთ წლამდე გაეზარდა მისი ექვსთვიანი განსაკუთრებული უფლებამოსილებები, ქაშანი კი დაუპირისპირდა მას. მოსადეყმა იეჭვა სამეფო კარის

ინტრიგების არსებობის შესახებ და გადაკვრით ახსენა, რომ შაჰი საზღვარგარეთ უნდა წასულიყო შვებულებაში. ქაშანის მომხრეები უტვინო შაბანის თაოსნობით შეუერთდნენ როიალისტებს სასახლის წინ გამართულ დემონსტრაციებში. დაახლოებით სამასმა ადამიანმა გადაკეტა სასახლის გალავანი და მუდარით მიმართავდნენ შაჰს, არ დაეტოვებინა ქვეყანა. მოსადეყი დარწმუნებული იყო, რომ მისი სასახლეში მოწვევის მიზანი იყო მისი დაფრთხობა, წინასწარ მომზადებული ბრბოთი. მის მიერ ერისადმი მიძღვნილ გრძელ რადიო-მიმართვაში მოსადეყი ამტკიცებდა, რომ საზღვარგარეთ მოგზაურობის იდეა არა მას, არამედ შაჰს ეკუთვნოდა[64], რომ სამეფო ოჯახის წევრები, განსაკუთრებით კი - დედოფალი დედა პოლიტიკაში ფართოდ ერეოდა, რომ მან წმინდა ფიცით შეჰფიცა ყურანს, რომ შაჰს, როგორც ლეგიტიმურ კონსტიტუციურ მონარქს ემსახურებოდა და რომ ავაზაკები, რომლებიც მის სახლს დაესხნენ თავს, მისი მოკვლის შესახებ "საზღავრგარეთიდან ნაკარნახევი შეთქმულების" ნაწილი იყვნენ. საკუთარი სიტყვა მან დაასრულა ცნობილი სლოგანით "შაჰმა უნდა იმეფოს(იბატონოს) და არა მართოს."

ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, როცა მთავრობამ ზაჰედის დაპატიმრების ორდერი გამოსცა, რომელსაც ბრალს სდებდა გადატრიალების მომზადებაში. ქაშანიმ, როგორც მეჯლისის პრეზიდენტმა მას პარლამენტში მისცა თავშესაფარი. აქ ზაჰედის თანმხლებ პირებს შორის იყვნენ: ბაყაი, ქონთაბადი და ქაშანის ერთ-ერთი ვაჟი. ქაშანი შეუერთდა მათ, როცა მოსადეყის მომხრე დეპუტატებმა მოახერხეს ქაშანის გათავისუფლება მეჯლისის თავმჯდომარის თანამდებობიდან, მან პრემიერ-მინისტრის მისამართით ეს სიტყვები თქვა: "იგი უკვე აღარ გამოდის ერის სახელით[65]". ქაშანიმ მოსადეყი აგრეთვე "1941 წლამდე არსებულ დიქტატურაზე უარესი რეჟიმის დამყარებაში" დაადანაშაულა. საბოლოოდ, როცა მოსადეყმა რეფერენდუმი გამოაცხადა და მხარდამჭერებს მეჯლისიდან წასვლისკენ მოუწოდა, რათა ჩამოყალიბებულიყო ახალი პარლამენტი არჩევნების შეცვლილი კანონის შესაბამისად, ქაშანიმ იგი კონსტიტუციის

[64] Ervand abrahamian. A history of modern Iran. 2008. გვ 172.

[65] Abrahamian, Ervand. *The Coup 1953. The CIA and The Roots of Modern U.S-Iranian Relations*. New-York. 2013. გვ.120

უგულვებელყოფასა და ქვეყნის დიქტატურულ რეჟიმამდე მიყვანაში დაადანაშაულა. ამ პერიოდში დეპუტატების სულ მცირე მესამედი მაინც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსგან(CIA) და დაზვერვის საიდუმლო სამსახურისგან (MI6) ფინანსდებოდა. პასუხად მოსადეყმა პირდაპირ საზოგადოებას მიმართა:

„არავის გარდა ირანის მოსახლეობისა არ აქვს ამ საკითხის განსჯის უფლება. რადგან სწორედ ირანელმა ხალხმა დააარსა ჩვენი ძირითადი კანონები, ჩვენი კონსტიტუცია, პარლამენტი და კაბინეტის სისტემა. ვინ უნდა გვახსოვდეს, რომ კანონები ხალხისთვის შეიქმნა და არა პირიქით. ხალხს აქვს საკუთარი აზრების გამოხატვის და სურვილისამებრ, საკუთარი კანონების შეცვლის უფლება. დემოკრატიულ და კონსტიტუციურ ქვეყანაში ხალხი უზენაესი და დამოუკიდებელი ძალაა[66] “.

მოსადეყი, შვეიცარიაში ნასწავლი იურისტი, რომელიც ხშირად კონსტიტუციის კანონებს შაჰის საწინააღმდეგოდ ბოროტად იყენებდა, ახლა უკვე თვითონ, ამ კანონების გვერდის ავლით საერთო ნების თეორიასთან მივიდა. მონტესკიეს დიდი თაყვანისმცემელი ახლა უკვე ჟან-ჟაკ რუსოს მიმდევარი გახდა. რეფერენდუმზე გამარჯვების უზრუნველსაყოფად საარჩევნო ურნებში “მომხრეთა” და “მოწინააღმდეგეთა” ხმებით ცალ-ცალკე თავსდებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მოსადეყმა მთელი ქვეყნის მასშტაბით 2,044,600 ხმიდან 2,043,300 მიიღო და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. შესაძლოა რეფერენდუმმა მისი მხარდამჭერთა რიცხვი გაზარდა, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ მას კვლავინდებურად ჰქონდა შენარჩუნებული ხალხის მასების მხარდაჭერა. *„New York Times“-ის* მონაცემებით, ივლისის აჯანყების წლისთავი თეირანში გიგანტური მიტინგით აღინიშნა, თუმცა ქაშანის მომხრეები შესამჩნევად მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი. ეს შემთხვევა აგრეთვე საერთოეროვნული საყოველთაო გაფიცვით აღინიშნა.

1952 წლის ნოემბერში და დეკემბერში დაიწყეს პირველი შეხვედრები და კონსულტაციები, სახელმწიფო გადატრიალებასთან დაკავშირებით. დიდი ბრიტანეთის დაზვერვის წარმომადგენლები ვაშინგტონში შეხვდნენ ახლო აღმოსავლეთისა და

[66] Dr. Mohammad mossadegh Biography. იხ. http://www.mohammadmossadegh.com/biography/

აფრიკის დანაყოფის წარმომადგენლებს, რათა განეხილათ საკითხი იმასთან დაკავშირებით, შეერთებოდნენ თუ არა სახელმწიფო გადატრიალების იდეას, ან დარჩენილიყვნენ ირანში გეგმების მიღმა.

ბრიტანეთის დაზვერვის მხრიდან შეხვედრებს ესწრებოდნენ : ბატონი ქრისტოფერ მოთაგ ვუდჰაუსი(ბრიტანეთი დაზვერვის წარმომადგენელი, თეირანში), ბატონი სემუელ ფოლი(დაზვერვის წარმომადგენელი, თეირანში), ბატონი ჯონ ბრიუს ლოკჰარტი(ვაშინგტონში CIA-ს ოფიციალური წარმომადგენელი). ხოლო აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის დანაყოფიდან შეხვედრებს ესწრებოდა : კერმიტ რუზველტი(დანაყოფის უფროსი), მისტერ ჯონ ლაუიტი(ირანული დანაყოფის უფროსი), მისტერ ჯონ პენდელტონი და მისტერ ჯეიმს დარლინგი(დანაყოფის სამხედრო წარმომადგენლები).

წინასწარ გეგმა შეთანხმებული არ იყო. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები მხარს უჭერდნენ ირანის შიდა პოლიტიკურ საქმეებში ჩარევას და მოსადეყის დამხობას, მოლაპარაკების მეორე მხარე მზად არ აღმოჩნდა დებატებისთვის. პირველი შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის დანაყოფის წევრებმა(NEA) დრო ითხოვეს, რათა უკეთესად მომხდარიყო საკითხის შესწავლა და ამის შემდეგ გაგრძელებულიყო მოლაპარაკებები.

1953 წლის მარტში, თეირანის სადგურიდან მოვიდა ტელეგრამა, რომელშიც გატარებული იყო შემდეგი აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ საბოლოოდ გადაეწყვიტათ, მიიღებდნენ გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობას თუ არა. საელჩოში პერმანენტულად მიმდინარეობდა შეხვედრები, რომელსაც ესწრებოდა საელჩოს მთლიანი პერსონალი. გეგმის მონახაზი ძალიან ფრთხილად შედგა და გენერალიტეტს წარედგინა, რომელშიც აშშ-ს როლი გამოკვეთილი არ იყო, თუმცა შორეული ინტერესები მახვილი თვალისთვის აშკარა გახლდათ. გენერალმა ნოლტერ ბეგელ სმიტმა განაცხადა, რომ მხარს ვერ დაუჭერდა მოსადეყის მთავრობას, ამიტომ ჯობდა ნაციონალისტური ძალები არ ყოფილიყო ხელისუფლების სათვეში, ეს უპირველეს ყოვლისა დააზარალებდა ირანს და მის მოსახლეობას.

მიღებული გადაწყვეტილება სასწრაფოდ აცნობეს SIS-სს და NEA [67] -ს. ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ აშშ მხარს არ დაუჭერდა მოსადეყის დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას[68] .

შტატების დანაყოფმა და ბრიტანეთის დახვერვის საიდუმლო სამსახურმა ერთობლივად აცნობეს აშშ-ს ელჩს თეირანში, ჰენდერსონს და თეირანის სადგურის ხემძღვანელს როჯერ გოირანს, ახალი შემუშავებული პოლიტიკისა და ოპერაციის ოფიციალურად დამტკიცების შესახებ. 1953 წელს, აშშ-მ გამოყო ერთი მილიონი დოლარი, რომელიც უნდა გამოეყენებინათ თეირანის სადგურის წარმომადგენლებს ნებისმიერი გზით, მოსადეყის დასახმობად. მთლიანი ძალაუფლება გადაეცა ელჩ ჰენდერსონს და თეირანის სადგურის უფროსს გოირანს.

1953 წლის 16 აპრილს გამოქვეყნდა დაწვრილებითი კვლევა - „ფაქტორები, რომელიც ჩართულია მოსადეყის დამხობაში[69] “. ეს კვლევა კარგად უჩვენებდა, რომ ოპერაციის მთავარ ფიგურანტად არჩეული იყო გენერალი ზაჰედი, რომელიც იღებდა როგორც ბრიტანულ, ასევე ამერიკულ დახმარებას. ამ შემთხვევაში ერთი გარემოება უნდა იყოს ხაზგასმული. ამერიკის შეერთებული შტატებიდან ზაჰედი იღებდა, როგორც სამხედრო ინსტრუქტაჟს, ასევე ფინანსურ აქტივებს, ხოლო ბრიტანეთის მხრიდან ადგილობრივთა დახმარებას, ცოცხალი ძალით, რომელთა უმრავლესობას ფულით მოსყიდული დემონსტრანტები შეადგენდნენ. ეს ყველაფერი ნამდვილი შანსი იყო გენერალი ზაჰედისთვის, რომ გამხდარიყო ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა.

ერთი ფაქტორი აშკარა იყო, რომ ზაჰედი დიდი მხარდაჭერით არ სარგებლობდა მოსახლეობაში და იმ შემთხვევაში თუ გადამწყვეტი სიტყვა ხალხზე მიდგებოდა, ის აუცილებლად დამარცხდებოდა. ზაჰედი მოსადეყის მთავრობის ყოფილი წევრი იყო, შემდგომ მოხდა მათ შორის დაპირისპირება, რის გამოც მან დატოვა მთავრობა. 1953 წლის აპრილში თეირანის დანაყოფის წევრებმა აღადგინეს საიდუმლო კავშირები

---

[67] NEA - ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის დანაყოფი. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში.

[68] Moyara de Moraes Ruehsen. Operacion “Ajax” Revisited 1953. Middle East Studies. 1933. Vol. 29. No. 3. გვ. 467-486

[69] Mark Gasiorowski. The 1953 coup D’etat in Iran. International Journal of Middle East Studies. 1987. Vol.19, No. 3.

ზაჰედისთან, გენერალ ერიკ ჰოლარდის მეშვეობით. იმისათვის, რომ ზაჰედისთან მილიტარული ურთიერთობები უფრო ეფექტური და სანდო ყოფილიყო, არდაშირ ზაჰედი იქნა გამოყენებული ერთგვარ შიკრიკად. 1953 წლის 21 ივლისიდან ეს კავშირები გახდა პირდაპირი.

დონალდ უილბერს დაევალა ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურთან თანამშრომლობით შეემუშავებინა მოსადეყის მთავრობის დამხობის გეგმა. 13 მაისს შეხვედრა გაიმართა ქ. ნიქოზიაში უილბერსა და SIS-ის ოფიცერ ნორმან დარბშაიერს შორის. ამ შეხვედრას ასევე ესწრებოდა ნიქოზიაში მდებარე სატელეგრაფო სადგურის ხემძღვანელი ჯონ კოლინსი. შევხვდრები გაგრძელდა 30 მაისამდე. გეგმა შემუშავდა და ტელეგრაფით იულბერმა გააგზავნა 1 ივნისს, გენერალურ შტაბში.

შეხვედრებზე განიხილეს საკითხი, იყო თუ არა ზაჰედი ის პიროვნება, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა მოსადეყის წინააღმდეგ. მალე გამოჩნდა, რომ იულბერს და დარბშაიერს ერთი შეხედულება გააჩნდა, ირანში პოლიტიკურ ისთებლიშმენთზე. გამოჩნდა ისიც, რომ აშშ-ბრიტანეთი ერთობლივი ძალებით იმოქმედებდნენ. საკომუნიკაციო ბაზად არჩეული იქნა ახლო აღმოსავლეთში მდებარე ერთ-ერთი სადგური, რომელიც ნიქოზიადან რამდენიმე მილის მოშორებით მდებარეობდა(პოსტს პირობითად „მექა“ ეწოდა).

ფართო სპექტრით გამოჩდნენ უკვე ძმები რაშიდიანები, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ ყველა პოლიტიკურ და სამხედრო წრეებთან, პრესასთან, სასულიერო პირებთან და ყველა გავლენიან სამოქალაქო ჯგუფთან. ინფორმაცია ნიქოზიადან გადაეცა თეირანის სადგურს იმ იმედით, რომ ეს ინფორმაცია ხელსაყრელად იქნებოდა გამოყენებული, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელები დარწმუნებული იყვნენ რაშიდიანების სისუსტეში, მაინც აღიარებდნენ, რომ რაშიდიანები მზად იყვნენ გაერისკათ სიცოცხლით მოსადეყის წინაამღდეგ. აგვისტოს კრიტიკულ დღეებში რაშიდიანების რეალური სურვილები და შესაძლებლობები გამოვლინდა. მკაცრად იყო გასაიდუმლოებული თეირანში მყოფი აგენტების ვინაობა, რომლებსაც პირობითად მოიხსენიებენ, როგორც ქეივანი და ჯალილი, რომლებიც სუბაგენტები გახლდათ.

ახლა საჭირო იყო გეგმის მეტი კონკრეტიზაცია. ზაჰედი შეირჩა მთავარ მოქმედ პირად. შაჰი უნდა აეძულებინათ ემოქმედა მათი გეგმის შესაბამისად. სამხედრო ძალებს კი მზარდაჭერა უნდა გამოეცხადებინა შაჰისთვის. ეს გეგმა უნდა გამოჩენილიყო, როგორც ლეგალურად სწორი ოპერაცია. სამხედრო გეგმა მაშინ იქნებოდა წარმატებული, თუ გეგმა განხილული იქნებოდა ზაჰედის მიერ შერჩეულ სამხედრო პირებთან. მთავრობა მზად უნდა ყოფილიყო, თუ მკაცრ წინაამღდეგობას შეხვდებოდა *თუდეს* მხრიდან. გეგმის ნაწილს, რომელიც ტელეგრაფით იქნა გაგზავნილი, თეირანის დანაყოფი ბევრ რამეში არ დაეთანხმა, გამოითქვა აზრიც, რომ შაჰს არ უნდა ემოქმედა მოსადეყის წინაამღდეგ.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ სპეციალური დანაყოფი დაიწყებდა ფარულ მოქმედებებს მოსადეყის მთავრობის წინაამღდეგ. დანაყოფმა შემუშავებული გეგმა გაუგზავნა თეირანის დანაყოფს და ძმებ რაშიდიანებს. CIA-ს შემოქმედებით ჯგუფს დაევალა შეექმნათ ჯგუფი, რომელიც იმოქმედებდა მოსადეყის წინაამღდეგ.

გეგმაზე მუშაობა შეწყდა რამდენიმე დღით, რადგან ერთ-ერთმა რაშიდიანმა ძმამ დატოვა ირანი და გაემგზავრა ჟენევაში, სადაც გამართა შეხვედრები SIS-ის ოფიცერ ნორმან დარბშაიერთან.

მან გააცნო ნორმანს ირანში არსებული ვითარება და გასცა რამდენიმე რთულ კითხვაზე პასუხი. გეგმის ვადა იყო ლიმიტიზირებული, როგორც ეს შეხვედრაზე განაცხადა ნორმან დარბშაიერმა. იმდენად ცუდად წავიდა თნამშრომლობა SIS-სა და თეირანის დანაყოფს შორის, რომ რამდენიმე შეკამათებაც მოხდა მათ შორის, რადგან SIS ავრცელებდა სხვადასხვა ჭორებს გენერლებზე და ამას ყოველივეს აკეთებდა დანაყოფის წარმომადგენლებთან შეთანხმების გარეშე[70] .

საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ გეგმის ასლი უნდა წაეღოთ ლონდონში და ეს უნდა მომხდარიყო აუცილებლად 15 ივლისამდე. ჯორჯ ქეროლმა, რომელიც ნიქოზიაში იმყოფებოდა, დაიწყო ოპერაციის სამხედრო ასპექტებზე მუშაობა.

[70] Douglas Little. Mission impossible: The CIA and the Cult of Covert Action in the Middle East. Diplomatic History. Vol. 23. No. 5, 2004. გვ. 663-701.

9 ივლისს, შუადღით, ყველა ვისაც უნდა მიეღო მონაწილეობა გეგმის შემუშავებაში, შეიკრიბა ქ. ბეირუთში. ბეირუთში ჩავიდა კერმიტ რუზველტი, ქეროლი კვიპროსიდან, გოირანი მანქანით დამასკოდან, უილბერი საჰაერო გზით, კაიროდან.

შეხვედრები ოფიციალურად დაიწყო 10 ივნისს და გაგრძელდა 4 დღის განმავლობაში. მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ გადაეხედათ გეგმის ყველა ნაწილისთვის და პოლიტიკური ამინდისთვის, ირანში. იმ დაწვრილებითი ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც თეირანის დანაყოფი მათ გადმოსცემდა. ყველა პრინციპისა და პუნქტის განხილვის შემდეგ, ყურადღება გადაიტანეს ცალკეულ საკითხებზე. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო, რომ დარწმუნებულიყვნენ, რომ გეგმა ყველა სტრუქტურული თვალსაზრისით იყო გამართული და დახვეწილი. შეხვედრაზე ყველაზე მეტად მოეწონათ ერთი ერთი ასპექტი, რომელიც ითვალისიწინებდა იმ გარემოებას, რომ მოსადეყის ბევრი გავლენიანი მხარდამჭერი, გაწევდა ძალიან ძლიერ წინაამღდეგობას, ყველაფერი უნდა გაეკეთბინათ იმისთვის, რომ მაქსიმალურად კარგი შედეგი მიეღოთ.

თეირანის დანაყოფმა მთავარი ოპერაციის პარალელურად დაიწყო ალტერნატიული გეგმის შემუშავება, თუ „აიაქსი“ კრახით დასრულდებოდა, ამბოხების მონაწილეებს ექნებაოდათ ალტერნატივა „ამინი და ქაშანი“. 13 ივნისს, შაბათ საღამოს მოხდა ბოლო შეხვედრა, ხოლო 14 ივნისს დილით დაიშალნენ.

კერმიტ რუზველტმა და დონალდ უილბერმა გააგზავნეს მოხსენება CIA-ს ოფისში, რომელშიც დეტალურად განიხილავდნენ ბეირუთის შეხვედრას, როგორც დამატებით კონსულტაციას ლონდონის გეგმისა.

ლონდონის შეხვედრებზე მოხდა საბოლოო დეტალების შეთანხმება და უფლებათა და მოვალეობათა განაწილება. 17 ივნისს რუზველტმა და უილბერმა დატოვეს ლონდონი და სათაო ოფისში დაბრუნდნენ. გეგმა შეადგინეს და დააკაბადონეს.

დონალდ უილბერი ისტორიის მოყოლას 1952 წლის ნოემბრის ბოლოს იწყებს. ეს გამორიცხავს ივლისის აჯანყების შემდეგ ლოი ჰენდერსონისა და ჯორჯ მიდლტონის მიერ გამოტანილ დასკვნას, თითქოს მოსადეყისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა სამხედრო გადატრიალება ყოფილიყო. ეს აგრეთვე არ ითვალისწინებს საგარეო საქმეთა მინისტრ იდენის მიერ უფრო ადრე წარმოთქმულ თხოვნას, რომელმაც “უფრო

მხატვრული მიდგომებისკენ" მოუწოდა CIA-ს და MI6-სს, მათ მიერ 1952 წლის შემოდგომაზე ჩატარებულ შეხვედრებზე, რომლებიც მდგომარეობის განხილვის მიზნით გაიმართა. ამ შეხვედრებს ესწრებოდა ალენ დალესიც, (CIA)-ს მომავალი დირექტორი. ამ შეხვედრების ჩანაწერები კვლავ გასაიდუმლოებულად რჩება.

უილბერი მოსადეყის დამხობის ექვს ძირითად მიზეზს შემდეგი თანმიმდევრობით ასახელებს:

1) მის მიერ ნათქვამი "უარი" ნავთობის შეთანხმებაზე .
2) "მცირე დაფინანსება" მისი მხრიდან- ამ ლოგიკით ბევრი მთავრობა იმსახურებს დამხობას;
3) მისი "ემოციური" პოლიტიკა, მისწრაფება "პირადი ძალაუფლებისკენ" და მისი "აბსოლუტურად დამანგრეველი და უგუნური დამოკიდებულება";
4) მისი მხრიდან "უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივება" და "კონსტიტუციის უგულვებელყოფა"- ვინ იფიქრებდა, რომ სააგენტო ასე ძლიერ ღელავდა ირანის 1906 წლის კონსტიტუციაზე;
5) მის მიერ შაჰისა და შეიარაღებული ძალების ავტორიტეტის შერყევა;
6) მისი "თანამშრომლობ თუდესთან " და მის მიერ თუდეს წევრების სამინისტროებში დანიშვნა.

უილბერი არ წარმოაჩენს *თუდეს*, როგორც უშუალო საშიშროებას, არამედ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ არსებული პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში შესაძლოა ოდესმე სერიოზულ საფრთხედ იქცნენ, როგორც ეს 1948 წელს ჩეხოსლოვაკიაში მოხდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ირანი თავისი შეიარაღებული თემებით და შედარებით ნაკლებად დასახლებული ქალაქის მოსახლეობით საეჭვოა ჩეხოსლოვაკიამდე მისულიყო. უილბერი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს 1952 წლის ნოემბერში თათბირი ჰქონდათ და მოსადეყის ჩამოგდების საერთო გეგმის მომზადებაში CIA-ს და MI6-ს სთხოვეს დახმარება.

გეგმა პირველად ვაშინგტონში, აპრილში შემუშავდა; გეგმაში შესწორებები შევიდა აპრილის ბოლოს კვიპროსში არსებულ ბრიტანულ სამხედრო ბაზაზე; მოგვიანებით

ბეირუთში, ივნისის დასაწყისში; საბოლოოდ სისრულეში მოვიდა ლონდონში, ივნისის ბოლოს და გაფორმდა სახელმწიფო მდივნისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ 1 ივლისს, ხოლო ეიზენჰაუერმა და ჩერჩილმა 11 ივლისს მოაწერეს ხელი. ოპერაცია აგვისტოს შუა რიცხვებისთვის იყო დაგეგმილი. დაგეგმვის ეტაპზე მუდმივად გადიოდნენ კონსულტაციას ლოი ჰენდერსონთან; გენერალი ზაჰედი მხოლოდ მოგვიანებით მოიწვიეს. საკომუნიკაციო ოფისები თეირანში, ნიქოზიასა და ვაშინგტონში მდებარეობდა.

კერმიტ რუზველტი საველე ოპერაციების ხელმძღვანელად დანიშნეს. მიუხედავად იმისა, რომ მან სპარსული არ იცოდა და არ ჰქონდა სიღრმისეული ცოდნა ირანის შესახებ. სხვა მხრივ იყო ის კვალიფიციური. მას გამოცდილება ჰქონდა II მსოფლიო ომის დასაწყისიდან, როცა იგი საბჭოელების წინააღმდეგ ფინეთში იბრძოდა. გარკვეულწილად ერკვეოდა ნავთობის ბიზნესში, რადგან 40-იან წლებში ფოსტერ დალესთან მუშაობდა კომპანია „ კონსულტანტი ზღვის მიღმა“(Overseas Consultants) ირანის ნავთობკონცესიების ლობირების მიმართულებით. მეტიც, მას საკუთარი სახელი აძლევდა შაჰთან შეერთებული შტატების სახელით საუბრის საშუალებას. რუზველტის საკეთილდღეოდ იმის თქმაც შეგვიძლია, რომ იგი ირანში ჩასვლამდე ესტუმრა ჩერჩილს და სრული მხარდაჭერა მიიღო მისგან. ვაშინგტონიდან წასვლამდე რუზველტს აცნობეს, რომ მოსადეყი იყო “ფეთქებადი, მერყევი მოხუცი“. CIA-მ და MI6 [71] -მა თავიანთ გაერთიანებულ ოპერაციას როგორც უკვე ვახსენეთ“აიაქსი“ („AJAX”) უწოდეს. ბრიტანელი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ “AJAX” მხოლოდ გადამუშავება იყო MI6-ის მიერ უფრო ადრე შემუშავებული გეგმისა სახელწოდებით “BOOT[72] .

გეგმა ორი ნაწილისგან შედგებოდა: შფოთი მთავრობის დესტაბილიზაციის მიზნით და ჩვეულებრივი სამხედრო გადატრიალება მთავრობის დამხობის მიზნით. უილბერი პირადად იყო პასუხისმგებელი “ნერვების ომის [73] ” “ფსიქოლოგიურ” მხარეზე. იგი სპეციალიზდებოდა “თეთრ” და “შავ” პროპაგანდაში; პირველი მათგანი იყო ზიანის

[71] SIS ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია MI6-ის სახელით.

[72] ეს გეგმაც ანალოგიურად იყო შემუშავებული და საჭიროების შემთხვევაში, ყველანაირი ბერკეტის გამოყენებას ითვლისწინებდა ირანში ხელისუფლების დასამხობად.

[73] „ნერვების ომი“ - ასე ეწოდებოდა სპეციალურ პროპაგანდისტულ პოლიტიკას, რომელიც მოსადეყის წინაამღდეგ იყო მიმართული.

მომტანი ნამდვილი ინფორმაცია, რომლის ახსნაც შესაძლებელი იყო. მეორე მათგანი ცრუ ინფორმაციას წარმოადგენდა, რომელსაც მსმენელი განგებ შეჰყავდა შეცდომაში. იგი ტრაბახობდა, რომ მისი დავალება იყო "მთავრობის ნებისმიერი შესაძლო გზით დასუსტება [74] " და "საზოგადოებრივი აზრის მოსადეყის წინააღმდეგ ცეცხლივით აგიზგიზება."

გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო შესაძლო კომუნისტური საფრთხის ხაზგასმა და *„თუდეს"* დაკავშირება *"ნაციონალურ ფრონტთან"*, მისი ძალის გაბუქებით, მისი ხალხთა მასების გაბერვით, საბუთების გაყალბებით, იმის "დასამტკიცებლად", რომ მათ მთავრობაში შემოაღწიეს და იმის მტკიცებით, რომ ეს ძალა გადატრიალების განხორციელებას გეგმავდა. ხალხის გაფრთხილებით, რომ მოსადეყი ნებით, ან უნებლიედ ირანის გარდაუვალ შესვლას უკაფავდა გზას საბჭოთა კავშირში. ამ კონტექსტის საგაზეთო სტატიები ბრიტანეთში, ამერიკასა და ირანში ინერგებოდა. ვინაიდან ეს კონტექსტი იმდროინდელ საზოგადოებრივ დისკურსში ჯდებოდა, გაზეთების დიდი ნაწილი ამ ტიპის სტატიებს ხალისით ბეჭდავდა. შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში არ არსებობდა ერთი მთავარი გაზეთიც კი, რომელმაც ერთი დიდი სტატია არ დაუთმო სავარაუდო „წითელ საფრთხეს", რომელიც ირანს 1953 წლის ზაფხულში მოელოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი და ბრიტანელი პოლიტიკოსები ხალისით საუბრობდნენ კომუნისტური საფრთხის შესახებ თავიანთ საჯარო განცხადებებში, ისინი საკუთარ პირად საუბრებში ამ ყველაფერს ირონიულად აღიქვამდნენ. სახელმწიფო დეპარტამენტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველ საერთო თათბირზე გადაწყდა, რომ "ამჟამინდელი ვითარება რუსეთის მხრიდან წახალისების არავითარ ელემენტს არ მოიცავდა და არ უნდა განხილულიყო, როგორც უახლოესი "ცივი ომის" გამოვლინება[75]." როდესაც ბრიტანული სამუშაო ჯგუფი აჭიანურებდა ნაციონალიზაციის პრინციპზე დათანხმებას, ისინი გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, რომ ამერიკელები

---

[74] Dr. Wilber, Donald. *OVERTHROW OF PREMIER MOSSADEQ OF IRAN November 1952-August 1953*. Washington. 1969.

[75] Petherick, J. Christoper. *The CIA in Iran. The Coup and The origins of the U.S-Iran Divine*. Washington. 2007, გვ. 47.

“გატაცებული იყვნენ” თავიანთი ანტიკომუნისტური “მჭევრმეტყველებით”. ბრიტანეთის ელჩი ვაშინგტონში უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით გამოთქვამდა, რომ შეერთებული შტატები მეტისმეტად უსვამდა ხაზს “კომუნისტურ საფრთხეს[76] .

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელიც უარყოფდა კომუნისტურ საფრთხეს ირანში, შემდეგი ინსტრუქცია მისცა თავის ჩინოვნიკებს: “ირანელებს ხაზგასმით უნდა ვუთხრათ, რომ კომუნიზმის საფრთხე მოსადეყის ძალაუფლებაში დარჩენის შემთხვევაში კიდევ უფრო გაიზრდება[77] ”. გადატრიალების მზადების პროცესში ბრიტანელები ირწმუნებოდნენ, რომ მხოლოდ სამხედრო პირებს შეეძლოთ ქვეყნის კომუნიზმისგან ხსნა. MI6-ის აგენტი- მონტი ვუდჰაუსი, ცივი ომის დროინდელი პოლიტიკოსი თავის მემუარებში აღიარებს, რომ ტრანსატლანტიკურ გარიგებებში იგი განზრახ გაითამაშებდა ხოლმე კომუნისტურ საფრთხეს, რითაც ამცირებდა “ნავთობის მრეწველობაზე კონტროლის მნიშვნელობას. “ რამდენიმე წლის შემდეგ ჯორჯ მიდლტონმა[78] ასევვე აღიარა, რომ თუდეს უფრო “გუდიან კაცად” აღიქვამდა, ვიდრე რეალურ საფრთხედ, რამდენადაც სოციალური სტრუქტურა სრულიად “არახელსაყრელი იყო კომუნისტური ბატონობისთვის”.

კომუნისტურ საფრთხეს იმდენად ხშირად უსვამდნენ ხაზსს, რომ მოსადეყი სიცილს ვეღარ იკავებდა ამ ჩვეულებაზე. კომპენსაციის შესახებ უკანასკნელი მოლაპარაკების მსვლელობისას ლოი ჰენდერსონმა დაიჩივლა, რომ მოსადეყი თავის ანგარიშებს ვერასდროს გაყიდდა ბრიტანელებზე. მოსადეყმა მიუგო: “შეგიძლიათ უთხრათ, ირანელ ხალხს, რომ კომუნიზმისგან იხსნით?!”. ჰენდერსონი საკმაოდ კარგად იცნობდა მოსადეყის იუმორს, რათა ჩასწვდომოდა მოსადეყის ხუმრობებს, მაგრამ ისტორიკოსები, რომლებსაც ირონიაზე წარმოდგენაც კი არა აქვთ, ირწმუნებიან, რომ კომუნიზმის ასეთმა ხაზგასმამ გადაწყვიტა მისი ბედი. მოსადეყმა გასამართლებისას აიცდინა საუბარი კომუნისტურ საფრთხეზე, როგორც განტევების ვაცზე, რომელიც რეალური

---

[76] Ervand Abrahamian. A history of modern Iran. 2008. გვ. 170.

[77] Petherick, J. Christoper. *The CIA in Iran. The Coup and The origins of the U.S-Iran Divine*. Washington. 2007. გვ. 123.

[78] ბრიტანეთის საგარეო საქმე სამინისტროს წარმომადგენელი.

პრობლემებისგან თავის არიდების მიზნით გამოიგონეს. "მე არ ვღელავდი თუდეზე[79]"- ამტკიცებოდა იგი, "რადგან არც ერთი ტანკი, არც ერთი ტყვიამფრქვევი არ გააჩნდათ". ნავთობის სამომავლო წლიური შემოსავლებით ჩვენ მოვახერხებდით ეკონომიკური პრობლემების შემსუბუქებას და ამგვარად მათი სოციალური მხარდაჭერის შემცირებას." მოგვიანებით საპატიმროში გაკეთებულ ჩანაწერებშიც იგივეს წერდა. მას თუდე მთელი რიგი მიზეზების გამო არ ადარდებდა. იცოდა, რომ არ ჰქონდათ საკმარისი გავლენა მისი ჩამოგდებისთვის[80]. იგი ენდობოდა მინისტრებს, რომლებსაც ოპოზიციამ "რევოლუციის თანამგზავრები" და "კანონდამრღვევევბი" უწოდა. მას აგრეთვე საკუთარი დისშვილი აბუ ნასრ აზადი, ყოველდღიურად უდასტურებდა, რომ *თუდეს* არავითარი გადატრიალების გეგმა არ ჰქონდა მომზადებული და ჩანაფიქრიც კი არ ჰქონდა ამის შესახებ. „წითელი პრინცის" სახელით ცნობილი აზადი გარკვეული პერიოდის განმავლობაში თუდეს წევრი იყო და კვლავ ჰქონდა კავშირი ზოგიერთ ძველ კოლეგასთან.

არსებობს სხვა მიზეზებიც, რომელთა გამოც კომუნისტურ საფრთხეს არ უნდა მივანიჭოთ მნიშვნელობა. იგივე "რევოლუციის თანამგზავრებს", რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ თუდესთან თანამშრომლობაში, მალევე დართეს შეერთებულ შტატებში დასახლების ნება. ეს ემიგრაციის კანონების დარღვევა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ამ ეჭვში ოდნავი საფუძველი მაინც არსებობდა. 1953 წლის მარტში გამართულ სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის სხდომაზე ირანული კრიზისის მრავალი ასპექტი განიხილეს, მაგრამ თითქმის არც უხსენებიათ კომუნისტური საფრთხე.

მნიშვნელოვანია, რომ უილბერის ანგარიშის ნაწილში, რომელიც შესაძლებელი "საპასუხო დარტყმების" შესახებაა, თითქმის არაფერია ნათქვამი კომუნისტების მიერ ირანის შთანთქმის შესახებ, მაგრამ ბევრი რამ წერია MI6-ის მთელი მიწისქვეშეთის ამოთხრის შესახებ. ნაცვლად კომუნისტური მთავრობის არსებობის შესაძლებლობის განხილვისა, დოკუმენტში იყო გაწერილი გეგმები გაუთვალისწინებელი გარემოებების

---

[79] ბოზორგმეჰრი, ჯალილი. *დოქტორი მოჰამად მოსადეყი სამხედრო სასამართლოს წინაშე.* ტომი I. თეირანი. 1993. (სპარსული "دکتر محمد مصدق در دادگاه تجدید نظر نظمی - جلیل بزرگمهر)

[80] თაჰერი, ფარზანე. *მოსადეყი და ბრძოლა ძალაუფლებისთვის ირანში.* თეირანი. 1990. (სპარსულად فرزانه طاهری- مصدق و مبارز برای قدرت در ایران)

შემთხვევაში მოსადეყის მთავრობის წინააღმდეგ მომავალი ტომობრივი ამბობხებების ორგანიზების შესახებ.

მეტიც, CIA-მ საკმაოდ რეალისტურად შეაფასა თუდეს ძლიერი და სუსტი მხარეები. მის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, რომელიც ირანული G2-ის ინგარიშებით შეავსო, მისთვის ცნობილი გახდა, რომ პარტიას 15,000 დან 22,000-მდე წევრი და ამ რიცხვზე 4-ჯერ მეტი მომხრე ჰყავდა; ამომრჩეველთა რიცხვი თეირანში 25 000-ს უტოლდება. და მთელი რიგი ყალბი ორგანიზაციების - მშვიდობის პარტიზანისა და იმპერიალისტური ნავთბკომპანიების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოების მეთაურობით; კიდევ უფრო შთამბეჭდავია პროფკავშირთა რიგები- რიგითებისა და სერჟანტების 60 % შედგებოდა მუშებისგან, ზოგიერთი მათგანი ქალიც იყო, მაგრამ უმრავლესობა- განათლებული მამაკაცები, რომლებიც საკმაოდ კარგად იყვნენ შემოსილი დასავლურ ყაიდაზე". პარტიამ თეირანში შეძლო მიტინგიდან ერთი წლის თავზე 53000-მდე ადამიანის თავმოყრა („*New-York times"*-მა ეს რიცხვი 100 000 ადამიანამდე გააზვიადა). მოგვიანებით ყოლამ-ჰოსეინ სადიქი უკმაყოფილებას გამოხატავდა, რომ ხალელ მალექი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ნაციონალურ ფრონტსა და თუდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩაეტარებინათ მიტინგები, რაც ოპოზიციისთვის ხელსაყრელი იყო.

გარდა ამისა CIA-სთვის ისიც იყო ცნობილი, რომ ხალხის რაოდენობა აუცილებლად პოლიტიკურ ძალაუფლებად ქცევას არ ნიშნავდა. პარტია შეიარაღებული არ იყო. მისი წევრების რიცხვი შეიარაღებულ ძალებში შემცირდა. საქმე რევოლუციას არ ეხებოდა; პარტია არც ამბოხებისთვის და არც შეიარაღებული ბრძოლისთვს არ ემზადებოდა. მისი მთავარი მიზანი მოსადეყის მხარდაჭერა და ერთიანი ფრონტის შექმნა იყო. ბრიტანელები გააოცა იმ ფაქტმა, რომ თუდემ არც "ივლისის ქაოსი არ გამოიყენა ძალაუფლებაზე პრეტენზიის ქონისთვის". CIA-ს ერთ-ერთ ანგარიშში წერია: ნაციონალური ფრონტის მთავრობა 1953 წლამდე რჩება ძალაუფლებაში. მთავრობას აქვს უფლება, დაიწყოს ეფექტური რეპრესიული მოქმედებები, რათა გაერკვეს მასობრივ ძალადობასა და თუდეს აგიტაციებში. თუდე ვერ შეძლებს მთავრობის გაკონტროლებას. ნაკლებად სავარაუდოა ნაციონალური ფრონტის დამხობისთვის საკმარისი ძალა მოიკრიბონ ამ უკანასკნელის მოწინააღმდეგე ოპოზიციურმა ჯგუფებმა. CIA-ს კიდევ ერთი

ანგარიში იუწყებოდა, რომ თუდეს არც ერთი ტიპის მსხვილ საომარ მოქმედებებს არ ისახავდა მიზნად. მან თავის წევრებს დაავალა მთავრობის "დაცვა" მოსალოდნელი გადატრიალებისგან. იგი არ თვლიდა, რომ იმ დროისთვის არსებობდა მის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთვის ხელსაყრელი გარემოებები. გადატრიალების წინა დღეს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ თუდეს მოღვაწეობა თავისი შრომითი ორგანიზაციების კონსოლიდაციით შემოიფარგლებოდა და "რთული იყო იმის წინასწარ განჭვრეტა, რა გარემოებების შემთხვევაში შეეძლო გადატრიალების მოწყობის მცდელობა[81]." შემდგომში საუბარი იყო იმაზე, რომ ირანული ჯარები ნებისმიერ მსგავს მცდელობასთან შეძლებდნენ გამკლავებას. საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნებლიედ აღიარა, რომ პრობლემა სინამდვილეში მდგომარეობდა ირანელების "ღრმად ფესვგადგმულ უნდობლობაში ნებისმიერი უცხოელის მიმართ." მათ უჭირდათ "ამერიკელებისა და საბჭოელების განსხვავება" და შესაბამისად, "დიდი ილუზიები ჰქონდათ ნეიტრალიზმის მიმართ". სხვაგვარად რომ ვთქვათ, სინამდვილეში პრომბლემა არა კომუნიზმში, არამედ ნეიტრალიმზში იყო. ეს რეალისტური შეფასებები დაადასტურა ფრანგმა სამხედრო ატაშემ, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა მათი ხემძღვანელობით გაწვრთნილ ირანელებთან.

ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი უილიამ როჯერ ლუისი "ირონიას" იშველიებს, რათა ახსნას შეუსაბამობა პროპაგანდასა და რეალისტურ შეფასებებს შორის. იგი წერს: "ამ ამბის ირონიულობა ნაწილობრივ იმაში მდგომარეობს, რომ მოსადეყის მთავრობა კვლავ პოპულისტურად, ნაციონალისტურად და ანტიკომუნისტურად რჩებოდა. მოსადეყი რჩებოდა ფიგურად, რომელიც ირანის ნაციონალიზმის ძირითად აკორდებს შეეხო. მას დიდწილად იმის გამო ჰქონდა ხალხის მხარდაჭერა, რომ მისმა სოციალურმა რეფორმემმა უკვე დაიწყეს ამოქმედება.

კომუნიზმის საფრთხის შესახებ შფოთის ატეხვასთან ერთად CIA და MI6 ფულს სისტემატიურად აბანდებდა ირანის მეჯლისში, 20-დან 30-მდე დეპუტატში. საუბარია 11 000 დოლარზე კვირაში; 20-ზე მეტ გაზეთში, რომლებიც სისტემატურად აქვეყნებდნენ

[81] Wilber, Donald. *OVERTHROW OF PREMIER MOSSADEQ OF IRAN November 1952-August 1953*. Washington. 1969, გვ. 7.

ლონდონსა და ვაშინგტონში დაწერილ სტატიებს; ბახთიარების წინამძღოლებში, რომლებმაც თემთა ამბოხებები 1953 წლის თებერვალში დაიწყეს; "ტერორისტულ დაჯგუფებაში, რომელიც არ სახელდება, სავარაუდოდ *ფედაიანე ესლამზე,* რათა უშუალო მოქმედებები დაეწყოთ მოსადეყისა და მისი გარემოცვის წინააღმდგ." *„SUMKA"*-ში, *„Arya"-ში*, ასევე მუშათა პარტიაში, აიათოლა ბეჰბაჰანის მეშვეობით მქადაგებლებსა და თეირანის სამხრეთ ნაწილში არსებულ ლათთა ბანდებში. ამ ბანდებს მცირე ზომის მემარჯვენე პარტიებზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1953 წელს ცირკულირებადი ფული „ბეჰბაჰანის დოლარის" სახელითაა ცნობილი.

მრავალი ხელოვნურად შედგენილი სტატიიდან ერთ-ერთი ამტკიცებდა, რომ ჰოსეინ ფათემი ჰომოსექსუალი იყო, რომელმაც ქრისტიანობა და ბაჰაიზმი მიიღო, და რომ იგი მისიონერული სკოლიდან ფულის მოპარვის გამო გარიცხეს. ეს იყო ღია წაქეზება მისი მკვლელობისთვის, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულებები მას სასიკვდილო განაჩენს უქადდა. სინამდვილეში ერთი წლის შემდეგ ფედაიანე ესლამის წევრმა, რომელიც გაჰყვიროდა: "სიკვდილი ისლამის მტრებს!", ესროლა და სერიოზული ჭრილობა მიაყენა ფათემის. მარკ გასიოროვსკი, რომელმაც CIA-ს იმ აგენტებთან ჩაწერა ინტერვიუ, რომლებიც გადატრიალებაში მონაწილეობდნენ, აღმოაჩინა, რომ პროპაგანდისტული ომი საკუთარ თავში მოიცავდა ხმების გავრცელებას მოსადეყის ებრაული წარმომავლობის შესახებ[82].

უილბერმა გააყალბა დოკუმენტები იმის "დასამტკიცებლად", რომ მოსადეყი "ანტი-სარწმუნოებრივი", "ძალაუფლებისგან გარყვნილი", "არაკეთილსინდისიერი მრჩევლებით გარემოცული", "სეპარატისტული მოძრაობების მომხრე" იყო და "საიდუმლო კავშირი" ჰქონდა თუდესთან. მან აგრეთვე გააყალბა დოკმენტები, რათა ეჩვენებინა, რომ თუდემ ნაციონალურ ფრონტში ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეაღწია და სარწმუნოებრივი ლიდერების მოკვლას გეგმავდა - ერთ სასულიერო პირს სახლი დაუბომბეს კიდეც და ბევრმა სასულიერო პირმა მუქარის წერილი მიიღო, სადაც საუბარი იყო უახლოეს მომავალში "სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის" დაარსებაზე. CIA

[82] James A. Bill and Wm. Roger Louis (eds.), *Musaddiq, Iranian Nationalism, and Oil* (London, 1988), გვ. 35.

აგრეთვე აყალბებდა ბანკნოტებს, ისინი ემზადებდნენ ქვეყნის ჩაძირვისთვის "ყალბი თანხების" შემოდინებით.

გეგმა აგრეთვე ითვალისწინებდა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, განსაკუთრებით დასავლურ გაზეთებს ხაზი უნდა გაესვა "კომუნიზმის საფრთხისთვის" და "გამოეხატათ შეშფოთება მოსადეყის თუდესთან მოკავშირეობის თაობაზე". აშშ-ს მაღალი თანამდებობის პირებს "ოფიციალური განცხადება უნდა გაევრცელებინათ, რომელიც დახმარების ყოველგვარ იმედს გადაუწურავდა მოსადეყს." აგვისტოს დასაწყისში სახელმწიფო მდივანმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ თავის გრანდიოზულ შუააღმოსავლურ ტურში ყოფნისას თეირანში არ გაჩერდებოდა. ამ პერიოდისთვის სახელმწიფო დეპარტამენტიდან გაუონა პრეზიდენტის მიერ მოსადეყისთვის ადრე მიწერილმა პირადმა წერილმა, რომელიც ამ უკანასნელს აცნობებდა, რომ მას არ შეეძლო დახმარება გაეწია ნავთობით ისეთი მდიდარი ქვეყნისთვის, როგორიც ირანია. სააგენტო „*Reuters*"-სი ციტირებდა ლოი ჰენდესონის სიტყვებს, რომელიც ამერიკისკენ თავის "ხანგრძლივ შვებულებაში" მიმავალი ქალაქ კარაჩიში შეყოვნდა ალენ დალესის სანახავად, რათა ეცნობებინა მისთვის, რომ შეერთებულმა შტატებმა "ყველა იდეა ამოწურა" ბრიტანულ-ირანული დავის გადასაწყვეტად. მოგვიანებით ამას "შოკური თერაპია" უწოდეს. ნიუ იორკ თაიმსი სარედაქციო სტატიაში სახელწოდებით *"მოსადეყი ცეცხლთან თამაშობს"* იუწყებოდა: "ჩვენ ვიცით, რომ იგი ძალაუფლებას მოწყურებული, პიროვნულად ამბიციური, ულმობელი დემაგოგია, რომელიც საკუთარი ხალხის თავისუფლებას ფეხქვეშ თელავს. იგი აქეზებს თუდეს და ატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც კომუნისტებს კიდევ უფრო საფრთხისმომცველად აქცევს." შეიძლება ეს სარედაქციო წერილი თავად უილბერის მერ იყო დაწერილი[83].

დესტაბილიზაციის ყველაზე სერიოზული აქტი მოხდა აპრილში, როდესაც ბაყაის მომხრეებმა MI6-ის აქტიური მონაწილეობით გაიტაცეს და სასიკვდილოდ აწამეს გენერალი მაჰმუდ აფშართუსი, პოლიციის უფროსი ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელი იყო შეიარაღებული ძალების კონტროლზე. მისი სასტიკად ნაწამები გვამი თეირანში

[83] Abrahamian, Ervand. *The Coup 1953. The CIA and The Roots of Modern U.S-Iranian Relations*. New-York. 2013. გვ .134

ქუჩაში დააგდეს, რათა ყველასთვის ეჩვენებნათ, რომ მთავრობას არ ჰქონდა მისი ყველაზე მაღალი რანგის პირთა დაცვის უნარიც კი . პოლიციამ ბაყაი, ზაჰედი და მათი თხუთმეტი თანამებრძოლის დაპატიმრების ორდერები გასცა, მათ შორის იყო რედაქტორი შაჰედი და ხუთი გადამდგარი გენერალი. ერთ-ერთი გამტაცებელი მოგვიანებით „სავაქის[84] " შეუერთდა. იგი 1979 წლის რევოლუციის შემდეგ აფშართუსის მკვლელობაში მონაწილეობისათვის სიკვდილით დასაჯეს. მოგვიანებით MI6-ის თანამშრომელმა ჟურნალისტთან განაცხადა, რომ წინასწარ კი არ დაუგეგმავთ აფშართუსის მოკვლა, არამედ ერთ-ერთმა გამტაცებელმა მოთმინება დაკარგა და ესროლა მას. ასეთი ინფორმაციის მტკიცების უფლებას არ გვაძლევს მისი სასტიკად ნაწამები სხეული. *The New York Times* [85]ირწმუნებოდა, რომ მოსადეყმა აფშართუსის საქმე მთლიანი ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის გამოიყენა."

გადატრიალების ფაქტობრივი სამხედრო შემადგენლობა მეტწილად შაჰზე იყო დამოკიდებული. სწორედ მას უნდა მიეცა გადატრიალებისთვის "არასამხედრო შეფარვა." მას აგრეთვე მიიჩნევდნენ ერთადერთ პიროვნებად, რომელსაც რაიმე სახის ავტორიტეტი ჰქონდა მოქმედ სამხედრო ოფიცრებს შორის. გენერალ ზაჰედის "მოსყიდულად" და ნაწილობრივ მატყუარადაც მიიჩნევდნენ. იმისათვის, რომ შაჰის მონაწილეობისთვის მიეღწიათ, შეთქმულებაში, CIA-მ და MI6-მა მთელი რიგი ემისრები გაგზავნეს მასთან: პრინცესა აშრაფი, შაჰის ტყუპისცალი და, რომელიც გაფრთხილების გარეშე საიდუმლო წერილით ჩამოვიდა რივიერადან; გენერალი ნორმან შვარცკოფი, აშშ-ს ჟანდარმერიის მისიის ხელმძღვანელი 1942-48 წლებში, რომელმაც "მეგობრული ვიზიტის" შეფარვის მიზნით გამოიყენა რეგიონალური ტური შუა აღმოსავლეთში; ასადულაჰ რაშიდიანმა დაშიფრული შეტყობინება მოუტანა შაჰს იმის დასამტკიცებლად, რომ იგი დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით ლაპარაკობდა; ხოლო კერმიტ რუზველტი მალულად მივიდა შაჰის სასახლეში, რათა დაერწმუნებინა იგი, რომ

[84] სავაქი- შაჰის ირანში დაბრუნების შემდეგ, ამერიკელების დახმარებით შეიქმნა სახელმწიფოს უშიშროების სამსახური ირანში, რომელიც ტერორის და სისხლისღვრის სიმბოლოდ იქცა.
IRAN POLICE CHIEF FOUND STRANGLED; Mossadegh Foes Implicated. General Left Clue That Led to Discovery of Murder IRAN POLICE CHIEF FOUND STRANGLED იხ. https://www.nytimes.com/1953/04/27/archives/iran-police-chief-found-strangled-mossadegh-foes-implicated-general.html

გადატრიალების უკან ეიზენჰაუერი და ჩერჩილი იდგნენ. რუზველტმა შაჰი აგრეთვე იმაშიც დაარწმუნა, რომ გადატრიალების შემდეგ შეერთებული შტატები "ადეკვატურ დახმარებას" გაუწევდა ირანს, ხოლო ბრიტანელები "კეთილი ნებისა და სამართლიანობის სულისკვეთებით დიდსულოვან შეთანხმებაზე წავიდოდნენ ნავთობთან დაკავშირებით."

შაჰმა, რომელმაც ხალისით აღიარა, რომ სძულდა "რისკზე წასვლა," მანამდე შეიჩერა ვალდებულება, ვიდრე პოლკოვნიკმა ახავიმ, G2 -ის ყოფილმა უფროსმა გადასცა მას ორმოცი მოქმედი სამხედრო ოფიცრის სახელი, რომლებსაც უშუალო მონაწილეობის მიღება სურდათ გადატრიალებაში. მას სჭირდებოდა ნამდვილი სახელები და არა გაურკვეველი დაპირებები. შაჰის კიდევ უფრო მეტად დასარწმუნებლად გენერალი ზაჰედი დათანხმდა პრემიერ-მინისტრობის პოსტიდან გადადგომის შესახებ უთარიღო წერილზე ხელმოწერის გაკეთებას. უკანასკნელი რამ, რაც შაჰს სურდა, იყო არასამხედრო პრემიერ-მინისტრის თავიდან მოშორება, ხოლო შემდგომ კი, ალბათ, საკუთარი თავის აღმოჩენა არმიის გენერლის კლანჭებ ქვეშ. ეს შედარებით მცირე გაჭირვებიდან უარესში გადასვლა იქნებოდა. შაჰისთვის ნათელი გახდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ "შეუერთდებოდა გადატრიალების გეგმას", დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები "მის გარეშე" იმოქმედებდნენ. მათ გააფრთხილეს შაჰი, რომ "შეწყვეტდნენ დინასტიის მხარდაჭერას" და შესაბამისად, "თვითონ დინასტია შეწყვეტდა არსებობას." ეს უფრო ულტიმატუმს ჰგავდა, ვიდრე მეგობრულ წინადადებას.

გეგმა შემდეგ ნაბიჯებს მოიცავდა: დათქმულ ღამეს, აგვისტოს შუა რიცხვებში, საიმპერატორო დაცვის სამხედრო მოსამსახურეები თავიანთი მეთაურის, პოლკოვნიკ ნემათულაჰ ნასერის თაოსნობით პრემიერ მოსადეყს წარუდგენდნენ სათანადოდ ხელმოწერილ სამეფო ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც მის ნაცვლად ხელისუფლების სათავეში გენერალი ზაჰედი ჩადგებოდა; სხვა სამხედრო მოსამსახურეები ძირითად მინისტრებს დააპატიმრებდნენ; ხოლო კიდევ ერთ-ერთი მათგანი გენერალი ბათმაყალიჩი საკუთარ თავზე აიღებდა სატელეგრაფო ოფისის დაკავებას, რადიოსადგურისა და გენერალური შტაბბინის. გენერალ ბათმაყალიჩს, როგორც ზაჰედის მიერ ახლადდანიშნულ შტაბის უფროსს დაევალებოდა სამხედრო

მოსამსახურეებისა და ტანკებისთვის ყაზარმებიდან დედაქალაქალაქში გადაყვანის ბრძანებების გაცემა. პროტესტის ჩახშობისა და მასობრივი დაპატიმრებების მიზნით, 100 ადამიანი მაშინვე უნდა შეეპყროთ, ხოლო მომდევნო დღეებში- კიდევ 4000 აქტივისტი. ყურადღების გადატანის მიზნით ქუჩის ბანდები თუდეს მოკავშირე ოფისებსა და ნაციონალურ ფრონტს შეუტევდნენ. გეგმა ითვალისწინებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გადატრიალების "არასამართლებრივი ასპექტი" მარცხს განიცდიდა, განხორციელდებოდა მისი შედარებით მარტივი სამხედრო ალტერნატივა. სათადარიგო გეგმის სახით, მაშველი ჯარის პროვინციული გარნიზონებიდან შემოსვლაც იყო შესაძლებელი: ქერმანშაჰიდან პოლკოვნიკ ბახთიარის, ხოლო ყაზვინიდან პოლკოვნიკ ყარანის. იმ შემთხვევაში, თუ ეს ყოველივე არ გაამართლებდა, სათადარიგო გეგმა ითვალისწინებდა თემთა აჯანყებებს - განსაკუთრებით ბახთიართა თემების ისპაჰანში და აგრეთვე აჯანყებას აზერბაიჯანში.

ძირითად დაბრკოლებას თეირანის გარნიზონის სასარდლო სტრუქტურა წარმოადგენდა. 1952 წლის აჯანყების შემდეგ მალევე გენერალმა რიაჰიმ- მოსადეყის შტაბის ახალმა ხელმძღვანელმა მისი სრული რეორგანიზაცია მოახდინა. მან გარნიზონი ხუთ ბრიგადად დაყო. მათ შორის ორი ჯავშანსატანკო, ხოლო ორი- სამთო (მსუბუქადშეჯავშნული). მან ისინი ცალკეულ ყაზარმებში განალაგა; იმ პოლკოვნიკებს დაუმორჩილა, რომელთა მიმართაც ნდობით იყო აღჭურვილი. და მიიღო საგულდაგულოდ შედგენილი სიფრთხილის ზომები, რათა თავიდან აეცილებინა ტანკების, ჯარის, სატვირთო მანქანების, საბრძოლო აღჭურვილობის, სათადარიგო ნაწილებისა თუ ნავთობის ნებისმიერი არასანქცირებული გამოყენება. ხუთი მეთაურიდან ოთხს მის მსგავსად საფრანგეთში ჰქონდა მიღებული განათლება და ირანული პარტიის წევრი იყო: პოლკოვნიკი ალი ფარსა, ალი შაეგანის დისშვილი, პირველ სამთო ბრიგადას მეთაურობდა მეჰრაბადის აეროპორტში; პოლკოვნიკი ეზათალაჰ მომთეზი მეთაურობდა მეორე სამთო ბრიგადას ჯემშიდიჰში ; პოლკოვნიკი აშრაფი - ერთადერთი გამონაკლისი გენერალი, მეთაურობდა მესამე სამთო ბრიგადას ეშყაბადში; პოლკოვნიკ ნასერ შაჰრუყის მეორე ჯავშანსატანკო ბრიგადა ებარა ყასრში; ხოლო პოლკოვნიკი როსთომ ნავზარი იყო პირველი ჯავშანსატანკო ბრიგადის მეთაური სულთანაბადში - აქ

იყო ყველაზე დიდი ყაზარმები ოცდათორმეტი ტანკით, მათ შორის თექვსმეტი შერმანით. რიაჰისთვის ყველა ნდობით აღჭურვილი პირი იყო გარდა აშრაფისა, რომელიც MI6-ის აგენტი აღმოჩნდა. ამისდა მიუხედავად, გადატრიალების დღეს აშრაფიმ უარი განაცხადა გადატრიალებაში მონაწილეობაზე და შესაბამისად, იგი მალევე დაითხოვეს.

საიმპერატორო გვარდიის წევრებს - ჯარის ყველაზე როიალისტურ ნაწილს ივლისის აჯანყების შემდეგ ჩამოერთვათ მძიმე ტექნიკა, მაგრამ მათ მისცეს უფლება, შეენარჩუნებინათ საკუთარი ყაზარმები საადაბადში. დედაქალაქში ერთადერთი, სხვა სამხედრო შემადგენლობა საბაჟო გვარდია იყო. მას მეთაურობდა გენერალი მაჰმუდ დაფთარი, მოსადეყის დისშვილი და მათინ დაფთარის ძმა, რომელიც პრემიერის მთავარი მრჩევლის პოსტზე მსახურობდა საერთაშორისო სამართლის მიმართულებით. უილბერის დოკუმენტი იუწყება, რომ მოსადეყმა თავისი შტაბის უფროსი სწორად აირჩია; რომ რიაჰიმ თავისი ბრიგადის უფროსები სწორად აირჩია; და რომ ამ უფროსებმა წარმატებით დაამყარეს კონტროლი საკუთარ ყაზარმებზე. ორმოცი სახელი, რომელიც ახავიმ შაჰს გადასცა, შედგებოდა საველე ოფიცრებისგან, როგორებიც იყვნენ ვიცე-პოლკოვნიკი ზენდ-ქერიმი, როუჰანი და ხოსროვ-ფანა, ისევე როგორც კაპიტნები: მაჯედ ჯაჰანბანი, აქბარ ზენდი, ნასრალაჰ სეფეჰრი, და აქბარ დადსეთანი. გეგმაში ხაზგასმული იყო, რომ "გადატრიალების სამხედრო ასპექტი" მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა წარმატებული, თუ თუდეს ბრბოებს მოაშორებდნენ ქუჩებს. იგი აგრეთვე ხაზს უსვამდა, რომ ზედმეტად არ უნდა დაყრდნობოდნენ როიალისტურ ქუჩის "ბანდებს", რამდენადაც ისინი ვერ შეძლებდნენ 3000-ზე მეტი ადამიანის თავმოყრას.

3.2. ოპერაცია „აიაქსი“

ოპერაცია 15 აგვისტოს საღამოს საათებში დაიწყო. საიმპერატორო გვარდიის სამმა შემადგენლობამ გეგმის მიხედვით თავიანთი ყაზარმები საადაბადში დატოვა. პოლკოვნიკი ნასერი პირდაპირ მოსადეყის რეზიდენციისკენ გაემართა კოლონასთან ერთად, რომელიც ერთი ჯავშანტრანსპორტიორის, ორი ჯიპისა და ორი შეიარაღებული დაცვით სავსე სატვირთო მანქანისგან შედგებოდა. მეორე შემადგენლობა, თეირანის ჩრდილოეთ ნაწილისკენ გაემართა, რიაჰის და კაბინეტის ზოგიერთი წევრის —ფათემის,

ჰაყშენასის და ზირაქზადეს საზიარო საზაფხულო სახლისკენ. მესამე შემადგენლობა, რომელსაც მეთაურობდნენ გენერალი ბათყამალიჩი და პოლკოვნიკი ჰოსეინ აზმოუდეჰი, გაემართა სატელეგრაფო ოფისისა და გენერალური შტაბ-ბინისკენ, რომელიც ცენტრალურ თეირანში მდებარეობდა. მხოლოდ მესამე მათგანს ჰქონდა მცირე წარმატება, მოკლევადიანი ურთიერთსროლის შემდეგ მან მოახერხა ფათემის, ჰაყშენასის, და ზირაქზადესს შეპყრობა. რიაჰი, რომელიც წინასწარ იყო გაფრთხილებული, თავისი შტაბისკენ გაიქცა.

როცა ნასერიმ მოსადეყის რეზიდენციამდე მიაღწია, ბევრად უფრო დიდი ძალის წინაშე აღმოჩნდა. მას დახვდა პოლკოვნიკი მომთეზი, მეორე სამთო ბრიგადის მეთაური (ოთხი ტანკით). ნაცვლად იმისა, რომ ნასერს დაეპატიმრებინა მოსადეყი, მოსადეყმა დააპატიმრა იგი. მოსადეყი ამტკიცებოდა, რომ შაჰს არ ჰქონდა პრემიერ-მინისტრების დანიშვნის, ან დათხოვნის კონსტიტუციური უფლებამოსილება; მოსადეყის თქმით ეს მეჯლისის პრეროგატივა იყო. ანალოგიურად, შტაბ-ბინაში მისული ბათმაყალიჩი ბევრად უფრო დიდი ძალის, მათ შორის ტანკის წინაშე აღმოჩნდა . მან მოახერხა გაქცევა, მაგრამ დააპატიმრეს მისი დამხმარე, აზმოუდეჰი. უილბერი გაოცებული იყო, ვერ ხვდებოდა რა შეცდომა დაუშვეს.

სინამდვილეში საიმპერატორო გვარდიის ახალგაზრდა წევრმა მეჰდი ჰომაიუნმა, რომელიც აგრეთვე თუდეს საიდუმლო სამხედრო დანაყოფის წევრი აღმოჩნდა, თავისი პარტიული მეთაურები გააფრთხილა მოსალოდნელი გადატრიალების საშიშროების არსებობის შესახებ. მისმა ორგანიზაციამ ინფორმაცია გადასცა ნურალდინ ქიანურის, რომელიც წარმოადგენდა მთავარ კავშირს პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მის საიდუმლო სამხედრო კავშირს შორის. ქიანურიმ მოახერხა ამ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადაცემა მოსადეყისთვის, რადგან მათი ცოლები ახლო ნათესავები იყვნენ. ქიანურიმ დაურეკა და ამცნო მოსადეყს მოსალოდნელი გადატრიალების შესახებ და დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ნასერის გეგმის შესახებ. თავის მხრივ მოსადეყმა რიაჰის წინასწარი ზომების მიღება უბრძანა. მაშველი ჯარი, მათ შორის ტანკებიც საასწრაფოდ გააგზავნეს როგორც პრემიერ-მინისტრის სახლში, აგრეთვე შტაბ-ბინაში. მოსადეყმა თავის სასამართლო პროცესზე დაადასტურა ამ ამბის ძირითადი

მიმართულება[86] . მან უამბო სასამართლოს, როგორ დაურეკა სახლში ვიღაც შახსიმ (პიროვნებამ) მის ცოლს, საღამოს შვიდ საათზე და ამცნო დაგეგმილი გადატრიალების შესახებ. მოსადეყი აზუსტებს, რომ ამავე პიროვნებამ (რომელსაც მოსადეყი არ ასახელებს) პირადად მას წაუკითხა გადატრიალებაში ჩართული კონკრეტული ოფიცრების სახელები.

მომდევნო დღის დილის ხუთი საათისთვის დედაქალაქი ცხოვრების ნორმალურ რიტმს დაუბრუნდა. საომარი მდგომარეობის გაუქმებასთან ერთად მთავრობამ განაცხადა, რომ გამოიცა ოცდაათი პიორვნების დაპატიმრების ორდერი. ნასერი და თოთხმეტი საიმპერატორო გვარდიის წევრი, მათ შორის კაპიტანი მეჰდი ჰომაიუნი უკვე დაპატიმრებული იყვნენ. სხვები - ზაჰედი, ბათყამალიჩი, ფარზანდეგანი, მიიმალნენ. ზაჰედი ამერიკელი დიპლომატის სახლს აფარებდა თავს. როცა მინისტრთა კაბინეტმა მას ნასერის სიკვდილით დასჯა შესთავაზა, მოსადეყმა უარყო ეს წინადადება და არაკანონიერად და აბსურდულად გამოაცხადა. იმ დროისათვის შაჰი თავის ცოლთან და პერსონალურ პილოტთან ერთად პატარა თვითმფრინავით ბაღდადში გაფრინდა, როგორც გეგმის წარუმატებლობის შემთხვევაში იყო დაგეგმილი.

G2-ის გამომძიებელმა, რომელიც მოსადეყმა სახლმწიფო გადატრიალების მცდელობის გამოსაძიებლად დანიშნა, ინფორმაციის დიდი ნაწილი სწორად განსაზღვრა. მისი ანგარიში, რომელიც მაშინვე შედგა, 1979 წლის რევოლუციამდე არ გამოქვეყნებულა. მან განსაზღვრა ძირითადი მონაწილეების დიდი ნაწილი და აღნიშნა United Press-ის კორესპონდენტისა და "უცნობი ამერიკელის" მონაწილეობის შესახებ, რომელიც სასახლეში საიდუმლოდ შევიდა. მოსადეყმა ბრძანა პოლკოვნიკ ახავისა და გენერალ დაფთარის დაპატიმრება. თუმცა რიაჰის ყოფილი ძველი მეგობარი დაემუქრა მას, რომ ტვინს გამოიცლიდა თავისი ძველი მეგობრის თვალწინ. მას მისცეს საავადმყოფოში "ავადმყოფად" რეგისტრირების უფლება. მეორე მათგანი, მოსადეყის დისშვილი, საბაჟოს მეთაურად მას შემდეგ დაინიშნა, რაც თვალცრემლიანმა უარყო ყოველგვარი თანამონაწილეობა და ერთგულება აღუთქვა საკუთარ ბიძას. CIA-მ ხმები

[86] ნაჯმი, ნასერი. *მოსადეყი - დიდი მებრძოლი.* თეირანი. 1977(სპარსული مصدق مبارز بزرگ - ناصر نجمی)

გაავრცელა, თითქოს დაპატიმრებულებს სიკვდილით დასჯას უპირებდნენ. სინამდვილეში ისინი ნაკლებადდაცულ საპატიმროში უფრო ადრე დაჭერილ ტუსაღებთან ერთად განათავსეს, როგორებიც იყვნენ ბაყაი და „უტვინო შაბანი“. თითოეულ მათგანს უპრობლემო წვდომა ჰქონდა გარესამყაროსთან. გადატრიალების ჩაშლის მომდევნო დღეს ფირდოუსისს მოედანზე და ლალეზარის, ნადერისა და ესთამბულის გამზირებზე ნაციონალური ფრონტისა და თუდეს მიერ ორგანიზებული ბობოქარი ბრბო ზეიმობდა. ისინი ქუჩებს სახელებს უცვლიდნენ, ხევდნენ შაჰის სურათებს და ამხობდნენ სამეფო ქანდაკებებს, განსაკუთრებით ყანუნის მოედანზე არსებულ რეზა შაჰის ქანდაკებებს. მოგვიანებით აჰმად ზირაქზადე წერდა, რომ მისი ირანული პარტია ამ აქციებში დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მოსადეყმა რიაჰის მოუწოდა, არ ჩარეულიყო ამ პროცესებში, რადგან "ხალხს სჭირდებოდა თავიანთი სამართლიანი სიბრაზის გამოხატვა." ასეთმა ბრბოებმა პროვინციული ქალაქების დიდ ნაწილში დაამხეს ქანდაკებები.

ამავე საღამოს პარლამენტის წინ, მოედანზე, მთავრობის წარმომადგენლების მოსასმენად შედგა გაცილებით უფრო მასშტაბური, მაგრამ ორგანიზებული მიტინგი. ძირითადად ფათემი, შაიგანი, ჰაყშენასი, რეზავი და ზირაქზადე გამოდიოდნენ. მიტინგს აფინანსებდა ნაციონალური ფრონტი, განსაკუთრებით კი ირანის პარტია, მესამე ძალა და ბაზრის გილდიათა და მოვაჭრეთა კავშირი. მიტინგს აგრეთვე მხარს უჭერდა თუდე და მის მიერ შემოერთებული პროფკავშირები. გამომსვლელებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ "შაჰმა უნდა იმეფოს(იბატონოს) და არა მართოს". რაც შეეხება ფათემის, იგი საუბრობდა რესპუბლიკის დაარსებისა და იმ "მოღალატეების" სასამართლოსთვის გადაცემის აუცილებლობის შესახებ, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ცდილობდნენ. მან გაავლო პარალელი ფარუქთან, ეგვიპტის ახლახან ჩამოგდებულ მეფესა და იმ "ახალგაზრდა კაცს[87] " შორის, რომელიც სულ ახლახან გაფრინდა ბაღდადში. იმავე დილით ფათემიმ ინტელიგენციის სახე და კონსტიტუციური რევოლუციის ვეტერანი ალი დეჰხოდა მალულად მიიყვანა მოსადეყის სახლში, რათა შეესწავლა,

[87] ფათემი „ახალგაზრდა კაცად“ მიტინგებზე მოჰამად რეზა შაჰს გულისხმობდა.

რამდენად რეალური იყო მისი დანიშვნის შესაძლებლობა მომავალი რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე. მოსადეყმა განაცხადა, რომ მან ყურანს შეჰფიცა, ყოფილიყო კონსტიტუციური მონარქიის ერთგული. შემდგომში ფათემი წერდა, რომ ეს იყო ერთადერთი საკითხი, რომლის განხილვის დროსაც მოსადეყმა მის წინაშე ტონს აუწია.

სპორადული თავდასხმები ქანდაკებებსა და სამეფოს სიმბოლოებზე გვიან ღამემდე გაგრძელდა. ფათემიმ თავის *„ბახთარ-ე ემრუზში“* გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მონარქიას აცხადებდა, როგორც მკვდარს და დამარხულს. იგი სასამართლოს "კორუფციის ცენტრს უწოდებდა", ხოლო შაჰს - "ჯიუტ და სისხლისმსმელ ბრიტანელების მსახურს" და "ბაღდადელ ქურდს", შაჰის მამას კი დიქტატორად მოიხსენიებდა, რომელმაც 1933 წლის ნავთობის კონცესიას მოაწერა ხელი. ამ სტატიამ, ისევე როგორც მისმა სიტყვამ შემდგომში ფათემის მომავალი განსაზღვრა. უფრო ადრე მან „ბაზთარ-ე ემრუზთან“ საუბარში აღნიშნა, რომ იგი დარწმუნებული იყო საკუთარ თავში, რამდენადაც მან იცოდა, რომ აიათოლა ქაშანისა და სხვა "ოპორტუნისტების" დეზერტირობა დიდად არ აისახებოდა ეკონომიკის ნავთობის გარეშე იოლად გადასვლაზე და რომ დასავლეთი განზრახ აზვიადებდა საფრთხეს თუდესგან. მოგვიანებით მისი ასისტენტი წერდა, რომ პროფესორი ფათემი "არ აღიქვამდა კომუნისტურ საფრთხეს როგორც აშკარას, ან არსებულს[88] .

როგორც კი ნასერმა ფიასკო განიცადა, CIA-ს და MI6-ის შტაბბინაში ზოგიერთები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მთელი გადატრიალება ჩავარდა. ვაშინგტონმა რუზველტს ქვეყნიდან წასვლა უბრძანა. რობერტ მაქლური თვლიდა, რომ არსებობდა იმედი იმისა, რომ გენერალი რიაჰი ბოლოსდაბოლოს საკუთარ გადატრიალებას მოაწყობდა. სახელმწიფო მდივნის მოადგილე, რომელიც გარკვეულწილად იცნობდა ამ საქმის ვითარებას, წერდა: "ახლა ჩვენ ახლებურად უნდა შევხედოთ ირანში არსებულ სიტუაციას და სავარაუდოდ მოსადეყთან დაახლოება მოგვიწევს იმ შემთხვევაში, თუკი იქ რამის გადარჩენა გვსურს“. თუმცა სხვებმა, განსაკუთრებით რუზველტმა დაასკვნა, რომ მარცხი მხოლოდ გადატრიალების "არა-ლეგიტიმურმა" ასპექტმა განიცადა. ისინი

[88] Maziar Behrooz. Tudeh Factionalism and the 1953 Coup in Iran. International Journal of Middle East studies. Vol. 33, No.3. 2001.

იეწმუნებოდნენ, რომ მათი ძირითადი კავშირი- განსაკუთრებით კი სამხედრო შემადგენლობასთნ ხელუხლებლად გადარჩა და გარკვეული იმპროვიზაციების გზით კვლავ შესაძლებელი იყო თავდაპირველი გეგმის განხორციელება[89] . რუზველტის თქმით, იგი მოკვლით ემუქრებოდა ყველას, ვინც "დამარცხებულის ტონით საუბარს ეცდებოდა[90] ." ჰენდერსონი, რომელიც "გრძელვადიან შვებულებაში" გავიდა, რათა არ ყოფილიყო გადატრიალების მოწმე, ბეირუთში იმყოფებოდა, როცა ფიასკოს შესახებ გაიგო. იგი დაუყოვნებლივ გაემართა თეირანისკენ საკუთარი თვითმფრინავით, აეროპორტში მას მოსადეკის შვილი დახვდა. აეროპორტიდან მომავალმა დაინახა ბრბოები, რომლებიც ქანდაკებებს ამხობდნენ. იგი მაშინვე შეხვდა რუზველტს ამერიკის საელჩოში. შემდეგ მოითხოვა დაუყოვნებლივ შეხვედრა მოსადეყთან. ჰენდერსონისა და მოსადეყის შეხვედრა მომდევნო დღეს - 18 აგვისტოს დაინიშნა.

ხშირად ივიწყებენ ამ შეხვედრის სასიცოცხლო მნიშვნელობას. უილბერი საერთოდ იგნორირებას უკეთებს მას, და ნაცვლად ამ შეხვედრის სასიცოცხლო მნიშვნელობის აღიარებისა იგი ბუნდოვან ფორმულირებებს ამჯობინებს იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა "ვითარება", რომელშიც "შესაძლებელი იყო სამხედრო გეგმის განხორციელება". თავად ჰენდერსონმა ვაშინგტონს ცენზურიანი რეზიუმე გაუგზავნა, სადაც არც კი უხსენებია თავისი მთავარი როლის შესახებ ახლანდელ გადატრიალებაში. აგვისტოს მოვლენებში დიპლომატიური მისია წესით არ უნდა ყოფილიყო გარეული ჯაშუშურ საქმეებში, ეს CIA-ს პრეროგატივა იყო. ჰენდერსონის ქაღალდებით გამოაშკარავდა, რომ მან მოსადეყს ულტიმატუმი წაუყენა და რომ ამ უკანასკნელთან შეხვედრამდე რუზველტთან ერთად შეიმუშავა სტრატეგია. ამ ფაქტს აგრეთვე ადასტურებს ისტორიკოსი სტეფან ემროუზი, რომელსაც წიგნის *"აიოკის ჯაშუშები: ეიზენჰაუერი და ჯაშუშური დაწესებულება",* წერის პერიოდში ჰქონდა თავისუფალი წვდომა ჰენდერსონის ქაღალდებზე. ჰენდერსონის თქმით შეხვედრა მთელი ერთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა და თავაზიან ნოტაზე დაიწყო. მოსადეყი, რომელსაც

[89] Shiva Balaghi. Silenced Histories and Sanitized. Autobiographies: The 1953 CIA in Iran. Vol.36, No.1, 2013. 71-96.

[90] Kermit Roosevelt. Countercoup- The struggle for the control of Iran. 1979. გვ. 89.

"ჩვეულებრივი პიჟამის ნაწცვლად" პიჯაკი ემოსა, "თავაზიანი ვინმე " იყო, მაგრამ "გარკვეული დოზით გულისწყრომა უღვიოდა". იგი ბრიტანელებს ადანაშაულებდა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში, თუმცა მას G2-ის ანგარიშიდან უნდა სცოდნოდა, რომ ამერიკელები, განსაკუთრებით კი მაქლიური[91] აგრეთვე გარეული იყო საქმეში. ჰენდერსონი "მწუხარებას" გამოხატავდა მოვლენათა განვითარებაზე, რომელსაც მისი არყოფნის ჟამს ჰქონდა ადგილი. მოსადეყს კი ამ განცხადებაზე "სარკასტულად ეღიმებოდა".

თუმცა ტონი რადიკალურად შეეცვალა მას შემდეგ, რაც ჰენდერსონი "უკიდურესად სერიოზულ საკითხზე" გადავიდა: სამართალდამცავი ორგანოების მარცხი ამერიკელთა უსაფრთხოების დაცვის საქმეში. მისმა ელჩმა ისპაჰანში სულ ცოტა ხნის წინ დაურეკა და ამცნო, რომ სახიფათო "ბრბოები" შეიკრიბდნენ მათი შენობის წინ, ასეთი ლოზუნგებით: "კმარა აშშ!" "იანკებო, წადით თქვენს სახლში!". თავს დაესხნენ მისი სამხედრო ატაშეს მანქანას, მძღოლს დანით მიაყენეს ჭრილობები. შემდეგ ჰენდერსონმა მოსადეყს არც ისე შეფარვით წაუყენა ულტიმატუმი, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არ მიიღებდა იძულებით ზომებს ქუჩებში მართლწესრიგის დასამყარებლად, იგი იძულებული გახდებოდა ამერიკელებისთვის ირანის დაუყოვნებლივ დატოვება მოეთხოვა. მან ხაზი გაუსვა, რომ შეერთებული შტატები ვერ გააგრძელებდა მოსადეყის მთავრობის მეთაურად ცნობას, რამდენადაც მთავრობას უკვე აღარ შეეძლო ქუჩების გაკონტროლება. მან აგრეთვე სხვათა შორის აღნიშნა, რომ ყური მოკრა, თითქოს შაჰმა იგი გაათავისუფლა პრემიერობიდან. მინისტრებისადმი ანგარიშის ჩაბარებისას მოსადეყმა ხაზი გაუსვა, რომ ჰენდერსონი კითხვისნიშნის ქვეშ აყენებდა მის ძალაუფლებას. მოსადეყის თქმით, მან მკაფიოდ მიუთითა, რომ მონარქს არ ჰქონდა მინისტრების დათხოვნის კონსტიტუციური უფლებამოსილება. მუქარასთან ერთად ჰენდერსონი მოსადეყს სამომავლოდ ფინანსურ დახმარებას აღუთქვამდა და კვლავ იმეორებდა, რომ ქუჩებში წესრიგის დასამყარებლად დაუყოვნებლივ მოხდებოდა მტკიცე ზომების მიღება. შინაგან საქმეთა მინისტრი სადიყი მოგვიანებით ყვებოდა, რომ მოსადეყი მოუწოდებდა ამ ხალხს, არ გასულიყვნენ ქუჩებში-

[91] აშშ-ს საქმეთა რწმუნებული ირანში.

გაეწიათ ანგარიში ჰენდერსონისთვის, რომელიც გაშმაგებით გამოთქვამდა უკმაყოფილებას ანტი-ამერიკული დემონსტრაციების შესახებ.

ჰენდერსონის პირად ქაღალდებზე დაყრდნობით ამბროუზი წერს, რომ ელჩმა თეირანში დაბრუნებისას "მოითხოვა დაუყოვნებლივი აუდიენცია მოსადეყთან, ენერგიულად "აპროტესტებდა ბრბოს თავდასხმებს" დასავლელ მოსახლეობაზე და იმუქრებოდა ყველა ამერიკელის ევაკუაციით იმ შემთხვევაში, თუ ქუჩები არ გათავისუფლდებოდა. ჰენდერსონის თქმით, მოსადეყმა "თავი ვეღარ შეიკავა," აიღო ტელეფონის ყურმილი და თავისი პოლიციის უფროსს "ქუჩებში წესრიგის დამყარების" ბრძანება მისცა. მისი დასკვნის მიხედვით ეს "მოხუცის საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა."

მოსადეყი ხაფანგში გაება. მან ოფიციალურად გამოსცა ნებისმიერი სახის დემონსტრაციების აკრძალვის ბრძანება. გენერალმა რიაჰიმ განაცხადა, რომ მისმა ჯარებმა საჭიროების შემთხვევაში სროლის ბრძანება მიიღეს. „თაიმსმა“ გადატრალების გამოაშკარავების შემდეგ გამოაცხადა, რომ "მოქმედებები დაიწყო დაუყოვნებლივ" ჰენდერსონთან შეხვედრისთანავე. "როცა ჰენდერსონმა დატოვა ოთახი, მოსადეყი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ აშშ-ს ვერ გადაეწყვიტა, გაეგრძელებინა თუ არა მისი, როგორც პრემიერის აღიარება. მომხდარისგან შეძრული მოხუცი ტელეფონთან მივიდა და ჯარსა და პოლიციას უბრძანა, აღედგინათ წესრიგი ქუჩებში. ეს ზარი, რომლის მეშვეობითაც ქუჩების ყველაზე ძლევამოსილი მხარდამჭერებისგან წმენდის განკარგულება გაიცა, რომელიც ოდესმე ჰყოლია პრემიერს, მოსადეყის საბედისწერო შეცდომა იყო". შეხვედრის შესახებ ანალოგიური ანგარიში გამოსცა „Newsweek[92]“-მა. თავად ჰენდერსონი მის მიერ ოცი წლის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ მოსადეყმა "ჩემი თანდასწრებით აიღო ხელში ყურმილი, დაურეკა პოლიციის მეთაურს და გასცა ბრძანება, რომ პოლიციელებს დაუყოვნებლივ მიეღოთ მითითება ქუჩებში წესრიგის დამყარების შესახებ, დაეშალათ მოხეტიალე ბანდები, რომლებიც აქეთ-იქეთ გადაადგილდებოდნენ და მონაწილეობდნენ ძალადობრივ ქმედებებში." მიუხედავად იმისა, რომ თავის ოფიციალურ ანგარიშში ჰენდერსონმა აღნიშნა მოსადეყის ბრძანების

Iran to U.S. Don’t even think about overthrowing our Government again. იხ. **https://www.newsweek.com/iran-us-dont-think-about-overthrow-government-again-636380**

მნიშვნელოვნების შესახებ, მას არაფერი უხსენებია თავისი გავლენის შესახებ ამ გადაწყვეტილების მიღებაზე. მან უბრალოდ დაწერა, რომ მოსადეყმა "ქუჩების გაწმენდის და დემონსტრაციების შეწყვეტის ბრძანება გასცა."

საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტმა, რომელმაც თეირანში არსებული აშშ-ს საელჩოსა და ვაშინგტონის სახელმწიფო დეპარტამენტის ზოგიერთ წერილებზე მიიღო წვდომა, განაცხადა, რომ "ვითარების პირველი მნიშვნელოვანი გარდატეხა" მოხდა მაშინ, როცა მოსადეყმა "ქუჩების გაწმენდა" ბრძანა. გაცილებით უფრო „დიდი გამოაშკარავება“, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის სავარაუდოდ თავად კერმიტ რუზველტმა დაწერა და დიდი ცვლილებების შეტანით ახლახან გამოაქვეყნა სახელმწიფო დეპარტამენტმა, იუწყება: "მისტერ ჰენდერსონმა პრემიერ-მინისტრი დღის მეორე ნახევარში იხმო. .. მათი შეხვედრა უეცრად დასრულდა. კარგად ინფორმირებული წყაროების მიხედვით, მას შემდეგ მალევე ამოქმედდა 19 აგვისტოს გეგმები".

The New York Times[93] კორესპონდენტი წერს, რომ მთავრობამ 18 აგვისტოს აკრძალა ნებისმიერი ქუჩის დემონსტრაცია, ვინაიდან თუდეს და ნაციონალური ფრონტის დაუმორჩილებელი ბრბოები ერთმანეთს ებრძოდნენ. ამავე კორესპონდენტმა გაავრცელა ცრუ ინფორმაცია, თითქოს ზაჰედი შორეულ აზერბაიჯანში იქნა შემჩნეული. სინამდვილეში იგი თეირანში, სავარაუდოდ ამერიკელებთან იმალებოდა. იმავე დღეს ოდნავ მოგვიანებით პოლკოვნიკმა აშრაფიმ, უკვე როგორც თეირანის სამხედრო მმართველმა და მესამე სამთო ბრიგადის მეთაურმა გამოიძახა თუდეს და ნაციონალური ფრონტის წარმომადგენლები, რათა მათთვის მოსადეყის მკაფიო მითითებები წაეკითხა, რომლებიც თავის ქუჩებისგან შორს დაჭერაზე მიუთითებდა მათ.

მეორე დღეს, დილით თუდემ და ნაციონალურმა ფრონტმა მოსადეყის მითითებები დაიცვეს. ამასობაში ექვსი ოპოზიციური გაზეთი, რომლებსაც კვლავ შეეძლოთ თავისუფლად გამოექვეყნებინათ სტატიები, აქვეყნებდნენ სამეფო ბრძანებას გენერალ ზაჰედის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შესახებ. ამ ექვს გაზეთს შორის იყო ქაშანის „სეთარეჰ-ე ესლამ“ (ისლამის ვარსკვლავი). ჰოჯათ ალ-ესლამ თალეყამიმ მოგვიანებით

[93]IRAN'S MOSSADEGH RIDING TUDEH COMMUNIST TIGER; Premier, Now Virtually a Dictator, Gives Rein to Suppressed Party . იხ. https://www.nytimes.com/1953/07/26/archives/irans-mossadegh-riding-tudeh-communist-tiger-premier-now-virtually.html

გამო

ნაკლებად მნიშვნელოვან მოლებთან და „დანის მფობელი“ სხვადასხავა ლიდერებთან ერთად მოუყარა თავი. ბრბო პრო-შაჰისტულ ლოზუნგებს გაჰყვიროდა და ეჭვგარეშეა, რომ ზოგიერთ მათგანს მართლა სწამდა ამის; მაგრამ შეუძლებელია გვქონდეს როიალისტების მტკიცე მხარდაჭერის იმედი ამ რაიონში[94]“.

თანამედროვე ბრიტანელი მწერალი ქრისტოფერ დე ბელაგიუ, რომელმაც დიდი დრო დაუთმო ზურნახანების ათლეტებთან და ტაიბის თაყვანისმცემლებთან საუბარს, ანალოგიურ აღწერილობას გვაძლევს:

„1953 წლის 18 აგვისტოს თაიბიმ შეტყობინება გაუგზავნა თავის უახლოეს თანამებრძოლებს, ხილისა და ბოსტნეულის ბაზრობაზე შეკრებილიყვნენ. მეორე დილას დაახლოებით სამასი ადამიანი შეიკირიბა. მათ თან ჰქონდათ დანები და სხვა იარაღები. თაიბმა დაარიგა ფული, რომელიც მან ძმების სამეულისგან მიიღო, რომლებიც CIAს ფულის მოქმედი გამანაწილებლები იყვნენ. ბრბო, რომელთა რიცხვიც გაზრდილი იყო ადგილობრივი ბიჭების მეშვეობით, ბაზრიდან მოსადეყის საწინააღმდეგო ლოზუნგებით გამოემართა. ისინი სცემდნენ თეთრ სამოსში გამოწყობილ ადამიანებს (თეთრი სამოსის ტარების ჩვეულება კომუნისტებს უკავშირდებოდა). ისინი აიძულებდნენ გამვლელი მანქანების მძღოლებს, შაჰის მხარდასაჭერად გამოეცათ სიგნალი. გზად თაიბის ბანდამ შეუერთა ბრბო მეორე დაჯგუფებას, რომელსაც ისი რამაზანი მეთაურობდა. მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა მაშინ, როცა ჩრდილოეთისკენ მიემართებოდნენ. ყველაზე შთამბეჭდავი დაჯგუფება „New Town“-დან (წითელი ფარნების რაიონიდან) მოვიდა და მის შემადგენლობაში იმდროინდელი ცნობილი მეძავები უყვნენ.... თაიბის და სხვების მოქმედებებმა გადატრიალების შემქნმნელებს მისცა საშუალება, წარმოეჩინათ 19 აგვისტოს მოვლენები, როგორც ხალხის ნების გამოხატვა და არა როგორც CIA-ს მიერ დაფინანსებული შეთქმულება[95] “.

ბანდამ დააცარიელა ჯიხურები, სადაც მთავრობის მხარდამჭერი პუბლიკაციები იყიდებოდა; ისინი ფიზიკურად უსწორდებოდნენ იმ ქვეითებსა და მძღოლებს, რომლებიც

C.I.A. Destroyed Files on 1953 Iran Coup. იხ. **https://www.nytimes.com/1997/05/29/us/cia-destroyed-files-on-1953-iran-coup.html**

CIA admits role in 1953 Iranian coup. იხ. **https://www.theguardian.com/world/2013/aug/19/cia-admits-role-1953-iranian-coup**

უარს იტყოდნენ ეთქვათ სიტყვები "გაუმარჯოს შაჰს"; ისინი მაღაზიებს გაძარცვით ემუქრებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ არ დაიხურებოდნენ; მათ გაძარცვეს საადის თეატრი - მემარცხენე ინტელექტუალთა სოციალური ცენტრი; და დაწვეს *ირანული პარტიის,* მესამე ძალების, *„ბახთარ-ე ემრუზის“* ოფისები. როცა ქალაქის ცენტრში გადაინაცვლეს, მათ შეუერთდნენ კერმიტ რუზველტის მიერ მოხსენიებულნი "უმუშევარ პირებად, რომლებიც უფასოდ გადაადგილდებოდნენ დაქირავებული სატვირთოებით"; მათ შორის იყო *„ფედაიანე ესლამის* „ზოგიერთი მხარდამჭერი, ასევე მშრომელთა პარტიის, SUMKA-ს და არიას პარტიათა წევრები; გლეხები, რომლებიც ვერამინის სამეფო მამულებიდან წამოიყვანეს და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი- ციხიდან გაშვებული პატიმრები. საიმპერატორო გვარდიის წევრი, კაპიტანი ჰომაიუნი, რომელმაც უწინდელი გადატრიალების საბოტაჟი მოაწყო, თავის მემუარებში წერს, რომ დილის ცხრა საათისთვის ქუჩის ბანდებმა ის სხვებთან ერთად ცენტრალური ციხიდან გაათავისუფლეს. შუადღის ორი საათისთვის საიმპერატორო გვარდიის წევრები, რომელთა დიდი ნაწილიც სამოქალაქო ტანსაცმელში იყო შემოსილი, თავიანთი ყაზარმებიდან სატვირთოებით ქალაქისკენ მიემართებოდნენ. ამ როიალისტთა "ბრბოს" სრული შემადგენლობა სამი, ან ოთხი ათასი ადამიანით შემოიფარგლებოდა.

CIA-ს მიმართ კეთილგანწყობილმა ამერიკელმა კორესპონდენტმა მათ "გროტესკული პროცესია" უწოდა, ხოლო როიალისტებმა მათ ნაჩქარევად უწოდეს სპონტანური "ბრბო", რომელმაც "სახალხო აჯანყება (Qiyam)" და "შაჰის ხალხის რევოლუციაც (Enqelab)" კი გამოიწვია. ამ ძალას გადატრიალება არ გამოუწვევია. მან უბრალოდ რეალური წარმოდგენის-ჩვეულებრივი სამხედრო გადატრიალების გვერდითი მოვლენა გამოიწვია. მესამე ძალის ოფისებზე თავდასხმის თვითმხილველი წერდა, რომ ბანდების რიცხვი ზედმეტად მცირე იყო შენობის აღებისთვის. მათ მოუწიათ ლოდინი, ვიდრე ჯარისკაცებიანი სატვირთოები მოვიდოდნენ. შემდეგ ისინი შენობას არმიის ოფიცრების ზედამხედველობის ქვეშ ძარცვავდნენ.

ბანდების მიერ ძარცვის წარმოებისას არმიის მეთაურები თავიანთ ტანკებს ქალაქისკენ მიერეკებოდნენ. ერთ-ერთი თვითმხილველი ირწმუნება, რომ პირველი ჯავშანსატანკო ბრიგადის ნდობით აღჭურვილი პოლკოვნიკი ნოვზარი თავად გაიქცა

დილაადრიანად სულთანაბადის ყაზარმებში და საიდუმლო როიალისტ კაპიტანს ჯაჰანბანდის ტანკების ქალაქისკენ დაუყოვნებლივ გადაყვანის ბრძანება მისცა, რათა აესრულებინათ მოსადეყის მიერ ქუჩების წმენდის შესახებ გაცემული განკარგულება. ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, სხვა ბრიგადის მეთაურებიც ასევე დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, თუ სახელდახელოდ დანიშნულმა სამხედრო მმართველმა, გენერალმა დაფთარიმ მოუწოდა მათ მოადგილეებს ასე მოქცეულიყვნენ. დაფთარიმ, საბაჟო გვარდიის მეთაურმა ეს მნიშვნელოვანი თანამდებობები G2-ისა და შტაბის ხელმძღვანელისთვის გაწეული წინააღმდეგობებისთვის მიიღო. მოსადეყი თვლიდა, რომ სიტუაციას ყველაზე კარგად მისი ახლო ნათესავი გაუმკლავდებოდა. სადიყი თავის მემუარებში წერს, რომ დილის თერთმეტ საათზე მას პრემიერ-მინისტრმა დაურეკა და უბრძანა, პოლიციის მეთაურისა და სამხედრო მმართველის პოსტები გენერალ დაფთარისთვის გადაეცათ. ერთი სიტყვით, გადატრიალების შეთქმულ პირთაგან ერთ-ერთს უკვე ერთდროულად სამი პოსტი ეკავა- სამხედრო მმართველის, პოლიციის მეთაურისა და საბაჟო გვარდიის მეთაურის. კაპიტანი ჰომაიუნი წერს, რომ ახალმა სამხედრო მმართველმა დაუყოვნებლივ გაგზავნა როიალისტი ოფიცრები ბრიგადების იმ მეთაურების დასაპატიმრებლად, რომლებიც ჯერ კიდევ მოსადეყის ერთგულებად რჩებოდნენ; განსაკუთრებით პირველი სამთო ბრიგადიდან პოლკოვნიკ ფარსას შესაპყრობად, რომელიც მეჰრაბადის ყაზარმებში იყო განლაგებული.

წლების შემდეგ ფათემის თანაშემწე *ბახთარ-ე ემრუზში* ირწმუნებოდა, რომ მოსადეყმა თვითონვე უბრძანა ყაზარმების ხემძღვანელებს, მიეცათ ტანკებისთვის გასვლის უფლება, რათა ქალაქში მართლწესრიგი დაემყარებინათ. ამგვარად, გადაილახა ძირითადი დაბრკოლება, რომელიც გადატრიალების აღმოფხვრის მიზნით არსებობდა. როგორც კი ყაზარმებიდან დაახლოებით ოცდათორმეტი ტანკი და სამხედრო პირებით სავსე სატვირთო გამოუშვეს, ისინი მძარცველთა ბანდებისკენ წასვლის ნაცვლად პირდაპირ სტრატეგიული პოსტებისაკენ გაემართნენ, რომლებიც თავდაპირველ გეგმებში იყო დასახული. მოგვიანებით პოლკოვნიკმა მომთეზმა აღნიშნა, რომ მთავრობის დაცვის მიზნით გაგზავნილი ტანკები საბოლოოდ სწორედ ამავე მთავრობას დაესხნენ თავს. დღის განმავლობაში ტანკებმა დაიკავეს შტაბბინები,

სატელეფონო და სატელეგრაფო შენობა, რითაც შეწყდა კომუნიკაცია მთავრობასა და იმ ყაზარმებს შორის, რომლებსაც მოსადეყის მომხრე მეთაურები ჰყავდათ. შინაგან საქმეთა მინისტრი სადიყი მოსადეყის სახლში გაიქცა; მათ ასევე დაიკავეს რადიო-სადგური. პირველი პირები, რომლებმაც ქვეყანას მიმართეს ზაჰედი, შაჰის ძმა, ქაშანის შვილი და მთავარი როიალისტური გაზეთების რედაქტორები იყვნენ.

საღამოს ხუთი საათისთვის მოსადეყის სახლში შეიკრიბა როალისტი ოფიცრებისა და ქუჩის ბანდების მიერ(რომლებსაც მეთაურობდა Brainless Sha'aban) მართული სამხედრო ტექნიკა. დღის განმავლობაში მოსადეყს პერიოდულად ჰქონდა შეხვედრები თითქმის ყველა თავის მრჩეველთან: შაიგანთან, ფათემისთან, ნარიმანთან, ჰასიბისთან, რეზავისთან, ზირაქზადესთან, სადიყთან, და ძმებ მოაზემებთან. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ურთიერთსროლა მთელი ორი საათის მანძილზე გაიწელა, შედეგი პროგნოზირებადი იყო. სახლის დამცველ პოლკოვნიკ მომთეზის განკარგულებაში მხოლოდ სამი ტანკი იყო. პოლკოვნიკებს როუჰანის და აფხამის, რომლებიც თავს დაესხნენ სახლს, ოცდაოთხი ტანკი ჰყავდათ, მათ შორის მომაკვდინებელი შერმანები. მოგვიანებით მომთეზი ყვება, რომ ამ საბედისწერო დღეს მის განკარგულებაში სულ ხუთი ტანკი იყო. სამი მათგანი მოსადეყის სახლს იცავდა, ერთი მათგანი ოფიცერთა აკადემიას, ხოლო უკანასკნელი- „ბაყე შაჰის" გარეთ იყო. მომთეზმა აუწყა მოსადეყს, რომ მისი მსუბუქი ტანკები ვერ შეედრებოდა მძიმე შერმანებს, რომლებიც სახლს ბომბავდნენ.

დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე, მაშინ როცა ტყვიები უკვე სახლში იფრქვეოდა, მოსადეყმა ცეცხლის შეწყვეტა უბრძანა მომთეზს. დაზიანებული სახლის ჩხრეკისას მოსადეყი და მისი თხუთმეტი კოლეგა, მათ შორის შაიგანი, სადიყი, ზირაქზადე, ნარიმანი, რეზავი, შეიფულაჰ მოაზემი და ჰასიბი მეზობელ სახლში გადაძვრნენ. ამ პროცესში ზირაქზადემ კოჭის ძვალი მოიტეხა, ხოლო მოსადეყი თავში დაიჭრა. მეზობელი სახლიდან ისინი სხვა ირგვლივ მდგომ სახლებში გადავიდნენ. მოსადეყი, შაიგანი, სადიყი, რეზავი და შეიფულაჰ მოაზემი ამ უკანასკნელის სახლისკენ გაემართნენ, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობდა. სწორედ აქედან დაუკავშირდნენ ისინი ჯაფარ შარიფ-ემამის, ერთგულ როიალისტსა და მომავალ პრემიერს. თავდაპირველად ისინი ოფიცერთა კლუბში შეიპყრეს, სადაც გენერალმა ბათყამალიჩმა, შტაბის ახალმა ხელმძღვანელმა

მიიღო. შემდეგ ისინი სულთანაბადის ყაზარმებში გადაიყვანეს. ზოგიერთი მინისტრი და მათ შორის ფათემი იმ დროისთვის დაპატიმრებას გადაურჩა.

ამ ქაოტურ დღეებში ნაციონალური ფრონტის მებრძოლები მოსადეყს ეროვნული ძალის ჩამოყალიბებას, მომხრეების ქუჩებში გამოყვანას და საჭიროების შემთხვევაში მათთვის იარღის დარიგებას სთხოვდნენ. ანალოგიურად თუდემ აღმასრულებელი საგანგებო კომიტეტის შეხვედრის შემდეგ მოსადეყის სახლში გაგზავნა დელეგაცია და იგივეს ემუდარებოდა მას. ქიანურიმ მოსადეყს კვლავ დაურეკა და აუწყა ინფორმაცია, რომ ქალაქში საიმპერატორო გვარდია მიჰყავდათ. შაიგანი თავის მემუარებში წერს, რომ თუდეს სამი ემისარი, რომელთაგან ერთ-ერთსაც იგი პირადად იცნობდა, მასთან მოვიდა თხოვნით, აქტიური წინააღმდეგობა გაეწია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოთხოვნებს ფათემი, სანჯაბი, ემხრობოდნენ, რომლებიც შეხვედრებს ესწრებოდნენ, მოსადეყი უარით ისტუმრებდა მათ, რადგან მისი თქმით, მას არსურდა "ცეცხლზე ნავთის დასხმა."შაიგანი აღნიშნავს, რომ დღის განმავლობაში მეტწილად დარწმუნებული იყვნენ, რომ "სიტუაციას ისეთი სანდო ოფიცრები აკონტროლებდნენ", როგორებიც გენერალი რიაჰი და დაფთარი იყვნენ. რამდენიმე წლის შემდეგ ის წერდა: "ერთი გაკვეთილი, რომელიც კარგად გავითავისე, იმაში მდგომარეობს, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც ირანია, ვერასდროს ენდობი ჯარს." ზირაქზადემ, აზარიმ, შაიგანმა და ნაციონალური ფრონტის სხვა წევრებმა მოგვიანებით ინტერვიუერებს უთხრეს, რომ მოსადეყმა უმოქმედოდ ყოფნა არჩია, რადგან "ძველებური ყაიდის პოლიტიკოსებს" მიეკუთვნებოდა და სისხლიან სამოქალაქო ომზე გაფიქრებაც კი სძულდა. იგი აგრეთვე შიშობდა, რომ ასეთ ბრძოლას შეიძლება უცხოელთა ჩარევა და ქვეყნის გაყოფა მოჰყოლოდა, როგორც ეს 1907 წელს მოხდა. მოგვიანებით ბრიტანეთის საელჩომ დაადასტურა ცნობა, რომ იმ საბედისწერო დღეს მოსადეყმა კატეგორიული უარი თქვა იარაღის დარიგების ყოველგვარ თხოვნაზე.

დანაკარგების შეფასებისას ქალაქის სამედიცინო სამსახურმა ორმოცდაერთი მოკლული და სამოცდათხუთმეტი დაჭრილი დაასახელა. აშშ-ს საელჩომ გამოაცხადა, რომ სამოცდაცამეტი ადამიანი იყო მოკლული და ასი დაჭრილი. ხოლო დასავლური გაზეთები, რომლებიც მოსადეყის სასამართლო პროცესისთვის ემზადებოდნენ, ირწმუნებოდნენ, რომ სამასი ადამიანი მოკლეს მოსადეყის სახლის ალყის შემორტყმისას.

ერთ-ერთი ჟურნალისტი ამტკიცებდა, რომ მოსადეყი უკანასკნელ მომენტში დანებდა, როცა ზაჰედი ავიაიერიშის დაწყებას გეგმავდა.

შაჰი 22 აგვისტოს დაბრუნდა- თავისი გაფრენიდან სულ რაღაც ექვს დღეში. მას აეროპორტში ზაჰედი, ნასერი, ბათყამალიჩი, დაფთარი და უტვინო შაბანი დახვდნენ. როცა მან ნასერის გენერლის ორდენი შეამჩნია, იკითხა, ვინ დააწინაურა იგი. როცა აუხსნეს, რომ ზაჰედიმ დააწინაურა, შაჰმა მკაფიოდ მიუგო მათ, რომ მხოლოდ მას ჰქონდა ამგვარი დაწინაურებების პრეროგატივა. მისი ქალაქში შესვლა ყვავილების მიმოფანტვითა და სახელდახელოდ დამზადებული საზეიმო/ტრიუმფალური თაღებით აღნიშნეს. ამ საღამოს შედგა ზაჰედის საკმაოდ ცნობილი ვიზიტი ქაშანისთან. თავად შაჰი მომდევნო დღეს გაუხმაურებლად ესტუმრა მას. მომდევნო კვირის განმავლობაში ძირითად გაზეთებში იბეჭდბოდა ზაჰედის ფოტოსურათები ქაშანის, ბაყაის, მაქქის, ჰეირიზადეს, და ქონთაბადისთან ერთად. წლების შემდეგ აიათოლა ქაშანის ვაჟი სეიედ მაჰმუდ ქაშანი ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენელი ჰააგაში ირწმუნებოდა, რომ გადატრიალება მხოლოდ იმიტომ შედგა, რომ მოსადეყმა უარყო საკუთარი მამის მიერ მიცემული რჩევა, განსაკუთრებით ზაჰედის დაპატიმრების შესახებ. მისი თქმით, მოსადეკმა უღალატა ჭეშმარიტ პატრიოტულ მოძრაობას, რომელსაც მამამისი მეთაურობდა.

ლოი ჰენდერსონმა სახელმწიფო დეპარტამენტს აცნობა, რომ ქვეყანაში დაბრუნებული შაჰი დროს არ კარგავდა ადრე არსებული იერარქიული სისტემის აღსადგენად. იგი პრემიერ- მინისტრის გვერდის ავლით შტაბის ხელმძღვანელსა და სამხედრო მეთაურებზე გასცემდა განკარგულებებს. ის იმეორებდა თავის უწინდელ დაჟინებას, რომ იყო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი როგორც წოდებით, ასევე ფაქტობრივად". ჰენდერსონი შაჰის ჩვეულების თაობაზე აკეთებს კომენტარს: შაჰი შიშობდა, ამ ძალაუფლების გარეშე "არარაობად იქცეოდა და საბოლოოდ იძულებული გახდებოდა უარი ეთქვა ტახტზე." მისი დასკვნის მიხედვით, "შაჰი ოცნებების სამყაროში ცხოვრობდა და როგორც ჩანს თვლიდა, რომ მის მიერ ძალაუფლების აღდგენა განაპირობა მისმა პოპულარობამ ხალხში". გარდა ამისა, საელჩო აღნიშნავდა, რომ "ხალხის უმეტესი ნაწილი სავარაუდოდ თუდეს გვერდის ავლით, კვლავ პროფესორ მოსადეყის მხარდამჭერი იყო."

გადატრიალება და მისი შეფასება სამეცნიერო ლიტერატურაში და პრესაში (დასავლური, სპარსული)

მოსადეყის ჩამოგდების შემდეგ მალევე ინდოეთის პარლამენტის სოციალისტმა დეპუტატმა, ჯ.კ. რედდიმ გაზეთ *Times of India-ში* სტატიების მთელი სერია მიუძღვნა ირანის სახელმწიფო გადატრიალებას. დიპლომატებთან და პოლიტიკურად გათვიცნობიერებულ ირანელებთან საუბრის შემდეგ მან საკმაოდ ზუსტი სურათი დახატა; მეტიც, სურათი იმდენად ზუსტი იყო, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ სტატიების შინ წაკითხვის რეკომენდაცია გაუწია მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდური ცირკულარები კვლავ ინარჩუნებდნენ ოფიციალურ ვერსიას, რომ "საზოგადოების აზრის მოულოდნელმა ამოფრქვევამ თვით პროფესორ მოსადეკის გადაყენებაც კი გამოიწვია." საგარეო საქმეთა სამინისტროში წერდნენ, რომ "ეს სტატიები დიდ ინტერესს იწვევენ და ნამდვილად ღირს მათი წაკითხვა". რედდი დაწვრილებით წერდა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, როგორიც იყო:

1. პრინცესა აშრაფისა და გენერალ შვარცკოფის "საიდუმლო ვიზიტები"; ეიზენჰეუერისა და დალესის საჯარო წინააღმდეგობის გაწევა;
2. აშშ-ს მიერ დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერა "სამართლიანი კომპენსაციის" საკითხში. მჭიდრო კონტაქტი სამხედრო ოფიცრებსა და ამერიკელ სამხედრო მრჩეველებს შორის;
3. დიდი ხნის კავშირები ბრიტანელებსა და ირანში არსებულ სხვადასხვა თემებს შორის (იგი ირწმუნებოდა, რომ "პრობლემური თემების მეთაურების უმეტესი ნაწილი ბრიტანულ ანაზღაურებაზე იყო");
4. სასახლისა და ამერიკელების კავშირის მაჩვენებლის ზრდა;
5. ზაჰედის სავარაუდო სამალავი ამერიკის საელჩოში; თუდეს გაფრთხილება გადატრიალების შესახებ;
6. ჰენდერსონის ნაჩქარევი დაბრუნება და მისი ეჭვები მოსადეყის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით;
7. და ბოლოს, ტანკები, რომლებიც ქუჩების გასაწმენდად გამოიყვანეს, მაგრამ გადატრიალების განხორციელების მიზნით გამოიყენეს. მან დაასკვნა:

„როგორც ჩანს ირანში ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით მისი საშუალო ფენის ინტელიგენცია თვლის, რომ სინამდვილეში როიალისტური სახელმწიფო გადატრიალება იყო დიდწილად შთაგონებული, თუ არა დაგეგმილი უცხოური ელემენტების, განსაკუთრებით შეერთებული შტატების მიერ... პროფესორ მოსადეყის მხარდამჭერებმა ირიბი მტკიცებულებების მთელი დასტა წაუყენეს, რომელშიც იყო მათ მიერ შეერთებული შტატებისთვის წაყენებული ბრალის მტკიცდებოდა, რაც აშშ-ს მიერ ამ გადატრიალების მხარდაჭერას გულისხმობდა. ... ბევრი გამოხატავს სინანულს ეროვნული გმირისა და ირანული პატრიოტიზმის სიმბოლოს დაცემასთან დაკავშირებით. ხალხს აქვს პროფესორ მოსადეყის ღრმა რწმენა. გარკვეული თვალსაზრისით ახლა უფრო ბნელი სურათის წინაშე დგანან, ვიდრე სახელმწიფო გადატრიალებამდე. ჯარის ნაწილი თემებს ადევნებს თვალყურს; ხოლო მეორე ნაწილი კი ქალაქებს“.

თუკი ინდოელმა სტუმარმა შეძლო ამ ამბის სწორად გაგება, იგივე მოლოდინი უნდა გვქონოდა დასავლელი ჟურნალისტებისა და მეცნიერების მიმართ. თუმცა მათ პრეზიდენტ ეიზენჰაუერისგან აიღეს მაგალითი, რომელმაც გადატრიალების შემდეგ მალევე წარმოთქვა ცნობილი სიტყვა სახელწოდებით *"მშვიდობა და სამართლიანობა".* როგორც ჩანს, იგი ყოველგვარი ირონიის გარეშე ამტკიცებდა, რომ ირანელები კომუნიზმის მიმართ შიშის გამო სპონტანურად განუდგნენ თითქოსდა "დაუძლეველ დიქტატორს". *Time-მა* გადატრიალების შესახებ გამოქვეყნებულ ამბავს სათაურად დაარქვა *"ირანული ბრბო, რომელიც შაჰისთვის აჯანყდა."* ამ ამბის მიხედვით, სამასი ადამიანი დაიღუპა" იმისათვის, რომ ადამიანები შეეპყროთ". *London Observer-მა* მოვლენები "ირანში არსებული კრიზისით" ახსნა, კერძოდ, ტრადიციულ საზოგადოებაში დასავლური იდეებისა და ტექნოლოგიების შეჭრით. იგი ასაბუთებდა, რომ დასავლეთს კვლავ სჭირდებოდა მაღალი წრის ნაციონალისტთა გადმობირება, რათა კომუნიზმის წინააღმდეგ ომში გამარჯვების შესაძლებლბა ჰქონოდათ. კორესპონდენტი თავის სტატიაში *"ნავთობი, სისხლი და პოლიტიკა"* კრიზისს იმ თვალსაზრისით განმარტავდა, რომ მოსადეყი გებელსს ჰგავდა, ხოლო შაჰს "ნახევრად მისტიური უფლებამოსილება ჰქონდა თავის ხალხზე." *Christian Science Monitor* ირწმუნებოდა, რომ "კომუნისტური გადატრიალება" სწორედ რომ დროულად აღმოიფხვრა მოსადეყის მიმართ

საზოგადოებრივი აზრის მოულოდნელი შეცვლით მისი მხრიდან "სახელმწიფო ღალატისა"და სამეფო მაცნის დაპატიმრების საპასუხოდ . სტატია შაჰს ახასიათებდა, როგორც "სულგრძელს", "კეთილმოსურნეს" და "კონსტიტუციურს." სტატიის მიხედვით, მისი ტახტი შაჰის ჭეშმარიტად რეფორმებისთვის მებრძოლმა ხასიათმა იხსნა... ერთადერთ განსახილველ საკითხად მორალური პრინციპები რჩება. ჩვენს დროში მხოლოდ მორალური პრინციპები აძლებინებს ხალხს." 1953 წლის აგვისტოში კი ნამდვილად ვერ დავიკვეხნიდით, მორალური პრინციპების სიმრავლით.

New York Times-მა აჯობა სხვებს. მან ზაჰედი "სამუდამო როიალისტად", "ძლიერ ანტიბრიტანელ ნაციონალისტად" და ვაშინგტონისთვის "უცნობად" დაახასიათა; როიალისტური ბანდები, როგორც "უზარმაზარ ბრბოებად"; გადატრიალებას - როგორც "უეცარ ცვლილებას" და "სახალხო აჯანყებას"; მოსადეყს მოიხსენიებდა "მოხუც", "მდიდარ", "არისტოკრატულ", "ყველაზე მდიდარ ადამიანად ირანში." მოგვიანებით გაზეთი მას ახასიათებს, როგორც "დიქტატორს, რომელმაც ორგანიზებული ცვლილებების ყველა საშუალება" გაანადგურა, რომ "მას პრაქტიკულად არაფერი მოუმოქმედებია გარდა ქვეყნის განადგურებისთვის თვალყურის დევნებისა" და სწორედ მისი რადიკალური ნაციონალიზმისა და ინგლისელებისადმი სიძულვილის გამო ვერ მოახერხა ნავთობის შეთანხმების მიღწევა." მან უარი თქვა საერთაშორისო ბანკის "კეთილგონიერ კომპრომისზეც კი" *New York Times* ციტირებდა შაჰის სიტყვებს და ირწმუნებოდა, რომ მოსახლეობის 99% მას უჭერდა მხარს, ხოლო პრემიერების შეცვლა კანონიერი იყო, რადგან მონარქს ჰქონდა პრემიერ-მინისტრების დანიშვნის პრეროგატივა. შაჰის დაბრუნება გაზეთმა შეამკო სიტყვებით: "საზეიმო", "ფართოდ აღიარებული", "ავტორიტეტის უმაღლესი წერტილი." იგი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ საზოგადოებრივი აზრი შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირის მიმართ იმდენად შესამჩნევად შეიცვალა, რომ ზაჰედი იძულებული გახდა, ტანკები განეთავსებინა საბჭოთა კავშირის საელჩოსთან, რათა ბობოქარი ბრბოებისგან დაეცვა ისინი, რომელთა სათავეშიც უტვინო შაბანი იდგა. კენეტ ლავი, *New York Times-ის* კორესპონდენტი, რომელიც ამ სტატიებიდან ბევრის ავტორი გახლდათ, რამდენიმე წლის შემდეგ გადატრიალების არგამოქვეყნებულ ანალიზში სინანულს გამოხატავდა, რომ იგი

თავისდაუნებურად გამოიყენა CIAმ. მან აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა გადატრიალებაში და ამერიკულისგან განსხვავებით, ეს ცნობილი იყო ირანის საზოგადოებისთვის. სინამდვილეში სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტებიც კი, რომლებიც ირანის მიმართულებით მუშაობდნენ, არ იყვნენ საქმის კურსში. ერთ-ერთმა ირანის ექსპერტმა, რომელსაც სპარსული ენა და ირანის მიმართულებით მუშაობა ასწავლეს და იქ 1950-იან წლებში გაგზავნეს, ამის თაობაზე არაფერი იცოდა, ვიდრე ირანელისგან არ გაიგებდა.

არც მეცნიერებს ჰქონდათ უკეთესი პუბლიკაციები. განსაკუთრებით იმ მეცნიერებს, რომლებსაც ორ საიდუმლო სამსახურთან ჰქონდათ კავშირი. პიტერ ეივენმა კემბრიჯის უნივერსიტეტიდან, განაცხადა, რომ 19 აგვისტოს "ვითარება სრულიად შეიცვალა" მოსადეყის პიროვნული შეცდომების გამო - მისი გაღიზიანებების, დიქტატორული მეთოდების, თუდესთან წარმოებული პოლიტიკის და რაღა თქმა უნდა, ნავთობის საკითხთან დაკავშირებით კომპრომისზე წასვლის უუნარობით. მისი აზრით, "მოსადეყი საწოლში იწვა, როცა მისი სახლის დაბომბვას აპირებდნენ. როცა ცეცხლსასროლი იარაღისა და მოახლოებული ტანკების ხმა გაიგო, ზეწარი თავზე გადაიფარა და გაეხვია მასში, თან ხარხარით ამბობდა: "ნახეთ, რა ჩავიდინე!"

ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც ერთხელ საათები გაადატარა აიათოლა ქაშანისთან საუბარში, წერდა, რომ ნაციონალიზაციამ გაანადგურა ქვეყანა და კომუნიზმის უფსკრულამდე მიიყვანა იგი, მაგრამ ვითარება უკანასკნელ მომენტში გამოსწორდა. მისი თქმით," ამ სახიფათო ალტერნატივის თავიდან აცილება მხოლოდ ირანელთა ჯგუფის სერიოზული ძალისხმევების წყალობით მოხერხდა, რომლებიც მოწოდებული იყვნენ არსებული პოლიტიკური სისტემისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის". კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეიკობ კოლემან ჰურევითსი, რომელიც უფრო წინდახედული იყო, წერდა: "როცა 1953 წლის 16 აგვისტოს მოჰამად რეზა ფეჰლევმა და დედოფალმა სორაიამ ირანი დატოვეს, ბევრი ექსპერტის პროგნოზის მიხედვით, საიდუმლო და ნაჩქარევი წასვლა ფეჰლევის დინასტიის და შესაძლოა, მონარქიის აღსასრულზეც მიუთითებდა. ერთ კვირაზე ნაკლებ დროში შაჰი თეირანში ტრიუმფით დაბრუნდა. მისი პოლიტიკური ოპონენტები დამარცხდნენ." როჯერ

სეივორის, ტორონტოს უნივერსიტეტიდან, მიამიტად სწამდა მითი მონარქიის გადარჩენის შესახებ "ჰომეოსტაზის პრინციპის წყალობით"-მონარქიის 2500 წელი, ორგანული სტაბილურობისა და წინააღმდეგობა მკვეთრი ცვლილებების მიმართ. "1953 წლის 22 აგვისტოს ირანში დაბრუნებული შაჰის მიმართ ხალხის მისალმების სითბომ და სპონტანურობამ როგორც ჩანს ბევრი უცხოური დამკვირვებელი და კომენტატორი გააოცა, მაგრამ ეს ამბავი არ გააკვირვებდა სპარსეთის ისტორიის მკვლევრებს." საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი და წიგნის *"ბრიტანეთის როლი შუა აღმოსავლეთში"* ავტორმა ელისაბედ მონრომ თავის კოლეგებს აჯობა. *New York Times-ში* გამოქვეყნებულ სტატიაში სახელწოდებით *"შუა აღმოსავლეთის ძირითადი ძალები*" იგი ირწმუნებოდა, რომ "ათასობით ადამიანი", რომელიც ჩაება მოსადეყთან ბრძოლაში მის "ჰიტლერულ ბუნკერში," იყვნენ იგივე ადამიანები, რომლებიც ერთი დღის წინ ენთუზიაზმით უჭერდნენ მას მხარს. "მიეცით ირანს პოლიტიკური აურზაური და მისგან თქრიალით წამოვა ბრბო ბანაკებიდან და სტიქიურად აღმოცენებული დასახლებებიდან იმისდა მიუხედავად, რა იქნება დემონსტრაციის დაწყების მიზეზი" ალბათ მეცხრამეტე საუკუნის უკიდურესი კონსერვატორი გუსტავ ლე ბონი მიესალმებოდა ამას[96] .

ამ მნიშვნელოვან ანალიზებში მოახერხეს თავი აერიდებინათ ისეთი შეუფერებელი თემებისთვის, როგორიცაა CIA ან MI6. მეტიც, ისინი ერიდებოდნენ ტერმინის "გადატრიალება" გამოყენებას. მის ნაცვლად ისინი გადატრიალებას ფეჰლევის დინასტიის მსგავსად "ეროვნულ ბუნტსა" და "სახალხო რევოლუციას" უწოდებდნენ. ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებდა, რომ ედვარდ საიდის კარგად ცნობილი და ასაკმაოდ წინააღმდეგობრივი წიგნი *"ორიენტალიზმი"* გაუმართლებლად აზვიადებს კავშირებს სამეცნიერო წრეებსა და საგარეოპოლიტიკურ ისტებლიშმენტს შორის. მათდა საბედნიეროდ ედვარდ საიდმა არ იცოდა ყველა იმ წვრილმანის შესახებ, რომელიც 1953 წლის გადატრიალების მიმდინარეობასთან იყო კავშირში. კავშირი გაცილებით დიდი იყო, ვიდრე მას წარმოედგინა. გაცილებით ფრთხილი მეცნიერები ბრძნულად ინარჩუნებდნენ

[96] Christoper J. Petherick. The CIA in Iran. The 1953 Coup and the Origins of the U.S-Iran Divines. 2007. 17-83.

დუმილს და ისე იქცეოდნენ, თითქოს უმანკო მეცნიერები იყვნენ, რომლებიც არ ინტერესდებოდნენ ისეთი შეუფერებელი საკითხებით, როგორიც პოლიტიკა იყო[97] .

რაც შეეხება სპარსულ ბეჭდურ მედიას უშუალოდ სახელმწიფო გადატრიალებასთან მიმართებში. დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ მაშინ ბეჭდური მედია, რომელიც თეირანში, თუ სხვა ქალაქებში იბეჭდებოდა გამოკვეთილად და ცალსახად შეგვიძლია სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ. სახელმწიფო გადატრიალებასთან დაკავშირებით ზოგადი ისტორიული ცნობების მიხებაც საკმარისია მივხვდეთ, თუ რომელია ეს სამი ჯგუფი. პირველს და შედარებით მცირერიცხოვანს წარმოადგენს მოსადეყის მომხრე ბეჭდური მედია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსადეყის ურყევმა რწმენამ დემოკრატიისადმი, ირანი მიიყვანა ლიბერალური იდეების ჩნასახამდე. მოსადეყის მმართველობის დასაწყისშიმოხდა ცენზურის შერბილება, რამაც მისცა სხვადასხვა მიდრეკილებების მქონე ჟურნალ-გაზეთებს გამოეხატათ საკუთარი აზრი და ეს ხშირა შემთხვევაში პოლიტიკურ აგიტაციამდეც მიდიოდა.

მოსადეყის მომხრე ჟურნალ-გაზეთები, როგორიც იყო: „ბახთარე ემრუზ“(დღევანდელი ბედნიერება), „აფადანი(სასახლის სახელი,პერსეპოლისში), ან კომუნისტური „სუმგა, რომლებიც იბეჭდებოდა როგორც გადატრიალების წინა დღეებში, ასევე გადატრიალების დღეს. თუმცა ძირითადი აქცენტი ყოველ მათგანს გადატანილი აქვს ამბოხების პირველ მცდელობაზე, როდესაც გაჟონა ინფორმაციამ და მოსადეყმა მოახერხა ხელისუფლების შენარჩუნება, მხოლოდ რამდენიმე დღით. „ბახთარე ემრუზ“, რომლის მთავარი რედაქტორი ფათემი იყო, ჩავარდნილი აჯანყების შესახებ წერს, რომ შაჰის საადაბადის სსახლიდან გამოვიდა სამეფო გვარდიის ნაწილები, რომელსაც პოლკოვნიკი ნასერი ხემძღვანელობდა, მას ჰქონდა მოსადეყისდაპატიმრების ფირმანი, შაჰის ხელმოწერით, მაგრამ მოსადეყმა იქით დააპატიმრა ნასერი. „აფადანი“ კი გადმოქვცემს ამბოხების ჩავარდნის შემდეგ მოსადეყის მომხრე უზარმაზარ დემონსრაციებზე, სადაც პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ფიგურები გამოდიან სიტყვით, მათ შორის ზოგიერთი რესპუბლიკის დამყარების ინიციატივითაც გამოდის.

[97] Ervand Abrahamian. The Coup 1953. The CIA and The Roots of Modern US.-Iranian Relations. 2013. 83-107.

რაც შეეხება შაჰის მომხრე ბეჭდურ მედიას, საკმაოდ მრავლად იყო მსგავის პოლიტიკური ინტერესების მქონე მედია საშუალებები: „ნაბორდე მელლათ“(ერის ბრძოლა), „შაჰედი“(მოწამე), „ ბახთიარი“(ბედნიერი), „არამი“(მშვიდობა) და სხვა. ჟურნალი „ბახთიარი“, რომლის რედაქტორი იყო ფეჰლევებთან დაახლოებული თარაბ სოლთან ფურა, წერდა, რომ გენერალი ზაჰედი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო მდგომარეობის დასტაბილურება. რაც შეეხება ჟურნალ „ათეშს“, ის სხვა პროშაჰური გაზეთბისგან მეტი რადიკალიზმით განსხვავდებოდა. მისი მთავარი რედაქტორი იყო სეიედ მედი მირაშრაფთი, რომელიც ძალიან დაახლოებული პირი გახლდათ მოჰამად შაჰთან, რასაც კიდევ უფრო ნათელს ხდის მისი ქონებრივი დეკლარაცია. „ათეში“: გუშინ ხალხისა და მამაცი ჯარისკაცების რევოლუციამ მოსადეყის დამღუპველი, შავი მმართველობა ცეცხლს მისცა[98] .

რაც შეეხება შედარებით ნეიტრალურ ჟურნალ-გაზეთებს: „ეთელაათს“ (ინფორმაცია) და „ქეიჰანს“ (სამყარო, ქვეყნიერება), ისინი მაქსიმალურა ცდილობენ შეინარჩუნონ ოქოს შუალედი და არ გამოიჩინონ სუბიექტურობა. მიუხაედავად აღნიშნული პოზიციებისა, მაგალითად ჟურნალ „ეთელაათის“ სტატიებში მცირე დოზით მაინც ვხვდებით სუბიექტურობას მოსადეყის ხელისუფლების სასარგებლოდ, რაც გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ შესაძლებელია „ეთელაათი“ შიდასარედაქციო პოლიტიკა ანტიმოსადეყური ხასიათისა არ იყო, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით ცალსახად, რომ მოსადეყის ხელისუფლების ქომაგად გვევლინება.

---

98 სპარსული პრესა. „აგვისტოს აჯანყება და იმდროინდელი გაზეთები“. იხ .http://www.parsnaz.com/%DA%A9%D9%88%D8%AF%D8%AA%D8%A7%DB%8C-28-%D9%85%D8%B1%D8%AF%D8%A7%D8%AF-%D8%B1%D9%88%D8%B2%D9%86%D8%A7%D9%85%D9%87-%D9%87%D8%A7%DB%8C-%D8%B2%D9%85%D8%A7%D9%86.html (کودتای 28 مرداد و روزنامه های آن زمان)

დასკვნა

ამრიგად დასკვნის სახით წარმოვადგენთ შემდეგ არგუმენტებს და პასუხებს კითხვებზე რომლებიც დაისვა კვლევის დასაწყისში.

რა მოტივებმა აიძულა შეერთებული შტატები, გადაეყენებინა პრემიერ-მინისტრი მოსადეყი?

ხშირად ირწმუნებიან, რომ გადატრიალების ძირითადი მოტივი იყო აშშ-ის პოლიტიკოსების სურვილი, დახმარებოდნენ ამერიკულ ნავთობკომპანიებს, ირანული ნავთობწარმოებიდან წილის მიღებაში. ერთი შეხედვით ამ არგუმენტს აქვს არსებობის უფლება. ეიზენჰაუერის ადმინისტრაცია უდავოდ შეესაბამებოდა შეერთებული შტატების ინტერესებს და ძმებ დალესების იურიდიული ფირმა ხშირად წარმოადგენდა აშშ-ს ნავთობკომპანიების ინტერესს. მეტიც, საბოლოო შეთანხმებით, რომელიც 1954 წელს ზაჰედის მმართველობისას შემუშავდა, ამერიკულ კომპანიებს ირანული ნავთობწარმოების 40%-იანი წილი გადაეცა, რომელიც უწინ ბრიტანელების განკარგულებაში იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისს სრულიად ვერ უარვყოფთ, უფრო მართებული იქნება იმის მტკიცება, რომ აშშ-ს პოლიტიკოსებს ძირითადად ირანში კომუნისტური მმართველობის მოსვლის შიში ამოძრავებდათ, და სწორედ ამ ფაქტის თავიდან აცილება მოითხოვდა ამერიკული კომპანიების ჩართულობის აუცილებლობას.

XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, როცა ცივი ომი უკვე აქტიურ ფაზაში იყო გადასული, საბჭოთა კავშირისგან მოსალოდნელი საფრთხეები საკვანძო საკითხად იქცა ეიზენჰაუერის ადმინისტრაციაში და დემოკრატები კომუნიზმისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებასა და "ჩინეთის დაკარგვაში" დაადანაშაულა. მმართველობაში მოსვლისთანავე ახალმა ადმინისტრაციამ მალევე სცადა საკუთარი შეხედულებების პრაქტიკაში დანერგვა: სახელმწიფო დეპარტამენტი გაიწმინდა კომპრომეტირებული და კომუნიზმში ეჭვმიტანილი პირებისგან, გადაიდგა ნაბიჯები დასავლური ალიანსის გასაძლიერებლად და ამოქმედდა ინიციატივები ლათინურ ამერიკაში, შუა

აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ აზიაში დასავლეთის პოზიციების მხარდასაჭერად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ყველაფერი მოხდა ეიზენჰაუერის ინაუგურაციიდან სულ რაღაც ორი კვირის შემდეგ, მოსადეყის ჩამოგდების გადაწყვეტილება გვესახება, როგორც ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის მორიგი გლობალური ძალისსხმევა საბჭოთა კავშირის ექსპანსიონიზმისთვის გზის გადასაღობად.

გარდა ამისა, აშშ-ს მსხვილ ნავთობკომპანიებს იმდ დროისათვის ირანის მიმართ ინტერესი არ ჰქონდათ. ნავთობის მსოფლიო ბაზარზე სიჭარბე იყო. ძირითადმა ამერიკულმა კომპანიებმა ირანული წარმოების დანაკარგის კომპენსირების მიზნით 1951 წელს თავიანთი წარმოება გაზარდეს საუდის არაბეთსა და ქუვეითში; ირანში წარმოებული ოპერაცია მათ პროდუქციის შემცირებას აიძულებდა ამ ქვეყნებში, რაც გამოიწვევდა ურთიერთობის დაძაბვას საუდის არაბეთისა და ქუვეითის ლიდერებთან. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ ირანში არსებული ნაციონალისტური განწყობის დონე კვლავ შენარჩუნდებოდა, იქ ნავთობის პროდუქცია სარისკო გახდებოდა. ამერიკული ნავთობკომპანიები 1951-52 წლებში ირანის მიმართ ინტერესს არ ავლენდნენ. 1952 წლის მიწურულს თრუმენის ადმინისტრაცია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამერიკული კომპანიების მონაწილეობას ირანული ნავთობის მოპოვებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ირანში სტაბილურობის შენარჩუნებისა და ირანის საბჭოთა კავშირის ხელში ჩავარდნის თავიდან აცილებისთვის. ამერიკის ძირითადი ნავთობკომპანიების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად თრუმენმა შესთავაზა მსხვილი ანტიმონოპოლური გამოძიებიდან გადახვევა, რომელიც შემდგომში მათ წინააღმდეგ გამოიყენეს. ეიზენჰაუერის ადმინისტრაცია იზიარებდა ტრუმენის შეხედულებებს ამერიკული კომპანიების ირანში მონაწილეობის შესახებ და ამასთანავე თანახმა იყო გადაეხვია ანტიმონოპოლური გამოძიების გეგმიდან. ამგვარად, ამერიკას იმ დროისათვის არა მხოლოდ არ სურდა ირანთან მოკავშირეობა, არამედ ამერიკელ პოლიტიკოსებს დიდი ძალისხმევის გაღება მოუწიათ, რათა დაერწმუნებინათ ისინი მოკავშირეობის აუცილებლობაში.

ამიტომ, ეიზენჰაუერის ადმინისტრაციას სავარაუდოდ ძირითადად ირანის კომუნისტების მიერ დაპყრობის შიში ამოძრავებდა და არა აშშ-ს კომერციული

ინტერესებისთვის ბრძოლა. უნდა აღნიშნოს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს (CIA) ყველაზე შუალედურ თანამშრომელთა უმრავლესობაც არ მიიჩნევდა, რომ არსებობდა სახელმწიფო გადატრიალების განხორციელების აუცილებლობა ძალაუფლების კომუნისტების მიერ ხელში ჩაგდების თავიდან აცილების მიზნით. 1953 წლის დასაწყისში არც სახელმწიფო მდივნის ასისტენტი შუა აღმოსავლეთის საკითხებში ჰენრი ბაიროუდი, არც ელჩი ჰენდერსონი არ იყვნენ გადატრიალების მომხრე. როგორც ზემოთ აღინიშნა, გადატრიალების წინააღმდეგი იყვნენ აგრეთვე CIA-ს ექსპერტები ირანის საკითხებში, ისევე როგორც CIA-ს შტაბბინის უფროსი თეირანში. CIA-ს ანალიტიკოსები მოსადეყს კომუნისტად არ მიიჩნევდნენ და არც თუდე ითვლებოდა იმ დროისათვის ძალაუფლების ხელში ჩაგდების უნარიანად. თუდე უფრო "სახალხო ფრონტის" სტრატეგიის განმახოციელებელ პარტიად ითვლებოდა მოსადეყისა და ნაციონალური ფრონტის სხვა ლიდერთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ჯარსა და სამთავრობო ბიუროკრატიაში შეღწევის გზით. CIA-ს ანალიტიკოსებმა 1952 წლის ნოემბერში დაასკვნეს, რომ თუდეს მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება 1953 წლამდე ნაკლებად იყო მოსალოდნელი. მეტიც, ამ დროისთვის ირანული ეკონომიკა შედარებით სტაბილური გახდა, ამიტომ საერთო კრახი არ განიხილებოდა, როგორც გარდაუვალ მოვლენად. ამიტომ შიში კომუნისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიმართ, რომელმაც სახელმწიფო გადატრიალება გამოიწვია, CIA-სა და სახელმწიფო დეპარტამენტის უმაღლესი ხელმძღვანელობის დონეზე სუფევდა, რასაც ვერ ვიტყვით უფრო დაბალი საფეხურის ირანის ექსპერტების შესახებ.

რა წვლილი შეიტანა მოსადეყის დამხობაში დიდმა ბრიტანეთმა თვითონ ირანელების დახმარებით?

როგორც ჩანს, ბრიტანეთის როლი გადატრიალებაში თავდაპირველი გეგმის შემუშავებაში დახმარებითა და რაშიდიანებთან კავშირით შემოიფარგლება. რა თქმა უნდა, თავდაპირველ გეგმას არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რაც სინამდვილეში მოხდა. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო დიდი ბრიტანეთის მხრიდან გაწეული ძალისხმევა მოსადეკის პოზიციის შერყევისთვის მთელი მისი პრემიერმინისტრობის

დროს. მისი ჩამოგდების სამი ძირითადი მცდელობის მხარდამჭერი ბრიტანელები თითქმის განუწყვეტლივ აწყობდნენ შეთქმულებებს მოსადეკის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ბრიტანეთმა ნავთობის ემბარგო და მთელი რიგი სხვა ეკონომიკური სანქციები წამოიწყო ირანის წინააღმდეგ. ეს მოქმედებები დიდწილად გახდა მოსადეყის მხარდაჭერის საფუძველის თანდათანობით გარღვევის მიზეზი. შემდგომი აფეთქების მეშვეობით, რომელმაც მისი დაცემა გამოიწვია, მოხერხდა მოსადეყის ჩამოგდება.

გადატრიალებაში ირანელთა ოთხი ძირითადი ჯგუფი მონაწილეობდა. პირველ რიგში, აშკარა როლი შეასრულეს ზაჰედიმ და მისმა უშუალო მოკავშირეებმა, მათ შორის მისმა შვილმა, აბულ ყასემ ბახთიარმა და სამხედრო ოფიცრებმა, როგორებიც იყვნენ: ჰეჯაზი, ნასირი, გიულენშაჰი და ბახთიარი. ზაჰედი და მისმა რამდენიმე მოკავშირემ გადატრიალებამდე ერთი წლით ადრე შეკრეს პირი მოსადეკის წინააღმდეგ; დანარჩენები სამხედრო ნაწილებს ხელმძღვანელობდნენ, ან უშუალოდ გადატრიალების მხარდაჭერაში შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი. მეორე ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ მოსადეკის ყოფილი მოკავშირეები, როგორებიცაა: ქაშანი და ბაყაი, გადატრიალებამდე ერთი წლით ადრე იმაზე მუშაობდნენ, რომ მოსადეკის მხარდაჭერის საფუძველი შეერყიათ და ქაშანიმ ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გადატრიალებაში. რაც შეეხება მესამე ჯგუფს, ნერენმა და ჯილიმ, ისევე როგორც რაშიდიანებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გადატრიალების განხორციელებასა და ჯერ კიდევ გადატრიალების დადგომამდე წარმოებული მოსადეკის საწინააღმდეგო მოქმედებების ზედამხედველობაში. და ბოლოს, შაჰმა მართალია უხალისოდ, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რაც გადატრიალებაზე დათანხმებაში მდგომარეობდა. გარდა ამ ადამიანებისა, ირანელი ხალხის შედარებით მცირე, მაგრამ უცნობი რაოდენობა ან თავისი ნებით გამოცხადდა, ან დაიქირავეს მოსადეკის საწინააღმდეგოდ გამართულ დემონსტრაციებსა და სხვა მოქმედებებში მონაწილეობისთვის.

რამდენად მნიშვნელოვანი იყო აშშ-ს როლი მოსადეყის დამხობაში?

მიუხედავად იმისა, რომ ამ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია, აქ წარმოდგენილი მონაცემები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ

გადატრიალება იმ დროისთვის ვერ მოხდებოდა, რამდენადაც ეს აშშ-ს მხრიდან გაწეული მნიშვნელოვანი დახმარება რომ არ ყოფილიყო გაწეული. აშშ-ს ოფიციალური პირები გეგმავდნენ, მართავდნენ და აფინანსებდნენ გადატრიალებას სულ მცირე 60.000$-ის ოდენობის თანხით. მისი სახელობითი ლიდერი ზაჰედი CIA-ს თავშესაფარში იმალებოდა გადატრიალების დასრულებამდე. შაჰთან კონსულტაცია არ გაუვლიათ გადატრიალების განხორციელების საბოლოო გადაწყვეტილების, მისი განხორციელების მეთოდის, ან მოსადეყის შემცვლელის კანდიდატის თაობაზე; იგი საკმაოდ უხალისოდ უჭერდა მხარს გადატრიალებას და წარუმატებლობის პირველივე ნიშნებისთანავე გაიქცა ქვეყნიდან. მეტიც, მოსადეყის საწინააღმდეგო მოქმედებები, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა გადატრიალებამდე ერთი წლით ადრე წამოიწყო, მოსადეყის მხარდაჭერის შერყევით გადამწყვეტი როლი შეასრულეს ამ გადატრიალების საფუძველის მომზადებაში.

თუმცა შესაძლებელია, რომ ზაჰედის ან სხვა ირანელებს უფრო მოგვიანებით მოეხერხებინათ მოსადეკის ჩამოგდება. და მაინც, სავარაუდოდ მხოლოდ სამ კგუფს შეეძლო მოსადეყის ჩამოგდება. უპირველეს ყოვლისა, ასეთები იყვნენ ზაჰედი და მისი მოკავშირეები, რომლებსაც შესაძლოა აშშ-ს გარეშეც მოეხერხებინათ მოსადეყის გადაყენება. მიუხედავად იმისა, რომ ზაჰედი და მისი მოკავშირეების ცალკეული გადატრიალება არ გამოირიცხება, ნაკლებად სავარაუდოა ასეთი ძალისხმევები წარმატებული ყოფილიყო. ზაჰედი თითქმის ერთი წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა მოსადეყის დამხობას. მას არ ჰქონდა მნიშვნელოვანი მხარაჭერა მოსახლეობის მხრიდან და შაჰმა შეერთებული შტატების მზაობის გარეშე უარი თქვა მის მხარდაჭერაზე. გარდა ამისა, გამოსცეს ზაჰედის დაპატიმრების ორდერები, რის გამოც იგი იძულებული გახდა საიდუმლოდ ემოქმედა.

მეორე შესაძლო ვარიანტი იმაში მდგომარეობდა, რომ ქაშანი, ან რომელიმე სხვა პოპულარულ ფიგურას მოსადეყის მხარდაჭერის გაერთიანების გზით მოეხერხებინა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსადეყის პოპულარობა 1953 წლის ზაფხულისთვის მნიშვნელოვნად შემცირდა ძირითადად ქაშანი და ნაციონალური ფრონტის სხვა ლიდერების ღალატთან ერთად. მართალია, 1952 წლის მიწურულს ქაშანი პრემიერ-მინისტრობის ლეგიტიმური პრეტენდენტი იყო, მაგრამ მას

შემდეგ მისი ვარკსვლავი ჩაქრა. მან მხარდამჭერთა დიდი ნაწილი დაკარგა მოსადეყთან განხეთქილებისა და ზაჰედისთან მოკავშირეობს გამო. ამას მოწმობს მისი, როგორც მეჯლისის სპიკერის დამარცხება 1953 წლის ივლისში, ისევე როგორც გადატრიალების შემდეგ ირანული პოლიტიკიდან ფაქტობრივად გაქრობა. მართალია ბაყაის ოდესღაც შეეძლო მოსადეყის ბრძოლაში გაწვევა, მაგარმ მას ჩირქი მოეცხო მოსადეყზე თავდასხმებისა და მისი სავარაუდო მონაწილეობის გამო აფშართუსის მკვლელობაში. არც ერთი სხვა ოპოზიციური ლიდერი არ სარგებლობდა მოსახლეობის ისეთი მხარდაჭერით, რომ მოსადეყი, როგორც ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერი ჩაენაცვლებინა.

მეოთხე მოვლენების განვითარების შესაძლო ვარიანტი იყო ასეთი, რომ თუდეს პარტიას მოეხერხებინა მოსადეყის ჩამოგდება გადატრიალების, ან თანდათანობით მთავრობაში შეღწევისა და მთავრობის ძირგამომთხრელი მოქმედებების გზით. თუმცა თუდე მაინც გაცილებით შესუსტებული იყო, ვიდრე 1946 წელს, თავის აღმავლობის ხანაში. აშშ-ს საელჩო ამ პერიოდის საჯარო გამოსვლებში განზრახ აზვიადებდა როგორც თუდეს ძალას, აგრეთვე მოსადეყის ამ პარტიასთან თანამშრომლობას. ის ფაქტი, რომ აშშ-ს ოფიციალური პირები თუდეს შესახებ შეთხზული ნეგატიური ინფორმაციის ძირითადი წყარო იყვნენ, მიუთითებს იმაზე, რომ თუდეს მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების საფრთხე ამ დროისათვის ირანში საკმაოდ გადამეტფასებული იყო. თუდემ გადატრიალების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მხოლოდ 1953 წლის აპრილში მიიღო და CIA-მ ჩათვალა, რომ თუდეს მხრიდან ძალაუფლების ხელში ჩაგდება სულ მცირე 1953 წლის ბოლომდე ნაკლებად უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი.

მართალია ვერ გამოვრიცხავთ თუდეს მიერ სახალხო ფრონტის ტაქტიკის მეშვეობით ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესაძლებლობას, ეს ძალიან ნაკლებად მოსალოდნელი პერპერსპექტივა იყო. რადგან თუდეს არ ჰყავდა წარმომადგენლები მოსადეყის მთავრობაში, ამიტომ იგი არალეგიტიმური იყო და იძულებული იყო საიდუმლოდ ემოქმედა. ირანელთა უმრავლესობას თუდეს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ახასიათებდა. მოსადეყმა თუდეს წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები მხოლოდ 1953 წლის 18 აგვიტოს მიიღო, რაც სავარაუდოდ შეაფერხებდა ნებისმიერ

უშაუალო საფრთხეს თუდესა და ყავამის, ზაჰედის და ქაშანის მხრიდან. მეტიც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აშშ და დიდი ბრიტანეთი ძალას გამოიყენებდნენ თუდეს მიერ წარმოებული ძალაუფლების ხელში ჩაგდების ნებისმიერი მცდელობის აღმოსაფხველად.

გადატრიალების განხორციელება ნაკლებად შესაძლებელი იყო აშშ-ს დახმარების გარეშე, ამასთან მოსადეყის მაშინდელი მდგომარეობა არც ისეთი უიმედო იყო, როგორც ჩვეულებრივ მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ 1951 წლის მიწურულს აშშ-ს ანალიტიკოსები ირანის ეკონომიკურ მდგომარეობას აღწერდნენ, როგორც "განწირულს/უიმედოს", 1952 წლის ზაფხულში დაწყებულმა მასტიმულირებელმა ბიუჯეტურ-ფინანსურმა პოლიტიკამ შედეგად გამოიღო წლის ბოლოსთვის ეკონომიკის ზომიერი გამოცოცხლება. 1953 წლის დასაწყისში ნავთობის ისეთ ქვეყნებში გაყიდვას შეეცადნენ, როგორიც იაპონია და იტალია იყო. 1953 წლის მაისში აშშ-ს კომერციულმა ატაშემ თეირანში ბიზნესს "გამოცოცხლებული" უწოდა, გარდა ამისა, როგორც იუწყებოდნენ, სოფლის მეურნეობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტი წარმატებით მიმდინარეობდა. მოსადეყი ამ დროისათვის კვლავ ინარჩუნებდა მნიშვნელოვან მხარდაჭერას ისეთი ორგანიზაციების მხრიდან, როგორიც იყო "ირანული პარტია" და "მესამე ძალა", ისევე როგორც ქალაქის დაბალი და საშუალო ფენებისა და სამხედრო პირების.

გამოყენებული ლიტერატურა:

სამეცნიერო ლიტერატურა

ბერაძე, გრიგოლ. ალექსიძე, მარინა. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. IX ნომერი. თბილისი. 2016.

ბოზორგმეჰრი, ჯალილი. *დოქტორი მოჰამად მოსადეყი სამხედრო სასამართლოს წინაშე.* ტომიI. თეირანი. 1993. (სპარსულ ენაზე "دکتر محمد مصدق در دادگاه تجدید نظر نظمی - جلیل بزرگمهر)

ბოზორგბეჰრი, ჯალილი. *დოქტორი მოჰამად მოსადეყი სამხედრო სასამართლოს წინაშე.* ტომი II. თეირანი. 1994. (სპარსული)

გაჩეჩილაძე რევაზ, *ახლო აღმოსავლეთი, (სივრცე, ხალხი და პოლიტიკა),* თბილისი. ტომი I. 2003.

გაჩეჩილაძე, რევაზ. *ახლო აღმოსავლეთი(გეოპოლიტიკა).* ტომი II. 2019.

გელაძე გიორგი. *ირანის უკანასკნელი შაჰი.* თბილისის. 2009.

გრიშიკაშვილი, ამბროსი. ირანი, ეკონომიკა, XX საუკუნე, ნავთობის კრიზისი, კონცესიები. თბილისი. 2011.

გრიშიკაშვილი, ამბროსი. *შაჰინშაჰი.* თბილისი. 2010.

თაჰერი, ფარზანე. *მოსადეყი და ბრძოლა ძალაუფლებისთვის ირანში.* თეირანი. 1990. (სპარსული فرزانه طاهری -مصدق و مبارز برای قدرت در ایران)

ნაჯმი, ნასერი. *მოსადეყი - დიდი მებრძოლი.* თეირანი. 1977(სპარსულ ენაზე مصدق مبارز بزرگ- ناصر نجمی)

პაპავა, ვასილი. *ირანის შაჰის დაზვერვისა და სახელმწიფო უშიშროების სამსახური - SAVAK.* თბილისი. 2016.

სანიკიძე გიორგი, ალასანია გიული, გელოვანი ნანი, *ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობა სამხრეთ კავკასიასთან,* თბილისი, 2011.

Abrahamian, Ervand. *A history of modern Iran.* New-York. 2008.

Abrahamian, Ervand. *The Coup 1953. The CIA and The Roots of Modern U.S-Iranian Relations*. New-York. 2013.

Alizadeh, Peter. *The Economy of Iran*. London. 2000.

Balaghi, Shiva. Silenced Histories and sanitized autobiographies: The 1953 CIA Coup in Iran. University of Hawai'i Press. Vol. 36, No. 1, BALEFUL POSTCOLONIALITY (winter 2013), pp. 71-96

Behrooz, Maziar. Tudeh Factionalism and the 1953 Coup in IranAuthors. International Journal of Middle East Studies, Vol. 33, No. 3 (Aug., 2001), pp. 363-382)

Divine, Robert A. - *Eisenhower and the Cold War-Oxford University Press*. Washington (1981).

Farhad Diba's Mosaddegh: A Political Biography (London, 1986).

Fakhreddin ,Azimi, Iran: The Crisis of Democracy, 1941-53 (1989)

Fehlevi, mohamad Reza. *Answer to History*. English edition. 1980.

James A. Bill and Wm. Roger Louis (eds.), Musaddiq, Iranian Nationalism, and Oil (London, 1988)

Gasiorowski, Mark J.. The 1953 Coup D'etat in Iran. International Journal of Middle East Studies, Vol. 19, No. 3 (Aug., 1987), pp. 261-286

Katouzian, Homa. Musaddiq's Memoirs. London. 1988.

Katouzian, Homa . Iranian History and Politics State and Society in Perpetual Conflict (Routledge Curzon Bips Persian Studies Series) (2003).

Kinzer, Stephen . Overthrow America's Century of Regime Change from Hawaii to Iraq. Times Books. (2007)

Kinzer, Stephen. Despotism and Godless Terrorism. Times Books. 2008.

Kinzer, Stepan. The Brothers. John Foster Dulles, Allen Dulles and Their Secret World War. New-York. 2014.

Kinzer, Stepan. An American Coup and the Roots of Middle East Terror. New-York. 2003.

Little, Douglas. Mission Impossible: The CIA Diplomatic History, Vol. 28, No. 5 (November 2004), pp. 663-701and the Cult of Covert Action in the Middle East.

Musafa Elm, Oil, Power and Principle: Iran's Oil Nationalization and Its Aftermath (1992).

Marsh, Steve. The United States, Iran and Operation 'Ajax': Inverting Interpretative Orthodoxy. Middle Eastern Studies, Vol. 39, No. 3 (Jul., 2003), pp. 1-38. (https://www.jstor.org/stable/4284305

Mokhtari, Fariborz. Iran's 1953 Coup Revisited: Internal Dynamics versus External Intrigue. Middle East Journal, Vol. 62, No. 3 (Summer, 2008), pp. 457-488.

Nosratollah, Amini. Letters from Ahmadabad. 2004.

Petherick, J. Christoper. The CIA in Iran. The Coup and The origins of the U.S-Iran Divine. Washington. 2007.

Roosevelt, Kermit. Countercoup. Washington. 1979.

Ruehsen, Moyara de Moraes. Operation 'Ajax' Revisited: Iran, 1953. Middle Eastern Studies, Vol. 29, No. 3 (Jul., 1993), pp. 467-486.

Schwarzkopf, Norman. *The Autobiography*. New-York. 1993

Steve Marsh. Anglo-American Relations and Cold War. Oil Crisis in Iran. London. 2003.

Simbar, Reza. Iran and the US: Engagement or Confrontation. Journal of International and Area Studies, Vol. 13, No. 1 (June 2006), pp. 73-87.

Talbot, David. The Devil's Chessboard: Allen Dulles, the CIA, and the Rise of America's Secret Government. New-York. 2016.

Wilber, Donald. OVERTHROW OF PREMIER MOSSADEQ OF IRAN November 1952-August 1953. Washington. 1969.

Глазунова Елена, Государственный переворот 1953 года в Иране и современные американо-иранские отношения (по материалам научной дискуссии в США) // Новая и новейшая история. — 2017. — № 5. — С. 179–192.

Алиев С.М. История Ирана. XX век. 2004. 250-297

Чучкалов, А.Б. Иран во внешнеи политике США накануне и в первый период второй мировой войны. Масква. 2007.

Чучкалов, А.Б. Экономическая политика США в Иране и ее реализация в торговом соглащении 1943 г. Масква. 2008.

სპარსული პრესის მასალები. „აგვისტოს გადატრიალება და იმდროინდელი სპარსული ბეჭდური მედია“. იხ
http://www.parsnaz.com/%DA%A9%D9%88%D8%AF%D8%AA%D8%A7%DB%8C-28-%D9%85%D8%B1%D8%AF%D8%A7%D8%AF%D8%B1%D9%88%D8%B2%D9%86%D8%A7%D9%85%D9%87-%D9%87%D8%A7%DB%8C-%D8%B2%D9%85%D8%A7%D9%86.html
https://www.library.manchester.ac.uk/
CIA admits role 1953 Iranian coup. იხ. https://www.theguardian.com/world/2013/aug/19/cia-admits-role-1953-iranian-coup
„საქართველო და მსოფლიო“. ისტორია და პერსპექტივა. 2018. იხ.
http://geworld.ge/ge/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90/
რადიო თავისუფლება. კრიზისი ირანში და აშშ-ს პრეზიდენტის განცხადება. 2009. იხ.
https://www.radiotavisupleba.ge/a/1761877.html
Dr. mohammad mossadegh biography. იხ. http://www.mohammadmossadegh.com/biography/
http://www.mohammadmossadegh.com/biography/dwight-d-eisenhower/diary/october-8-1953/
http://www.mohammadmossadegh.com/1953/
http://www.mohammadmossadegh.com/library/
http://www.mohammadmossadegh.com/project/
http://www.mohammadmossadegh.com/news/central-intelligence-agency/cia-documents-iran/
http://www.mohammadmossadegh.com/news/us-state-department/iran-documents/
http://www.mohammadmossadegh.com/library/

პრესის მასალები

„New-York Time“, 16 აპრილი. 2000 წელი.

„New-York Time“, 28 სექტემბერი. 1952 წელი.

New-York Time“, 22 დეკემბერი. 1953 წელი.

https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/library/world/mideast/122253iran-jail.html

New-York Time“, 14 მარტი. 1954 წელი.

https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/library/world/mideast/031454iran-aide.html

New-York Time“, 6 აგვისტო. 1954 წელი.

New-York Time“,11 ოქტომბერი. 1954 წელი.

https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/library/world/mideast/101154iran-aide.html

New-York Time“, 11 ნოემბერი.1954 წელი.

https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/library/world/mideast/111154iran-execute.html

New-York Time“, 20 აგვისტო. 1953 წელი.

“New-York Time”, Elaine Sciolino. The CIA in Iran. 2000. იხ.

https://archive.nytimes.com/www.nytimes.com/library/world/mideast/041600iran-cia-mossadegh.html

დოკუმენტაცია

The nacional security archive - CIA Confirms Role in 1953 Iran Coup.

https://nsarchive2.gwu.edu/NSAEBB/NSAEBB435/

Iran 1953: State Department Finally Releases Updated Official History of Mosaddeq Coup. იხ.

https://nsarchive.gwu.edu/briefing-book/iran/2017-06-15/iran-1953-state-department-finally-releases-updated-official-history

დოკუმენტური ფილმები

ირანის პრემიერ-მინისტრი - მოჰამად მოსადეყი. იხ.

https://www.youtube.com/watch?v=trLxmVEeWAo

მადლენ ოლბრაითის საჯარო განცხადება, ოპერაცია „აიაქსის“ შესახებ. იხ.

https://www.youtube.com/watch?v=Q5HYUtYa3wI